



უფრო „ევროპული" იტალია A3



„მილიონერთა კლუბის" უფრო მილიონერი A6





არავითარი კულტი! მოდაში შენ ხარ! A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 21 აპრილი, 2006 წელი. №87 (1239) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### ჰამასი ისრაელის ცნობას აპირებს?

პალესტინის ხელისუფლებაში მოსული "ჰამასის" ხელმძღვანელობის უკანასკნელი განცხადებები მიანიშნებენ, რომ ეს ორგანიზაცია მზადაა შეცვალოს თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება ისრაელთან. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ნიუსრუ ისრაელი" იტყობინება, "ჰამასის" ლიდერთა ტონი, განსაკუთრებით მაშინ, როცა განცხადებები ინგლისურ ენაზე კეთდება, მნიშვნელოვნად შერბილებულია.

A3

## სამართალი

### რეკომენდაციები შსს-ს

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" რამდენიმე დღის წინ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის ობიექტური გამოძიების მოთხოვნით, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე აცხადებს, რომ აქციაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ანტიკონსტიტუციურად იქცეოდნენ - უხეშად არღვევდნენ კანონს.

A4

### „ბრიტანეთის ავიახაზების„ და „24 საათის„ ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 21/04 | 22/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 22 |
| ყვარელი | 22 | 21 |
| სოხუმი | 22 | 20 |
| დმანისი | 16 | 17 |
| გორი | 18 | 19 |
| ონი | 16 | 16 |
| ზუგდიდი | 25 | 22 |
| ახმეტა | 21 | 21 |
| გაგრა | 22 | 20 |
| სამტრედია | 25 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8190 |
| ევრო | 2.2245 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2550 |
| რუბლი | 0.0660 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
საზოგადოება A 5
სპორტი A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8


# მუქარა გაზით

## რუსული წინადადება ევროპას

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთის მუქარა ევროპის მისამართით რეალური გახდა. "გაზპრომმა" ევროკავშირის ქვეყნები გააფრთხილა, რომ ბუნებრივ აირს ევროპის ნაცვლად სხვა ბაზრებს მიაწვდის, თუ მისი ამბიციები ევროპაში დაკმაყოფილებული არ იქნება. კრემლმა ენერგეტიკული ბერკეტები უკვე ევროპელების წინააღმდეგ აამოქმედა. "ენერგეტიკული ულტიმატუმის" გამოცხადებას ევროპისათვის რუსეთი ივლისში "დიდი რვიანის" სამიტზე გეგმავს. საპასუხოდ, ამავე სამიტზე აშშ აპირებს წამოწიოს რუსეთისათვის ძალზე მტკივნეული - ბელარუსის, აგრეთვე საქართველოში არსებული კონფლიქტების თემები.*

გაგრძელება A2 გვერდზე





რუსული მონსტრი ევროპას ულტიმატუმს უყენებს.

# B ფარმაცევტული ბაზარი დღეს



| იმპორტ-ექსპორტი 2004 - 2006 წლებში | | |
|---|---|---|
| წელი | რაოდენობა კგ. | ღირებულება აშშ დოლარებში |
| იმპორტი | | |
| 2004 | 5 003 405 | 90 432 814 |
| 2005 | 4 158 265 | 105 038 953 |
| 2006 (I კვარტ.) | 890 285 | 26 886 714 |
| იმპორტი ჰუმანიტარული | | |
| 2004 | 100 793 | 19 148 424 |
| 2005 | 100 113 | 12 569 449 |
| 2006 (I კვარტ.) | 33 397 | 1 159 085 |
| ექსპორტი | | |
| 2004 | 196 362 | 2 622 406 |
| 2005 | 296 896 | 4 000 623 |
| 2006 (I კვარტ.) | 100 337 | 1 395 713 |

ეთერ მამულაშვილი

*ეს ბიზნესი რომ სარფიანია, ამას ფარმაცევტულ ბაზარზე რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობაც ადასტურებს. თავის დროზე პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რაც ფარმაცევტული საქმიანობის შეღავათიან დაბეგვრას ითვალისწინებდა, ბიზნესის ეს სახეობა სერიოზული ნაბიჯებით წავიდა წინ.*

**ფარმაცევტულ ბაზარზე დღეს სერიოზული კონკურენციაა, თუმცა სიტუაცია დაბალანსებულია და "გაწონასწორებული". შეიძლება ითქვას, რომ ამ ბაზარზე თავისუფალი ნიშა, პრაქტიკულად, არ არის დარჩენილი.**

# სიახლე "24 საათში"


© გაზეთი 24 საათი

Weekend

## 22 აპრილიდან, ყოველ შაბათს, შაბათ-კვირის საკითხავი

- შაბათის სტუმარი
- დათო მაღრაძის "დედაქალაქი"
- ქეთევან იგნატოვას "გულახდილად"
- დიზაინი, მოდა, სტილი
- ელიტარული ქრონიკა
- ნოდარ ლადარიას "დროთა კავშირი"
- თავშესაქცევი ამბები
- ფოტონარკვევი
- პორტრეტი
- მეცნიერება და ტექნიკა
- ავტომობილი
- ბესტსელერი
- დეტექტივი, ფანტასტიკა
- კროსვორდები, თავსატეხები, კომიქსები


## დემოკრატიის გავრცელება: გამოქახილი ადგილებიდან

დანიელ ვერნე
მონდი

დაისახა რა ჯორჯ ბუშმა დემოკრატიის მთელ მსოფლიოში გავრცელება თავისი საპრეზიდენტო ვადის ერთ-ერთ ამოცანად, სულ მცირე, ერთ მიზანს მაინც მიაღწია. დემოკრატია ერთგვარ ტაბუდ იქცა. ავტორიტარული ლიდერებიც კი მას ეტალონად აღიარებენ. "რამდენიმე ათეული წლის წინ არაბულ სამყაროში მიდიოდა შეჯიბრება ჯერ იმაზე, თუ ვინ არის ყველაზე დიდი ნაციონალისტი, შემდეგ იმაზე, ვინ არის ნომერ პირველი სოციალისტი, ახლა კი იმაზე, ვინ არის ჭეშმარიტი დემოკრატი," - აღნიშნა საად ედინ იბრაგიმმა (კაიროს იბნ ხალდუნის ცენტრის დირექტორი) "მსოფლიო მოძრაობა დემოკრატიისთვის" კონფერენციაზე, რომელიც აპრილის დასაწყისში სტამბოლში ჩატარდა. ბუშის მიერ დემოკრატიის ძალადობრივი გზით დანერგვამ მხოლოდ უკუეფექტი გამოიწვია, ერაყში ამერიკელების გეგმების კრახმა კი მისი ქმედება მხოლოდ გააძლიერა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლების მუშაობა ადგილებზე სულ უფრო რთულდება.

თუმცა, ეს არ არის მთავარი წინააღმდეგობა, რომელსაც ისინი აწყდებიან. რეალური სიძნელეების გასაცნობიერებლად საჭიროა, თეორიული დავა და დიპლომატიური მოლაპარაკებები დროებით გვერდზე გადავდოთ და მათი მონათხრობი მოვისმინოთ.

რუსეთში პირდაპირ ამბობენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებზე კონტროლის გამკაცრების შესახებ ახლახან მიღებული კანონი მიზნად ისახავს ამოცანის გართულებას იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც ძალიან კარგად იმუშავეს უკრაინასა და საქართველოში და თავისი წვლილი შეიტანეს პოსტკომუნისტური მთავრობების დამხობაში. თუმცა, შესაძლებელია, რომ ამ ორგანიზაციების მიერ გამოყენებული მეთოდების ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. "რატომ ხდება, რომ უფლებათადამცველი ორგანიზაციების მუშაობის მიუხედავად, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ყაზახეთში მიმდინარეობს დემოკრატიული პრინციპებისგან უკან დახევა?" - კი-

გაგრძელება A3 გვერდზე

## წმენდა გურჯაანელ „ნაციონალებში"

*"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭომ პარტიიდან გურჯაანის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და 60 აქტიური წევრი გარიცხა. სახელისუფლებო ბლოკმა ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ამ რაიონში მონიტორინგი ჩაატარა და პარტიის რეიტინგის არადამაკმაყოფილებელი შედეგი მიიღო. ეს გადაწყვეტილება გუშინ ადგილობრივ "ნაციონალებს" რეგიონების კოორდინატორმა კობა ბექაურმა გააცნო.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

**"ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინც მუშაობდა, მათაც გავუშვებთ. ჩვენ მათი გათავისუფლების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებთ, რაც პარტიის აქტიური წევრების მუშაობის რეალურ შედეგებს მოსახლეობაში გასვლის შედეგად გავეცნობი,"** - აცხადებს ნაცმოძრაობის კახეთის რეგიონული კოორდინატორი რამაზ ქერეჭაშვილი, რომელმაც პარტიის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დროებით შეითავსა.

განხეთქილება გურჯაანელ ნაციონალებში მას შემდეგ დაიწყო, რაც ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივნად რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე როინ ქოჩორაშვილი დაინიშნა. ადგილობრივი "ნაციონალების" უმრავლესობა აცხადებდა, რომ იგი პარტიის წევრების გარეშე, ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს.

ამ დაპირისპირებას თანამდებობების გადანაწილება მოჰყვა, რის გამო ნაცმოძრაობის რამდენიმე წევრმა მანდატი დახია და სახელისუფლებო ბლოკი დატოვა. როგორც "დემოკრატების" ყოფილი ლიდერი გურჯაანში ზაზა კობიაშვილი ამბობს, პოლიტსაბჭოს ბოლო გადაწყვეტილება კინკლაობის და დაპირისპირების შედეგია. **"იყო გარკვეული პოლიტიკური უთანხმოება პარტიის წევრებს შორის, რაც ყველას ბრალია",** - აღიარებს ზაზა კობიაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სტრასბურგის სასამართლოს ახალი პრიორიტეტები

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს სასამართლოში სარჩელის შეტანის პროცედურები ცოტა ხანში რადიკალურად შეიცვლება და, რაც მთავარია, გართულდება კიდეც. სტრასბურგის სასამართლოში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა იქ დაგროვილ საქმეთა სიმრავლემ გამოიწვია. როგორც ცნობილია, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მართლმსაჯულებით ევროპის საბჭოს წევრი 46 ქვეყანა სარგებლობს. განაცხადების სიმრავლის, მათი განხილვისა და დასაშვებობის პროცედურების ხანგრძლივობამ ევროსასამართლოს საქმიანობა არაეფექტური რომ არ გახადოს, საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ამაჟამინდელი მონაცემებით, სტრასბურგის სასამართლოში 70 ათასამდე საქმეა. ამათგან 200-ზე მეტი საქართველოდან შესული სარჩელი განიხილება. საქართველოდან წარდგენილი საჩივრებიდან 25 განაცხადი არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებს ეკუთვნით. სხვათა შორის, ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც ევროსასამართლოში მოგებული ორი გახმაურებული საქმით – "შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ" და "თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ", - ევროპელი მოსამართლეების ნდობას იმსახურებს.

იმისათვის, რომ ევროსასამართლომ წარმოებაში ქართული საქმეები მიიღოს და განიხილოს, გარკვეული წესების ცოდნა და დაცვაა საჭირო. მართალია, ქართველი ადვოკატები სისტემატურად იმუქრებიან, – ამა და ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, ევროპის სასამართლოში გავასაჩივრებთო, - მაგრამ, მათი ამ მონდომების მიუხედავად, ევროსასამართლო ქართულ საჩივრებს, ხშირ შემთხვევაში, უპასუხოდ ტოვებს. ამას ერთადერთი მიზეზი აქვს – ქართულ საადვოკატო პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ევროსასამართლოსთან ურთიერთობის წესები.

გაგრძელება A4 გვერდზე

# წმენდა გურჯაანელ „ნაციონალებში"

პირველი გვერდიდან

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის ლიდერი სოსო კარდენახიშვილი მისი ზემდგომის გადაწყვეტილების კომენტირებას არ აპირებს, რადგან იგი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სწორედ პარტიული ნიშნით მოხვდა. ხოლო აღმასრულებელი მდივანი როინ ქოჩორაშვილი კობა ბექურის სიტყვებს იშველიებს და ამბობს, რომ **"პარტია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ისეა, აზრები იცვლება და ახალი კადრები მოდიან"**.

კობა ბექაურის თქმით, არჩევნებია მოახლოებული და სახელისუფლებო ბლოკს ენერგიული ახალგაზრდები სჭირდება. ასეთი განმარტებები ნაციონალური მოძრაობის ყოფილ წევრებში განაწყენებას იწვევს - ისინი ამბობენ, რომ **"რაც ენერგია ჰქონდათ, პარტიას დაახარჯეს"** და ამგვარი განცახდებების გაკეთება მათთვის შეურაცხმყოფელია.

თუ როდის დააკომპლექტებს სახელისუფლებო ბლოკი ახალი კადრებით ადგილობრივ ორგანიზაციას, მის ახალ ხელმძღვანელს ამის თქმა უჭირს. **"მინდა შეიქმნას ჩამოყალიბებული გუნდი, რემელიც გააკეთებს საქმეს, და იქნება ხალხის გვერდით. აქ არ იქნებიან ისეთები, ვინც უღირს საქციელს ჩაიდენს,"** - ამბობს ქერეჭაშვილი და იმედოვნებს, რომ ჩხუბი და დაპირისპირება პარტიაში აღარ მოხდება.

რაიონში მოქმედი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ის ადამიანები, რომლებიც პარტიიდან გარიცხეს, ოპოზიციასთან გაერთიანდებიან. **"როგორც ცნობილია, ყველა ის "ნაციონალი", ვინც პარტიის აქტიურ გუნდს წარმოადგენდა, რაღაც თანამდებობებზე მუშაობენ. თუ მათ სამსახურებიდან გაათავისუფლებენ, ამას რაიონში აუცილებლად უმართავი სიტუაცია მოჰყვება,"** - მიიჩნევს "ახალი მემარჯვენეების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კანდელაკი.

სახლისუფლებო ბლოკმა ანალოგიური "წმენდა" ახმეტის რაიონშიც ჩაატარა. თელავში კი მხოლოდ პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარე გათავისუფლდა და ეს თანამდებობა რაიონის გამგებელმა გოჩა მამაცაშვილმა შეითავსა.

# პალიატიური მზრუნველობა
## ქველმოქმედებიდან მოვალეობამდე

*გუშინ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საქართველოში პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის შესახებ იმსჯელეს. სხდომას ესწრებოდა საქართველოს პირველი ლედიც, რომლის პატრონაჟითაც საქველმოქმედო ფონდმა "SOCO"-მ 2004 წელს ბინაზე პალიატიური მზრუნველობის პირველი მობილური გუნდი დააფინანსა. გუშინვე დაისახა 2006 წლის სამუშაო გეგმა და დამტკიცდა იმ ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც ამ გეგმის განხორციელებაზე იზრუნებს.*

თამარ დვალი

პალიატიურ მზრუნველობას ის ავადმყოფები საჭიროებენ, რომლებსაც ყველაზე მძიმე, განუკურნებელი დაავადება აქვთ და საშინელი ტკივილები აწუხებთ. პალიატიური მზრუნველობა ამსუბუქებს მომაკვდავი ადამიანის ტანჯვას და აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს. ამ კატეგორიას ძირითადად ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციანტები განეკუთვნებიან.

ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტის რევაზ გაგუას თქმით, საქართველოში ყოველწლიურად კიბოს 7 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ავადმყოფთა 60, 70 პროცენტი უკვე იმ სტადიაშია, როდესაც გადარჩენა ძნელია და სახელმწიფომ ამ ავადმყოფთა პოლიატიურ მზუნველობაზე უნდა იფიქროს.

სამწუხაროდ, საქართველო იმ ქვეყნებს განეკუთვნება, სადაც არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა აუცილებელი ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების ნებადართულობის (ხელმისაწვდომობის) თვალსაზრისით. ის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ოპიოიდების სხვადასხვა ფორმების შემოტანას, მათ დანიშვნას, გამოწერასა და მიღებას, სრულყოფას საჭიროებს.

2005 წლის ოქტომბერში უცხოელ ექსპერტებთან ერთად, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში პოლიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის შემუშავების შესახებ. ამ მიმართულებით საქართველოში მიმდინარე სამუშაოების კოორდინაციის მიზნით გადაწყდა, კომიტეტთან შექმნილიყო "პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის კოორდინაციის ოფისი", რომელიც ითანამშრომლებდა დაინტერესებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან. ქალბატონ სანდრა რულოვსის ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობისა და ღვაწლის გათვალისწინებით, ოფისმა მუშაობა სწორედ პირველი ლედის პატრონაჟით დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის ბოლოსთვის კიბოთი დაავადებულმა დაახლოებით 350-მა პაციენტმა უკვე გაიარა პალიატიური დახმარების კურსი. 2004 წელს ბინაზე პალიატიური მზრუნველობის პირველი მობილური გუნდი საქველმოქმედო-ჰუმანიტარულმა ფონდმა "SOCO"-მ დააფინანსა. ამჟამად, პალიატიური მზრუნველობის როგორც სტაციონარული, ისე ბინაზე მომსახურების კომპონენტები ფინანსდება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მთელს მსოფლიოში პალიატიური მზრუნველობა წარმოადგენს "ონკოლოგიის სახელმწიფო პოლიტიკის" შემადგენელ ნაწილს.

საქართველოში პალიატიური მზრუნველობის განვითარების ერთ-ერთი ინიციატორის დიმიტრი კორძაიას თქმით, პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამა შეიძლება დაიყოს განათლების, წამალთა ხელმისაწვდომობისა და ინსტიტუციონალიზაციის კომპონენტებად.

**"არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა აუცილებელი მედიკამენტების ნებადართულობის (ხელმისაწვდომობის) თვალსაზრისით. ოპიოიდების რაციონალურ დანიშვნას ეწინააღმდეგება არარეალური, სრულიად არაპრაქტიკული და ძველ საბჭოურ მენტალიტეტზე დაფუძნებული კანონები. ოპიოიდების დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ კიბოს მეოთხე სტადიის ავადმყოფებისთვის. ამბულატორიაში სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრები გასინჯვის შემდეგ ადგენენ ოპიოიდების საწყის დოზას. ამის შემდეგ აუცილებელია რამდენიმე სავალდებულო დოკუმენტის შევსება. ოპიოიდების შეძება შესაძლებელია კვირაში ორჯერ, მკაცრად განსაზღვრულ დღეებში და მკაცრად განსაზღვრულ აფთიაქებში, რომლებიც განთავსებულია პოლიციაში და მასზე მორიტორინგს აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. თუ პაციენტი საჭიროებს დოზის მომატებას, სპეციალური კომისია ხელმეორედ იკრიბება და ადგენს ახალ დოზას,"** – აღნიშნა დიმიტრი კორძაიამ. მისივე თქმით, დღეისთვის ხელმისაწვდომია ნელა ხსნადი მორფინის ტაბლეტები, თუმცა არსებობს სწრაფად ხსნადი მორფინის ტაბლეტებიც, რომელიც საქართველოში არ არის რეგისტრირებული.

სანდრა რულოვსის აზრით, ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ განათლებას უჭირავს. მისი თქმით, კარგი იქნება თუკი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ამ კუთხითაც მიიღებენ განათლებას და გაეცნობიან იმ სახელმძღვანელოებს, რომელიც პალიატიურ მზრუნველობას შეეხება.

# საქართველოს მედიარუკა

2006 წლის 26 აპრილს, 17 საათზე სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გაიმართება წიგნის "საქართველოს მედია-რუკის" პრეზენტაცია. გამოცემა მომზადდა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტისა (**CIPDD**) და ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (**IWPR**) ერთობლივი პროექტის შედეგად.

"რეგიონული მედიის განვითარებისა და სამოქალაქო ანგარიშვალდებულების" პროექტი 2004 წლის დეკემბერში დაიწყო და 2006 წლის ნოემბერში სრულდება. პროექტი ევროკომისიის, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

"რეგიონული მედია-რუკა" საქართველოს რეგიონებში მედიის მდგომარეობის ზოგად სურათს ასახავს. შესწავლილი იქნა რეგიონული მედიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები. სიტუაციის შესასწავლად კვლევები მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის მიერ საქართველოს 10 რეგიონში ჩატარდა.

"რეგიონული მედიის განვითარებისა და სამოქალაქო ანგარიშვალდებულების" პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი "ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (**IWPR**) მიერ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში კონკურსის წესით შერჩეული 5 რეგიონული გაზეთისთვის გაწეული დახმარებაა. **IWPR**-ს მიერ განხორციელებული ტრეინიგები და ფინანსური მხარდაჭერა ხელს უწყობს მათი პროფესიული დონის ამაღლებასა და ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას.

# მუქარა გაზით

პირველი გვერდიდან

"გაზპრომის" გენერალურმა დირექტორმა ალექსეი მილერმა სამშაბათს ევროკავშირის 25 ქვეყნის ელჩები დაიბარა. შეხვედრის შემდეგ "გაზპრომმა" ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა: **"ევროპის ბაზრებზე "გაზპრომის" საქმიანობის შეზღუდვისა და გაზის მიწოდების საკითხის პოლიტიზირების მცდელობა, რომელიც წმინდა ეკონომიკური ხასიათისაა, დადებით შედეგს ვერ გამოიღებს."**

"წმინდა ეკონომიკური ხასიათის" საკითხში კრემლის პოლიტიკური ინტერესების აქტიურად გამტარებელი სახელმწიფო კომპანია ევროპაში გაზგამანაწილებელი ქსელების შესყიდვას გულისხმობს, რასაც ევროპის ქვეყნები ეწინააღმდეგებიან. ამას წინათ "გაზპრომმა" ბრიტანული გაზის კომპანიის Centrica–ს შესყიდვის სურვილი გამოთქვა. ბრიტანეთის მთავრობამ კი ამის საპასუხოდ კომპანიების შერწყმის შესახებ კანონმდებლობის შეცვლის საკითხი განიხილა.

**"არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალ ბაზრებზე, ისეთებზე, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკა და ჩინეთი. გაზის მწარმოებლებმა ცენტრალურ აზიაშიც ასევე მიაქციეს ყურადღება ჩინეთის ბაზარს. ეს შემთხვევითი არ არის: კონკურენტული ბრძოლა ენერგომატარებლებისათვის მძაფრდება,"** - ნათქვამია "გაზპრომის" განცხადებაში.

რუსული გაზის მონოპოლისტი ევროპელებთან დადებული კონტრაქტების პირობებს შეასრულებს, მაგრამ მომავალში ამ ქვეყნებთან ურთიერთობას იმის მიხედვით განიხილავს, თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული მისი გაზის განაწილების ბაზარზე დამკვიდრების სურვილი.

"გაზპრომის" პრესმდივნის, სერგეი კუპრიანოვის განცხადებით, **"ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა: ევროპის ქვეყნები მიხვდნენ, რომ გაყიდვების სფეროში ჩვენ ალტერნატივები გვაქვს. არსებობს სწრაფად მზარდი ჩინეთის ბაზარი და თხევადი აირის ბაზარი აშშ-ში. თუ ევროკავშირს ჩვენი გაზი სჭირდება, მან ჩვენი ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს"**.

როგორც ჩანს, კრემლმა ევროპაზე აქტიური შეტევა უკვე დაიწყო. ევროკავშირის ქვეყნების ეს ბოლო გაფრთხილება შესაძლოა ერთგვარ სამზადისად იქცეს ევროპისათვის "კაპიტულაციის" წაყენებისათვის, რაც, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, "დიდი რვიანის" ივლისში სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ სამიტზე უნდა მოხდეს.

ევროპული ანალიტიკური ცენტრის Axis Information & Analysis ანალიტიკოსის საიმონ არალოფის ინფორმაციით, რუსეთმა სამიტზე "ენერგეტიკული უსაფრთხოების კონკრეტული ინიციატივა" უნდა წარმოადგინოს, რომელიც ახალი, რუსულ-გერმანულ-იტალიური უზარმაზარი გაზის კონცერნის შექმნას გულისხმობს, რომლის მეშვეობითაც მოსკოვი ევროპაში "ახალ წესრიგს" დაამყარებს და ეცდება, ენერგორესურსების მეშვეობით დომინირებული მდგომარეობა დაიკავოს.

"ენერგეტიკული უსაფრთხოება", პუტინის ხელისუფლების ხედვით, რუსეთის "ურჩი" მეზობლების, პირველ რიგში უკრაინის, გვერდის ავლით ევროპისათვის გაზის ახალი მაგისტრალებით მიწოდებას გულისხმობს – ჩრდილოეთიდან "ბალტიის გაზსადენის" და სამხრეთიდან "ცისფერი ნაკადის" მეშვეობით. და, იმავდროულად, ევროპის ქვეყნების გაზგამანაწილებელი ქსელების ხელში ჩაგდებას.

"გაზპრომის" ბოლო განცხადებების შემდეგ, გასაგები ხდება, თუ რა არგუმენტებით აპირებს რუსეთი ევროპელების დარწმუნებას. კრემლი ვარაუდობს, რომ ევროპელებს ისეთ წინადადებას შესთავაზებს, რომელზეც ისინი, ევროპის რუსული გაზის გარეშე დატოვების მუქარის გათვალისწინებით, უარს ვერ იტყვიან.

ამგვარად, რუსული "ენერგეტიკული უსაფრთხოება" წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს პირველ რიგში მისი მეზობლებისათვის – უკრაინისათვის და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპისათვის. რადგან ცენტრალური აზიის გაზის მიწოდებაც რუსეთის მიერ არის მონოპოლიზებული, ხოლო თავად გაზის მიწოდება სრულიად ოფიციალურად პოლიტიკური ინსტრუმენტი გახდა მეზობელ ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად. და ამ პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ რუსეთი ალტერნატიულ ტრანზიტს აამოქმედებს და მეზობელ ქვეყნებზე ამ ამხრივ დამოკიდებული აღარ იქნება. რუსული სქემის ამოქმედება ნიშნავს, რომ არც ერთი მისი მეზობელი გაზის ფასების პოლიტიკური ნიშნით მანიპულირებისაგან დაცული აღარ იქნება.

თუმცა, როგორც ჩანს, "დიდი რვიანის" მომავალ სამიტზე რუსეთის აგრესიულ ენერგეტიკულ გეგმებს აშშ რუსეთისათვის ძალიან მტკივნეული საკითხების წამოწევას დაუპირისპირებს. კერძოდ, დსთ-ში შექმნილი სიტუაციის, ბელარუსში არსებული ვითარებისა და პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მოწესრიგების თაობაზე. ამის შესახებ გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ნიკოლას ბერნსმა განაცხადა, რომელიც მოსკოვში "დიდი რვიანის" სამიტის დღის წესრიგის მომზადებასთან დაკავშირებით გამართულ ფორუმზე იმყოფებოდა.

**"საუბარია, ასევე, ჩვენს იმედებზე საქართველოში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებაში პროგრესის თაობაზე, ასევე ჩვენს იმედებზე მოლდოვაში პროგრესთან დაკავშირებით,"** - განაცხადა ბერნსმა.

# ევროკავშირის "ტროიკა" საქართველოს ეწვია

2006 წლის 20-21 აპრილს საქართველოში ევროკავშირის "ტროიკას" დელეგაცია იმყოფება ვიზიტით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, ავსტრიის სახელმწიფო მდივანი ჰანს ვინკლერი, ფინეთის ელჩი საქართველოში ტერი ჰაკალა (ფინეთი ივლისიდან გადაიბარებს ევროკავშირის სადავეებს), სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნებუ, ევროკომისიის საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალურ აზიის სამმართველოს უფროსი კურტ იული, საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოს დესკ-ოფიცერი საგარეო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ-სამხედრო საკითხებში პაულო ბაროსო სიმოესი.



"ტროიკის" შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან.

ევროკავშირის "ტროიკას" ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გელა ბეჟუაშვილთან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან გიორგი ბარამიძესთან და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან გიორგი ვოლსკისთან. გუშინ "ტროიკამ" პირველი შეხვედრა გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები, მათ შორის, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები.

*24 საათი*

# ჩინეთისა და აშშ-ს მოლაპარაკებები

**მთავარი თემა - სავაჭრო ურთიერთობები და უსაფრთხოება**

ჩინურ-ამერიკული მოლაპარაკებები ვაშინგტონში გაიმართა, რომელიც ძირითადად ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებასა და უსაფრთხოების განმტკიცებას შეეხო. უსაფრთხოების მნიშვნელობაზე ჯორჯ ბუშმა ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დაწყებამდე, ჰუ ძინტაოსთან შეხვედრაზე ისაუბრა, მათ შორის აშშ-ს პრეზიდენტი ირანის ბირთვულ პროგრამასაც შეეხო. თუმცა, ჯორჯ ბუშმა არანაკლები ყურადღება "დარფურში გენოციდს", ტერორიზმის თემასა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობასაც დაუთმო.

როგორც ცნობილია, ჩინეთის ლიდერმა ჯორჯ ბუშთან შეხვედრამდე სიეტლი მოინახულა, სადაც მსხვილი ამერიკული კორპორაციების ხელმძღვანელებს შეხვდა. ჰუ ძინტაომ კომპანია "ბოინგ"-ის ქარხანაც მოინახულა, რადგან უახლოესი 15 წლის მანძილზე ჩინეთს 2 ათასი ცალი თვითმფრინავის შეძენა სურს. თვითმფრინავების მწარმოებელი გიგანტური კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ჰუ ძინტაო "მაიკროსოფტის კორპორაციის" ხელმძღვანელს - ბილ გეიტსსაც შეხვდა.

გუშინდელ მოლაპარაკებებში წამყვანი თემა აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბალანსის დაცვის საკითხი იყო, სადაც ოფიციალურ ვაშინგტონს არცთუ მომგებიანი პოზიციები აქვს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ორი ქვეყნის ლიდერებს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუმჯობესების მიუხედავად, ნდობის ფაქტორის გამყარება მაინც მომავლის საქმედ რჩება. თანაც, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სახელმწიფო ლიდერის რანგში ჰუ ძინტაოს პირველი ოფიციალური ვიზიტია აშშ-ში, ხოლო გასულ წელს ჩინეთთან ვაჭრობაში აშშ-ს დეფიციტის მაჩვენებელი 202 მილიარდი დოლარით განისაზღვრა - საკმაოდ დაძაბული ატმოსფეროს არსებობა სავსებით გასაგები ხდება.

გასულ წელს ოფიციალურმა პეკინმა ეროვნული ვალუტის - იუანის ფასი აშშ დოლართან მიმართებაში 2 პროცენტით აწია, მაგრამ როგორც ამერიკელი ეკონომისტები და ექსპერტები მიიჩნევენ, ეს არაა საკმარისი, რათა ჩინური საქონელი უფრო ძვირადღირებული გახდეს.

გარდა ამისა, ჯორჯ ბუში დაინტერესებულია, ოფიციალურ პეკინზე იქონიოს ზეგავლენა, რათა ჩინეთმა აიძულოს ირანი, შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობა. უკანასკნელ ხანს, უპირველეს საკითხად ირანის პრობლემის გადაქცევამ აშშ-ში საგარეო პოლიტიკაში პრეფერენციათა გადაფასებაც გამოიწვია. ღირებულებათა ცვლა გახდა იმის მიზეზიც, რომ აშშ კვლავინდებურად აღარ აკრიტიკებს მწვავედ ჩინეთს დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი ამას უფრო სხვა ფაქტორით ხსნის, კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდი გავლენით. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება - აშშ და ჩინეთი სულ უფრო ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან მსოფლიო ვაჭრობისა და დიპლომატიის სფეროებში.

# სამშობლოდან სამშობლოსაკენ

*20-ე საუკუნის დასაწყისში, ოსმალეთიდან გამოდევნილ ქურთებს, თავშესაფარი საქართველომ მისცა. ძალიან მალე კი, ქურთულმა დიასპორამ საქართველოში აღორძინება დაიწყო. კერძოდ, თბილისში იხსნება ქურთულენოვანი თეატრი, რადიო და პედაგოგიური ტექნიკუმი. 70-იანი წლების საქართველოს, ქურთები "ქურთულ რენესანსულ" ხანად მოიხსენიებენ.*

ნათია მსხილაძე

დღეისთვის საქართველოში 30 ათასი ქურთი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ისინი ძირითადად საშუალო და დაბალ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან. ქურთები საქართველოს ცხოვრების ფერხულში ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩაბმულები. ისინი ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ომში ქართველ მებრძოლებთან ერთად, 36 ქურთი დაიღუპა, ხოლო 25 უგზოუკვლოდ არის დაკარგული.

დაახლოებით თვენახევრის წინ, საქართველოში მცხოვრებმა ქურთებმა, ქართველებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამხრეთ კავკასიის ქურთთა კავშირი" დააფუძნეს. აღნიშნული კავშირის თავმჯდომარის, გრიგორ კაკლიანის განცხადებით, მათ ორგანიზაციას სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში ძალიან დიდი მისია აკისრიათ. **"ჩვენ ვგეგმავთ გაზეთის გამოცემას, ასევე თეატრისა და რადიოს აღდგენას. მინდა გითხრათ, რომ ქურთულ ენაზე ნათარგმნია ბიბლია, ახლახანს ითარგმნა "ვეფხისტყაოსანი" და ძალიან მალე გამოიცემა,"** - აღნიშნა კავშირის თავმჯდომარემ.

უნდა აღინიშნოს, რომ "სამხრეთ კავკასიის ქურთა კავშირის" მთავარი მიზანია ერაყის ქურთისტანსა და ქართველ ქურთებს შორის კონტაქტების აღდგენა. როგორც გრიგორ კაკლიანმა გაგვიმარტა, ერაყელ ქურთებს საქართველოს მიმართ ძალიან დიდი ნდობის ფაქტორი აქვთ და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მასთან აქტიური კავშირები დაამყარონ.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ, კავშირის წარმომადგენელები ერაყის ქურთისტანში საქმიანი ვიზიტით მიემგზავრებიან. ასევე, იგეგმება ერაყელი ქურთების საქართველოში ჩამოსვლა და იქაური პედაგოგებისა და ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება.

**"ჩვენ, საქართველოს ხელისუფლების მხოლოდ მხარში დგომა გვინდა, რათა ერაყში წარმომადგენლობითი დელეგაციით ჩავიდეთ. დელეგაციის შემადგენლობაში მოხვედრა შეზღუდული არ არის და ყველასთვის კარი ღიაა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქურთისტანში საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობს. იქ ჯარს ვერ ნახავთ. იქაურები დაინტერესებული არიან იმით, რომ საქართველოში მცხოვრებ ქურთებსა და ქართველებს ხელი გაუმართონ. ერაყი ძალიან მდიდარი ქვეყანაა. იქ მცხოვრებნი ძირითადად ნავთობითა და სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულნი. პროფესიონალური დონე კი, ძალიან დაბალია და მათ გადამზადება სჭირდებათ. ამიტომ, ჩვენ ვგეგმავთ პროფესიონალების ქურთისტანში ჩაყვანასა და დასაქმებას."**, -აღნიშნა გრიგორ კაკლიანმა.

## მოკლედ

### ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრა

ჭუბურხინჯის გუშინდელ ოთხმხრივ შეხვედრაზე, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანმა განაცხადა, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ ზონის ყველა ბლოკ-პოსტზე დაიდგმება სპეციალური საფოსტო ყუთები და მოსახლეობას საშუალება ექნება, მოათავსოს წერილები, სადაც რუსი სამშვიდობოების საქმიანობასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები იქნება გამოთქმული. ჩაბანის განცხადებით, წერილებში მოყვანილი ფაქტები მკაცრად გადამოწმდება.

დღევანდელ შეხვედრაზე ოთხივე მხარის წარმომადგენლებმა კონფლიქტის ზონაში შექმნილი კრიმინალური ვითარება შეაფასეს როგორც სტაბილური.

სერგეი ჩაბანმა აღნიშნა, რომ კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი მიუძღვით რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებს და ისინი აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამშვიდობო პროცესშიც.

დღევანდელ შეხვედრაზე დააყენეს საკითხი რამდენიმე დღის წინ, გალის რაიონის სოფელ პირველ გალში ალექსანდრიას დაყაჩაღების თაობაზე, რომელიც საკუთარ სახლში ხუთმა ავტომატებით შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა სასტიკად აწამა; ცხელი უთოს გამოყენებით, მას მიყენებული ჰქონდა მესამე ხარისხის დამწვრობა. თავდამსხმელებმა ალექსანდრიას ოჯახიდან 500 ამერიკული დოლარის ოდენობის თანხა წაიღეს. როგორც რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, საქმე ძიებაშია. ოთხმხრივი საგამოძიებო კომისიის წევრები უკვე გავიდნენ შემთხვევის ადგილზე, დაკითხეს დაზარალებული, თუმცა დეტალების გახმაურებისაგან ისინი ჯერჯერობით თავს იკავებენ. ცნობილია თავდამსხმელთა სავარაუდო ვინაობა და გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ქართულ-აფხაზური შერეული კრიმინალური ჯგუფების წევრები არიან. **ინტერპრესნიუსი**

### დევნილთა სტრატეგიის კომისიის სამუშაო შეხვედრა

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დევნილთა მიმართ სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის სამუშაო შეხვედრა 25 აპრილს გაიმართება. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განაცხადეს, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის მიზანია ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოსაგვარებლად ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა, ჩამოყალიბება და კოორდინირებულად განხორციელება. კომისიის სამოქმედო მიმართულებებია - დევნილთა საბინაო პირობების გაუმჯობესება, მათი დასაქმება, მიკროსესხებით უზრუნველყოფა და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარება.

საერთაშორისო დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლების აღნიშნულ ინიციატივას მიესალმებიან და სრულ მხარდაჭერას უცხადებენ. 2006 წლის 6 მარტს თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის პირველი შეხვედრა გაიმართა. კომისია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განკარგულების თანახმად შეიქმნა. კომისიას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი ხელმძღვანელობს. **ინტერპრესნიუსი**

### დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი მოსკოვში

დღეს მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი გაიმართება. სამიტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე დაესწრება. წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოს წარმომადგენელი სიტყვითაც გამოვა. **მედიანიუსი**

### მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში გაემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 28 აპრილს ბრიუსელს ეწვევა. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობას მიიღებს ფორუმში "ტრანსატლანტიკური გამოკვლევები გლობალურ ეპოქაში". პრეზიდენტი სამშობლოში 30 აპრილს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

### ნინო ბურჯანაძე მოსკოვს ეწვევა

26 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მოსკოვში გაემგზავრება, სადაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 100 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრება.

მოსკოვში ვიზიტისას დაგეგმილია ბურჯანაძის შეხვედრა რუსეთის დუმის სპიკერთან ბორის გრიზლოვთან და სახელმწიფო სათათბიროს წამყვანი კომიტეტების თავმჯდომარეებთან. ასევე, იგეგმება საქართველოს საკონონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის შეხვედრები რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირებთან.

გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარე რუს კოლეგებთან ქართული ღვინის რუსეთში ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრებს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია




# უფრო „ევროპული" იტალია

## მსოფლიო იტალიის ახალი მთავრობის ახალი ნაბიჯების მოლოდინშია

თეა მაისურაძე

*ოთხშაბათს საღამოს იტალიის საკასაციო სასამართლომ მას შემდეგ, რაც განიხილა არჩევნების შედეგები და სადავო 5200 ბიულეტენიც გადათვალა ხელახლა, დაადგინა, რომ 10 აპრილს სულ რაღაც 25 ათასი ხმის უპირატესობით გამარჯვება მოიპოვა მემარცხენე-ცენტრისტული ბლოკის ლიდერმა რომანო პროდიმ. იტალიიის პრეზიდენტ კარლო ჩამპის ისღა დარჩენოდა განეცხადებინა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე რომანო პროდი იხილოს. სილვიო ბერლუსკონი დამარცხებას არ აღიარებს და არჩევნების შედეგების გადასინჯვას კვლავ ჯიუტად მოითხოვს. თუმცა, საერთაშორისო საზოგადოება უკვე ახალი მთავრობის ახალ ნაბიჯებს ელოდება.*



ვარაუდობენ, რომ პროდი უფრო მეტად "ევროპელი" იქნება ვიდრე მისი წინამორბედი.

ხელისუფლების სათავეში მოსვლის საწყის ეტაპზე, რომანო პროდის მთავარი ამოცანა მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის პოლიტიკური გავლენის გაზრდა იქნება, რადგან ბერლუსკონის მემარჯვენე კოალიცია შეეცდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას, რაც მას მმართველ უმრავლესობაზე იერიშის მიტანისა და დესტაბილიზაციის შექმნის შესაძლებლობას მისცემს. იტალიის ამგვარი არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია კი თავად ქვეყნისათვის მეტად წამგებიანი იქნება. შექმნილ ვითარებაში პოლიტიკური სტაბილურობა ძალზედ საჭიროა, რათა მოხდეს ახალი მთავრობის ფორმირება, რომელიც იტალიის არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს. ამრიგად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება ახალი მემარცხენე-ცენრტისტული მთავრობა, რომელმაც გამარჯვების მიუხედავად, ბევრად უფრო ნაკლები მხარდაჭერა მიიღო, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

საერთაშორისო საზოდაგოება ცდილობს წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორი იქნება ოფიციალური რომის ახალი პოლიტიკური ორიენტაცია ევროპასთან და ამერიკასთან, განსაკუთრებით კი ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ომთან დაკავშირებით. რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორს, გლობალურ აქტორებს, ბუნებრივია, აინტერესებთ ბიზნესკლიმატი იტალიაში და ის, თუ რამდენად დაცული იქნება აქ მათი ინვესტიციები.

საყურადღებოა, რომ ეროპელმა და რუსმა პოლიტიკოსებმა სხვადასხვაგვარად მიიღეს იტალიის საპარლამენტო არჩევნების შედეგები. თუ ევროპელები ღიად და აშკარად გამოხატავენ თავის კმაყოფილებას რომანო პროდის გამარჯვების თაობაზე, რუსეთში თავს იკავებენ ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიციების აშკარა დაფიქსირებისაგან.

ოფიციალური მოსკოვი მიიჩნევს, რომ იტალიის ხელისუფლების სათავეში რომანო პროდის მეთაურობით მემარცხენე კოალიციის მოსვლა არაფერს არ ცვლის იტალიისა და რუსეთის ურთიერთობაში: **"იტალიის მსგავსი კარგი პარტნიორი რუსეთისათვის ევროპაში ძნელი მოსაძებნია. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორი ლიდერის პირადმა ურთიერთობებმა დიდი როლი ითამაშა საკუთრივ ამ ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობაში,"** - აცხადებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი კონსტანტინ კოსაჩევი.

ბოლო სამი წლის განმავლობაში რუსეთ-იტალიის ურთიერთობები ეტაპობრივად ვითარდებოდა და აღმავლობის გზაზე იდგა. კოსაჩევის განცხადებით: **"რუსეთმა და იტალიამ უკვე შექმნეს მყარი ბაზა თანამშრომლობისათვის, ასევე მათ აქვთ ბევრი საერთო ინტერესი და პროექტი, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამ ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარება უკვე აღარ იქნება დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე".**

სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რუსეთ-იტალიის ურთიერთობების შემდგომ სტაბილურობაზე ლაპარაკობს და პარალელებს ავლებს რუსეთ-გერმანიის ურთიერთობებთან. გასული წლის შემოდგომაზე, ზოგიერთი პოლტიკოსი მიიჩნევდა, რომ გერმანიის კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის პოსტიდან წასვლა უარყოფითად იმოქმედებდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და კატასტროფული შედეგებით დასრულდებოდა თუმცა ეს ასე არ მოხდა: **"გერმანიასა და რუსეთს შორის ურთიერთობა ისევე სტაბილურად და პოზიტიურად ვითარდება როგორც ადრე"** – აცხადებს კოსაჩევი.

გერმანიის ფედერაციის კანცლერმა, ანგელა მერკელმა დადებითად შეაფასა რომანო პროდის გამარჯვება და აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც რომში მოხდება ახალი მთავრობის ფორმირება, შეიქმნება მინისტრთა ახალი კაბინეტი, გერმანია-იტალიის ურთიერთობებში ახალი იმპულსი წამოვა, ისინი ახალი სტიმულით შეუდგებიან "ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული პროექტების შესრულებას".

ევროპარლამენტის დეპუტატი მიხაილ ებნერი იტალიის ახალი ხელისუფლებისაგან უპირველეს ყოვლისა "სტაბილურობას" მოელის: **"რომანო პროდი ევროპაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, ის საიმედო პარტნიორია"** - აცხადებს ებნერი. შეაფასა რა ორი წამყვანი იტალიელი პოლიტიკოსის მოღვაწეობა, ებნერმა აღნიშნა: **"საქმე ისაა, რომ სილვიო ბერლუსკონი ხელისუფლებაში მოვიდა არა პოლიტიკიდან, არამედ ბიზნესიდან, შესაბამისად ის იგივე დონის "პოლიტიკოსად" დარჩა, როგორიც პრემიერ-მინისტრობამდე იყო, ამიტომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად არ იყო კარგად მოფიქრებული და გააზრებული".** ევროპელი დეპუტატი რომანო პროდის პროფესიონალ პოლიტიკოსად მოიხსენიებს და მიიჩნევს, რომ ის ძალიან განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან. ებნერი აღნიშნავს, რომ მემარცხენე-ცენტრისტული ბლოკის ლიდერისათვის დამახასიათებელია "დოპლომატიურობა, დელიკატურობა, ინტუიცია და კოსტრუქციული დიალოგის უნარი".

ვარაუდობენ, რომ პროდი უფრო მეტად ევროპელი იქნება, ვიდრე მისი წინამორბედი. მისგან გერმანიასთან, საფრანგეთთან და ესპანეთთან ურთიერთობების უფრო გაღრმავებას მოელიან. სავარაუდოა, რომ პროდის ხელისუფლება ბევრად უფრო მეგობრულად ითანამშრომლებს ევროკომისიასთან, ვიდრე მისი წინამორბედი, თუმცა ეს ფაქტი ვერ წაადგება ბრიუსელის იდეას ევროპული სუპერ-სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, თუ პარიზში და მადრიდში ნეო-პროტექციონისტული ძალები გაერთიანდებიან, ხოლო ლონდონის მმართველი უმრავლესობა უფრო კონსერვატიული და ნაკლებად ევროპული იქნება.

თუ პროდის სიტყვებს დავეყრდნობით, ის აპირებს რომი აქციოს "აზიის კომერციულ ცენტრად", რაც წინააღმდეგობას შეუქმნის მათ, ვინც ჩინურ და სამხრეთ აზიის საქონელზე საბაჟო შეზღუდვების დაწესების მომხრეა.

პროდის განცხადებით, ის ერაყიდან იტალიის ჯარებს გაიყვანს, ხოლო რაც შეეხება რომის ვალდებულებას ავღანეთისა და ბალკანეთის მისიებთან კავშირში, ის გაგრძელდება. ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ იტალია სულ მალე შეუდგება ერაყიდან თავისი ჯარის გაყვანას, მაშინ კრიზისი ამერიკა-იტალიის ურთიერთობებში გარდაუვალია, რადგანაც იტალიის ამგვარი პოლიტიკა უკვე წინააღმდეგობაში მოვა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებთან.

# დემოკრატიის გავრცელება: გამოძახილი ადგილებიდან

პირველი გვერდიდან

ყირგიზეთის მცხოვრები კი აღნიშნავს, რომ იმ ქვეყანაში საქმიანობა, სადაც ფსევდორევოლუცია მოხდა, ისევე ძნელია, როგორც ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. სახალხო აჯანყებას, რომელიც თან ახლდა 2005 წლის "ტიტების რევოლუციას", სათავეში ჩაუდგა ნომენკლატურა, რომელმაც მინიმალური სამოქალაქო უფლებებიც კი ვერ უზრუნველყო (მაგალითად, აზრის პლურალიზმი პრესაში). ახალი მეთოდების გამოყენება, მაგალითად, ინტერნეტ-რადიოსადგურების შექმნა ოფიციალური აკრძალვებისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. "პრობლემა ისაა, რომ მას მხოლოდ ჩვენი მომხრეები უსმენენ," - სინანულით შენიშნავს ეს ქალბატონი.

რუსეთის მმართველი კი ახალგაზრდების პოლიტიკური გულგრილობით არის შეშფოთებული, უფლებათადამცველებს დღეს ძალიან აღელვებთ, თუ როგორ იქადაგონ უნივერსალური ღირებულებები სპეციფიკურ კულტურულ გარემოში. კერძოდ, რამდენად თავსებადია დემოკრატია და ისლამი. ისინი მიიჩნევენ, რომ ამაზე ერთიანი პასუხი არ არსებობს და მოქმედება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე არის საჭირო.

და მაინც, შეიძლება დემოკრატიაზე წარმატებული გადასვლის რამდენიმე პირობის გამოყოფა, - მიაჩნია სამხრეთ აზიის პრობლემატიკაზე სპეციალიზებულ ამერიკელ პროფესორ ვალი ნასრს. ისინი ქმედითია, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, ისე კონკრეტული ქვეყნების ორგანიზაციებისთვის. დემოკრატიასთან ისლამის თავსებადობის უზრუნველყოფა უკვე თავისთავად წარმოადგენს დემოკრატიზაციის პროცესს, - აცხადებს ნასრი.

პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში შესაძლებელია იმის თავიდან აცილება, რომ ძალაუფლება უმცირესობის, თუნდაც ძალიან გავლენიანის, ხელში აღმოჩნდეს. რაც მეტი პოლიტიკური პარტიაა, მათ შორის სხვადასხვა ისლამური ჯგუფები, მით უფრო უკეთესია, რადგან ასეთი ნაირფეროვნება მხარეებს დიალოგისკენ და კომპრომისული გადაწყვეტილებების ძებნისკენ უბიძგებს.

დაბოლოს, უნივერსალური ღირებულებების სპეციფიკურ კულტურულ გარემოში გავრცელების პრობლემა მნიშვნელოვანია არა მარტო ისლამისტი პოლიტიკოსებისთვის, არამედ ელიტარული პარტიებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში უფლებათადამცველები ყოველდღიურად წყვეტენ ამ ამოცანას. მათ არ სჭირდებათ ტანკებით დახმარება.

# ჰამასი ისრაელის ცნობას აპირებს?

პალესიტნის ხელისუფლებაში მოსული "ჰამასის" ხელმძღვანელობის უკანასკნელი განცხადებები მიანიშნებენ, რომ ეს ორგანიზაცია მზადაა, შეცვალოს თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება ისრაელთან. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ნიუსრუ ისრაელი" იტყობინება, "ჰამასის" ლიდერთა ტონი, განსაკუთრებით მაშინ, როცა განცხადებები ინგლისურ ენაზე კეთდება, მნიშვნელოვნად შერბილებულია.

მაგალითად, ეგვიპტურმა ყოველკვირეულმა "ალ-აჰრამმა" გუშინ გამოაქვეყნა ინტერვიუ პალესტინის პარლამენტის სპიკერ აბდელ აზიზ დუეიკთან. პალესტინის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი აცხადებს: **"თქვენ გინდათ, რომ ისრაელი ვცნოთ? მე მზად ვარ. მაგრამ, მითხარით რომელ საზღვრებში? რატომ არ ითხოვთ, რომ ისრაელმა ჩვენ გვცნოს? ჩვენ ვართ მსხვერპლი. ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ძალით წაართვეს მიწა... ვინ ვინ უნდა ცნოს? ვფიქრობ, რომ ისრაელმა უნდა გვცნოს ჩვენ".**

სხვათა შორის, მსგავსი განცხადებები, ამასწინათ, პალესტინის პრემიერ-მინისტრმა ისმაილ ჰანიამაც გააკეთა. **"რომელი ისრაელი უნდა ვცნოთ ჩვენ? 1917 წლის ისრაელი, 1936 წლის ისრაელი, 1948 წლის ისრაელი, 1956 წლის ისრაელი, თუ 1967 წლის ისრაელი? რომელი საზღვრებით და რომელი ისრაელი? თავდაპირველად ისრაელმა უნდა აღიაროს პალესტინის სახელმწიფო და მისი საზღვრები, და მაშინ გვეცოდინება, რის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ."**

როგორც გამოცემა ვარაუდობს, "ჰამასი", შესაძლოა, ე.წ. საუდის ინიციატივის მისაღებად ამზადებდეს ნიადაგს. არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მიერ ინიცირებული აღნიშნული პროგრამის ძირითადი პუნქტის თანახმად ისრაელმა მთავარი პირობა უნდა შეასრულოს: დაუბრუნდეს 1967 წლის მდგომარეობას. ეს პირობა სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს, ისრაელის მიერ რამდენიმე მსხვილ ანკლავასა და აღმოსავლეთ იერუსალიმზე უარის თქმას.

სანაცვლოდ, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა მზადაა, დაიწყოს მოლაპარაკებები ისრაელის სახელმწიფოს ცნობასა და არაბ-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირებაზე.

"საუდის ინიციატივა" პირველად 2003 წელს წამოაყენეს. ეს დოკუმენტი საერთაშორისო კვარტეტის (აშშ, რუსეთი, გაერო და ევროკავშირი) მიერ შემუშავებული "საგზაო რუკის" არაბულ ალტერნატივას წარმოადგენს.

# მინუს გენპროკურორი, პლუს ორი წევრი

*საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პრეზიდენტის მიერ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს პარლამენტის მხრიდან რეალური ქმედებები რამდენიმე დღეშივე მოჰყვა.*

ქვეყნის პირველმა პირმა, ფაქტობრივად, აღიარა, რომ საქართველოს არ ჰყავს დამოუკიდებელი და ობიექტური მართლმსაჯულება და იგი სასწრაფო რეფორმას საჭიროებს. მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთ მთავარ გარანტად მესამე ხელისუფლების საპროკურორო ზეწოლისგან გათავისუფლებას მიიჩნევს. ამისათვის კი, პრეზიდენტის განცხადებით, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გენერალური პროკურორის გამოყვანა.

გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე იმსჯელა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გენერალური პროკურორის გამოყვანას მხარიც დაუჭირა.

რამდენიმე თვის წინ, ევროპის საბჭოს მოსამართლეთა ევროპის ქარტიის 1.3. პრინციპის გათავალისწინებით, სასამართლო სისტემაში მორიგი რეფორმა განხორციელდა, რომლის წარმატებულ ნაბიჯად ჩაითვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ცხრიდან თვრამეტ წევრამდე გაზრდა; აქედან 4 წევრი თანამდებობითაა დანიშნული (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი), ორი წევრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, ოთხი წევრი (რომელთაგან 3 პარლამენტის წევრია) აირჩევა პარლამენტის მიერ, ხოლო რვა ინიშნება საერთო სასამართლოთა მოსამართლეებისგან, მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ.

დღეს კი, როგორც აღმოჩნდა, საჭირო გახდა ცოტა ხნის წინ განხორციელებული რეფორმის გადახედვა. იუსტიციის საბჭოდან გენერალური პროკურორის გამოყვანის შემდეგ საბჭოს ორი წევრი დაემატება - ერთს პარლამენტი დანიშნავს, ერთს კი მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი. ცვლილებების დამტკიცების შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 19 წევრი იქნება. როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, კანონპროექტი განპირობებულია იმით, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა კორპუსის გავლენა გაიზარდოს. თუ მოქმედი ნორმით მოსამართლეები საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს შეადგენენ, შემოთავაზებული ცვლილებებით ისინი უმრავლესობაში იქნებიან.

გუშინვე დასახელდა იუსტიციის საბჭოს ახალი წევრის ვინაობაც. დეპუტატების ინფორმაციით, ესაა პარლამენტის წევრი გიგა ბოკერია. ხოლო მოსამართლეთა კორპუსიდან რომელი კანდიდატურა შეირჩევა, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი; საბოლოოდ კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახალი წევრებით მას შემდეგ შეივსება, რაც საქართველოს პარლამენტი საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებას შეიტანს და იუსტიციის საბჭოს ახალ შემადგენლობასაც დაამტკიცებს.

ცვლილებების პროექტს პარლამენტი, სავარაუდოდ, მომავალ სასესიო კვირას განიხილავს.

ცვლილებები შეეხება, ასევე, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში სასამართლო მანდატურის საქმიანობას. მათ უზენაესი სასამართლოს შენობების დაცვასთან ერთად იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოებში წესრიგის დამყარებაც დაევალებათ.

*24 საათი*

# სტრასბურგის სასამართლოს ახალი პრიორიტეტები

პირველი გვერდიდან

სტრასბურგის სასამართლოში დაგეგმილი ცვლილებების დეტალურად გასაცნობად და ახალი პროცედურების ქართველი კოლეგებისთვის გასაზიარებლად ერთი კვირის წინ ევროსასამართლოში სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები მიიწვიეს. ეს ორგანიზაცია სტრასბურგის სასამართლოს პროცედურების ზედმიწევნით შესწავლისთვის ქართველ ადვოკატებს პერიოდულად სემინარებს უტარებს ხოლმე.

როგორც "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გამგეობის თავმჯდომარე მანანა კობახიძე განმარტავს, პროცედურების გართულება სტრასბურგის სასამართლოში წლის ბოლომდე განხორციელდება და ეს ცვლილებები სარჩელის მომზადების წესებს ამკაცრებს.

**"თუ ამ დრომდე სტრასბურგის სასამართლოში განცხადების განსახილველად დასაშვებობის საკითხს სამი მოსამართლე განიხილავს, უახლოეს ხანში სარჩელის მიღების საკითხს ერთი მოსამართლე გადაწყვეტს, რომელსაც დახმარებას მომხსენებელი-რეპორტიორი გაუწევს. მომხსენებელმა ამა თუ იმ ქვეყნის მოსარჩელის მიერ სასამართლოში შეტანილი საქმე დეტალურად უნდა შეისწავლოს. რაც მთავარია, იგი, ამავდროულად, ვალდებული იქნება, იმ ქვეყნის სამართალწარმოება და ენა იცოდეს, რომელი ქვეყნის მოქალაქის განაცხადსაც შეისწავლის. ასე რომ, გარკვეულწილად, მომხსენებელზე იქნება დამოკიდებული განმცხადებლის, მომჩივანის ბედი,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გამგეობის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ, რომელსაც ცოტა ხნის წინ ევროპელმა მოსამართლეებმა სასამართლოს სტრუქტურაში დაგეგმილი ცვლილებები დეტალურად გააცნეს. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე 30 ორგანიზაციის წარმომადგენელმა, მათ შორის იყვნენ - Amnesty International (გაერთიანებული სამეფო), ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტი, საერთაშორისო დაცვის ცენტრი (რუსეთის ფედერაცია), Interights და ა.შ.

ცვლილებების მიხედვით, ყველა განაცხადი, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გაიგზავნება, პროფესიონალურად დამუშავებული და არგუმენტირებული უნდა იყოს იმისთვის, რომ სასამართლომ სარჩელი განსახილველად მიიღოს. როგორც "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრებისგან შევიტყვეთ, ევროსასამართლო ამ დროისთვის ახალ პრაქტიკას ამკვიდრებს - მოსამართლე განცხადებას არ მიიღებს, თუ არ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მოქალაქეს სახელმწიფოს არაკანონიერი ქმედებით სერიოზული ზიანი მიადგა.

**"ამ დრომდე ამგვარი პრაქტიკა არ არსებობდა, ამიტომ სტრასბურგის სასამართლოში ქვეყნიდან უკიდურესად პრობლემური საქმე უნდა შევიდეს. ევროსასამართლო წლის ბოლომდე ახალ ინსტიტუტს დაამკვიდრებს, რომელსაც პილოტური გადაწყვეტილების ინსტიტუტი ეწოდება. დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნიდან ერთსა და იმავე პრობლემაზე მსგავსი საქმეები შევა, სასამართლო ერთ-ერთ მათგანზე გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს იქნება ე.წ. პილოტური გადაწყვეტილება და შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სხვა განცხადებები ევროსასამართლოს ამ განაჩენს დაემყარება,"** - განმარტავს "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გამგეობის თავმჯდომარე. მანანა კობახიძის ინფორმაციით, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს წარმომადგენლებს სახელმწიფო აგენტებთანაც ჰქონდათ შეხვედრა და მათ მითითებები მისცეს. **"ევრომოსამართლეების განმარტებებით, სტრასბურგში განაცხადების გაგზავნით ადამიანებს პრობლემები არ მოეხსნებათ, თუკი თავად საქართველომ და სხვა სახელმწიფოებმა არ უზრუნველყვეს ადამიანის უფლებების დაცვა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მანანა კობახიძემ.

კიდევ ერთი გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებასაც სტრასბურგის სასამართლო გეგმავს – იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროსასამართლოს მართლმსაჯულებით სარგებლობენ, სტრასბურგის სასამართლოს საინფორმაციო ბიუროები შეიქმნება. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ასეთ ბიუროებში წინასწარ წარადგინონ საკუთარი განაცხადი, რომლის გაგზავნასაც სტრასბურგში აპირებენ. მომჩივანები პასუხს შეკითხვებზე – მიიღებს თუ არა კონკრეტული შინაარსის განაცხადს ევროსასამართლო და, აქედან გამომდინარე, აქვს თუ არა აზრი სარჩელის გაგზავნას სტრასბურგში - ამ ბიუროებში მიიღებენ.

# რეკომენდაციები შსს-ს

*"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" რამდენიმე დღის წინ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის ობიექტური გამოძიების მოთხოვნით, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე აცხადებს, რომ აქციაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ანტიკონსტიტუციურად იქცეოდნენ - უხეშად არღვევდნენ კანონს.*

**"პოლიციის ქმედება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს: აქცია ატარებდა მშვიდობიან, საპროტესტო ხასიათს, რისი უფლებაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. აქციის მონაწილეებს არ გადაუკეტავთ რუსთაველის გამზირი; შესაბამისად, აქციის მიმდინარეობაში პოლიციის ჩარევა არ ეყრდნობოდა არავითარ სამართლებრივ საფუძველს და იყო უკანონო,"** – აცხადებს ანა დოლიძე, რომლის შეფასებითაც, პატრულის თანამშრომლები სრულიად უსაფუძვლოდ უხეშად ექცეოდნენ აქციის მონაწილეებს, რითიც უგულებელყოფდნენ ადამიანის უფლებებს. გარდა ამისა, **"აქციაზე კვლავ შეინიშნებოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები, რაც საქართველოს პოლიციის შესახებ კანონის 28-ე მუხლის უხეში დარღვევაა; მეტიც, სწორედ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები აყენებდნენ შეურაცხყოფას აქციის მონაწილეებს. არადა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრინციპების შესაბამისად, სწორედ პოლიციაა ვალდებული, უზრუნველყოს აქციის მონაწილეთა ფიზიკური უსაფრთხოება გარეშე პირთაგან. ასე რომ, პოლიციის წარმომადგენლებს თავად უნდა დაეცვათ აქციის მონაწილეთა ფიზიკური უსაფრთხოება და აღეკვეთათ მსგავსი ქმედებები,"** – აცხადებს ანა დოლიძე.

საქართველოს პოლიციის შესახებ კანონის 28-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, პოლიციის თანამშრომლებმა ატარონ კანონით დადგენილი ფორმის ტანსაცმელი და საკუთარი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინონ პირადობის მოწმობა და სპეციალური ჟეტონი. სპეციალური ტანსაცმლის, ამ შემთხვევაში, პოლიციელის ფორმის გარეშე, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ პირთა მონაწილეობა მსგავს აქციებში უკანონოა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს კანონი არ აკისრებთ ვალდებულებას, მათ დაემორჩილონ.

**"ასეთი მოქცევა სრულიად გაუმართლებელია პოლიციელთა მხრიდან და, ამასთან, ჩრდილს აყენებს პატრულისა და პოლიციელთა იმიჯს. მიგვაჩნია, რომ თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს დაინტერესებული, დაუყოვნებლივ შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები – გამოავლინოს და უფლებამოსილების გადამეტებისათვის სისხლის სამართლებრივ ან დისციპლინურ პასუხისგებაში მისცეს კანონდამრღვევი თანამშრომლები,"** – ასეთია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მოთხოვნა.

გარდა კანონდამრღვევ პოლიციელთა დასჯისა, არასამთავრობო ორგანიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციას აძლევს, თავის საქმიანობაში დანერგოს ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების დაცვა და პოლიციელები სამართლებრივად გაანათლოს; რადგან, როგორც "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები აცხადებენ, 18 აპრილის აქციაზე გატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 18 აპრილს სანდრო გირგვლიანის მკვლელებისა და შემკვეთების დასჯის და შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, გირგვლიანის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა აქცია გამართეს. არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია რესპუბლიკის მოედანზე დაიწყო. აქციის მონაწილეები პლაკატებს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ასევე, სხვა სახელმწიფო უწყებებთან აკრავდნენ. აქციის მონაწილეებს თან დაჰყვებოდათ საპატრულო პოლიციის ავტომანქანები. პატრულის წარმომადგენლებმა აქციის ორგანიზატორები ირაკლი კაკაბაძე და ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. კაკაბაძის განცხადებით, გირგვლიანის საქმის ობიექტურად გამოძიების მოთხოვნით, აქციები პერმანენტულად გაიმართება.

*24 საათი*

# ბრალდებული მოსამართლე

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გორის რაიონულ სასამართლოში სპეცოპერაცია ჩატარდა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსამართლე თამაზ თაყაძე ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. მოსამართლე ქრთამს ერთ-ერთი მოქალაქისგან იღებდა, სანაცვლოდ კი, მისი ახლობლისთვის სასჯელი უნდა შეემსუბუქებინა.

გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბონდო ვათიაშვილის თქმით, საქმეები, რომლებიც თამაზ თაყაძეს ეწერა, უკვე თვითონ გადაიბარა. ბონდო ვათიაშვილი მომხდართან დაკავშირებით სხვა კომენტარს არ აკეთებს.

თამაზ თაყაძე ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე გახლდათ, მაგრამ, იმის გამო, რომ გორის რაიონული სასამართლო მხოლოდ თავმჯდომარის ამარა იყო დარჩენილი, მოსამართლე თაყაძე ხაშურიდან გორში კვირაში ორჯერ - სამშაბათს და ხუთშაბათს ჩამოდიოდა და საქმეებს იხილავდა.

უკანასკნელი საქმე, რომელიც თაყაძემ გორში განიხილა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილის მარლენ ნადირაძის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს შეეხებოდა. თაყაძემ სახალხო დამცველის აპარატს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო სარჩელი არ დაუკმაყოფილა.

ახლა უკვე გორის რაიონულ სასამართლოში საქმეებს ორი მოსამართლე განიხილავს, გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე და ქარელის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც გორში თაყაძის მსგავსად, კვირაში ორჯერ ჩადის.

მოსამართლის დაკავების ფაქტს სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სოსო თოფურიძემ. სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე კახა კობერიძემ განაცხადა, რომ ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებულმა ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ თამაზ თაყაძემ, მოქალაქეს ახლობლისთვის სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ, 400 დოლარი გამოსძალა. მომხდარ ფაქტზე საქმე აღიძრა 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც 5-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურის მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილი.

## მოკლედ

### "გენერალური ინსპექციები" - დაპირისპირების საბაბი

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, "გენერალური ინსპექციების შესახებ" კანონპროექტის გამო, საქართველოს მთავრობას უპირისპირდება.

აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრებს შორის "გენერალური ინსპექციების შესახებ" კანონის პროექტის განხილვისას დაფიქსირდა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კოკა გუნცაძე და კომიტეტის წევრი გიორგი წულაია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან "გენერალური ინსპექციების შესახებ" კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, გენერალური ინსპექციები ყველა სამინისტროში, მათ შორის - საქართველოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფ გასამხედროებულ დაწესებულებებშიც უნდა ჩამოყალიბდეს. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, საქართველოს მთავრობა ცდილობს, ჩამოაყალიბოს შეუზღუდავი უფლებების მქონე მონსტრი, რომელსაც ძალიან დიდი უფლებამოსილება ექნება მინიჭებული. თევდორაძის განცხადებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ გენერალურ ინსპექციას მხოლოდ უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული, რადგან, კანონპროექტში მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ არის ჩადებული.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეთანხმება "მემარჯვენე" კოკა გუნცაძეს და აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა პარლამენტისგან მოითხოვს "კიდევ ერთი სადამსჯელო მონსტრის" ჩამოყალიბების დაკანონებას, რაც დაუშვებელია. ამავე პოზიციას იზიარებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი გიორგი წულაიაც. **ინტერპრესნიუსი**

### ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე დააკავეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, რამაზ ბიძინაშვილი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს. გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან მხეიძემ განაცხადა, რომ ბიძინაშვილის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დიდი ხნის მანძილზე ხორციელდებოდა. საქმე ომის ვეტერანის მოწმობის აღებას ეხება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ პრივილეგიებსა და შეღავათებს გულისხმობს. რამაზ ბიძინაშვილმა ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაციის გასავლელად და ვეტერანის მოწმობის ასაღებად ერთ-ერთ მოქალაქეს 1200 დოლარი მოსთხოვა. პირველ ეტაპზე მან 500 დოლარი აიღო, რაც ფინანსური პოლიციის მიერ გადაღებული ფარული ჩანაწერითაც დასტურდება. ამის შემდეგ ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ მოქალაქეს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რამდენიმე საბუთი გადასცა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ამ საბუთების გადაცემის ფაქტზე ადგილზევე დააკავეს. გამოძიება კომერციული მოსყიდვის მუხლით დაიწყო. გარდა ამისა, ბიძინაშვილთან ერთად ამ დანაშაულში თანამონაწილეთა ვინაობაც დგინდება. **ინტერპრესნიუსი**



# BCI-ს ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ნოვატორული პროექტი შემოაქვს

ნანა გიორგაძე

*მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება ცივილიზებული ერი, რომელსაც სადაზღვევო კომპანიის მიერ გაწეული საქმიანობის არსი არ ჰქონდეს შეგნებული. დაზღვევა რომ ფუფუნების საგანი არაა, კარგად იციან მათ, ვინც ამ სფეროს მომხმარებელია. დასავლეთისკენ ორიენტირებულ საქართველოში, არცთუ ბევრმა იცის სადაზღვევო პოლისის, შეიძლება ითქვას, "მაგიური ძალის" შესახებ. არადა დაზღვევა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საზღვარგარეთის ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიების მომსახურება არა თუ ფუფუნებად და ძნელად ხელმისაწვდომ მომსახურებად, არამედ, სასარგებლო აუცილებლობად მიაჩნიათ. უაღრესად საჭიროა, რომ საქართველოს მოსახლეობაც გაერკვეს დაზღვევის სარგებლიანობასა და აუცილებლობაში. სიტყვა ჩემები, ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ასოცირდება. სადაზღვევო კომპანია BCI-ს "შვილობილი" ბრენდი "ჩემები", რომელიც სულ ცოტა ხანია, რაც სადაზღვევო ბაზარზე შემოვიდა, სწორედ ოჯახისა და ახლობელი ადამიანების კეთილდღეობის შენარჩუნებისთვისაა შექმნილი.*

თქვენ გყავთ ახალგაზრდა ან თუნდაც უკვე საშუალო ასაკის ოჯახი, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ქმნიდით. გაქვთ არც თუ მძიმე სოციალური მდგომარეობა. გაგაჩნიათ სტაბილური შემოსავალი. ერთი შეხედვით, საწუწუნო არაფერია. თუმცა, მუდმივად კეთილდღეობის შენარჩუნება ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში არც ისე იოლი საქმეა - ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ამაზე პასუხისმგებლობას ვერც ვერავინ იღებს. სამაგიეროდ, არსებობს სადაზღვევო პროგრამა "**ჩემები**", რომელიც გარანტირებული სიმშვიდის, დაცულობის შეგრძნებას მოგანიჭებთ, რადგან თქვენი და თქვენი ოჯახის ფინანსური სტაბილურობა შეგიძლიათ თავადვე უზრუნველყოთ სადაზვევო მომსახურებების ფართო არჩევანის მეშვეობით.

დაზღვევა, რომ მშვიდად ცხოვრების საუკეთესო საშუალებაა სხვებთან ერთად ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რეზო არველაძემაც იცის - **"რომ არა BCI-ს სადაზღვევო პოლისი, დანაკარგს არავინ ამინაზღაურებდა. ავტომობილის მოპარვის შემდეგ სადაზღვევო კომპანიამ ყველანაირი პროცედურის დაცვით, ოპერატიულად და მაქსიმალურად სწრაფად შეასრულა დაკისრებული მისია. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ BCI-ს სადაზღვევო პაკეტის მფლობელი ვარ. თავს გადამხდარი ამბის მერე, ბევრს ვურჩიე, რომ თავიანთი ქონება ამ სადაზღვევო კომპანიაში დაეზღვიათ. რადგან, დაზღვევა შენს მიერ შექმნილ მშვიდ ცხოვრებას კიდევ უფრო მშვიდს ხდის. ამ ისტორიის შემდეგ, ჩემმა ოჯახის წევრებმაც მიმართეს BCI-ს"** - აღნიშნავს რეზო არველაძე.

რაც შეეხება სადაზღვევო კომპანია BCI-ს ახალ ბრენდს სადაზღვევო პროგრამა "**ჩემები**"-ს, როგორც BCI-ში აღნიშნავენ, **"მომხმარებლის სურვილებზე და ფინანსურ შესაძლებლობებზე მორგებული სადაზღვევო პროგრამები 5 ძირითადი მიმართულებით არის წარმოდგენილი - "ჩემები-ავტო"; "ჩემები-ჯანმრთელობა"; "ჩემები-სახლი"; "ჩემები-სამოგზაურო" და "ჩემები-სიცოცხლე". თავის მხრივ ამ ხუთ კომპონენტში კი თავმოყრილია მრავალი საინტერესო სადაზღვევო პროდუქტი".**

## ჩემები-ავტო

*BCI-ს მიერ ავტომობილების დაზღვევის სახეობაში 2005 წელს ანაზღაურებული ზარალების მოცულობამ 834 000 ლარს მიაღწია, ხოლო 2006 წლის 1 კვარტალში ეს მაჩვენებელი 300 000 ლარს აღწევს, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე" რომ ავტომობილების დაზღვევა უფრო და უფრო პოპულარული ხდება საქართველოში. "ჩემები" ავტომობილის დაზღვევის ოთხ სხვადასხვა ვარიანტს გთავაზობთ: ეკონომ ავტო; სტანდარტ ავტო; Smart Lady და VIP ავტო. ეს პროდუქტები განსხვავებულია სადაზღვევო დაფარვებით, ფასითა და დამატებითი მომსახურებებით.*

დღეისათვის ავტომანქანის დაზღვევა ისეთივე აუცილებლობაა, როგორც თავად ავტომანქანის ქონა. ეს ძვირი, მაგრამ ჩვენი ყოფისათვის აუცილებელი ნივთი დაცვას საჭიროებს. მცირე ფულადი დანახარჯი, რომელსაც თქვენ ავტომანქანის დასაზღვევად გასცემთ, "ზღვაში წვეთია" იმ სარგებელთან შედარებით, რასაც გაუთვალისწინებელი, არასასიამოვნო მოვლენების შემდეგ, სადაზღვევო კომპანია გაგიწევთ. ფაქტია, რომ ავტოავარია, მანქანის გატაცება, ხშირი და სამწუხარო მოვლენებია. ამ არასასიამოვნო ფაქტების უმტკივნეულოდ მოგვარებას "ჩემები" გპირდებათ, რომელთა შემოთავაზებების შესახებ თანმიმდევრულად მოგახსენებთ. თუმცა, იქამდე ერთ სიახლეზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

ქალი საჭესთან ჩვენთვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ. ამდენად, ავტომობილის დაზღვევის ამ პაკეტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ყველა ის მოთხოვნა და "კაპრიზი", რაც ქალბატონებს მანქანის მართვისას შეიძლება გაუჩნდეთ.

**სმართ ლეიდი (Smart Lady)** "ჩემების" მიერ შემოთავაზებული ნოვაციაა. იგი საქართველოში პირველად შეიქმნა. განსხვავებული ტარიფებითა და იმ მომსახურებებით, რომელიც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ქალბატონებს - ეს პაკეტი მხოლოდ მათთვისაა მოფიქრებული. მანქანის გაუმართაობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, რომელმაც შესაძლებელია უხერხულობა შეგიქმნათ, "ჩემები" დაგეხმარებათ. საკმარისია აკრიფოთ ტელეფონზე ნომერი 444 999 და რამოდენიმე წუთში გზაზე უფასო ტექ-მომსახურებით ან საევაკუაციო ლაფეტით იქნებით უზრუნველყოფილი.

ვინაიდან სტატისტიკურად, ქალი მძღოლები მსოფლიოში დაბალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ, "სმართ ლეიდის" პაკეტის ფასი, "ჩემები-ავტო"-ს სხვა კომპონენტებთან შედარებით დაბალია. თუმცა, ავტოსაგზაო შემთხვევის, ხანძრის, აფეთქების, მესამე პირთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების, სტიქიური უბედურებების, ავტოტრანსპორტის დაკარგვა - ქურდობის, გატაცების ან ყაჩაღობის შედეგად მიღებული ზიანი სმართ ლეიდის პაკეტის მფლობელებს და "ჩემები-ავტო"-ს სხვა პაკეტებს მფლობელებს ერთნაირად აუნაზღაურდებათ.

რიგით მეორე პაკეტი **VIP ავტო-**ა, რომელიც დასახელების შესაბამისად ძალზე მნიშვნელოვანი პერსონებისთვისაა შექმნილი. **"თქვენ ხართ საქმიანი, ძალზე დაკავებული ადამიანი? ამავდროულად, ფიქრობთ, რომ ავტომობილთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და ავტომომსახურების ცენტრებში სიარული ძვირფას დროს წაგართმევთ? ასევე წარმოუდგენელია, თუნდაც ერთი დღით მანქანის გარეშე დარჩენა? მაშასადამე, "ჩემების" VIP ავტო თქვენთვისაა შექმნილი".** - ეს VIP ავტო-ს წარდგინება გახლავთ. მის მფლობელებს, გზაზე 24-საათიანი უფასო ტექ-მომსახურების გარდა, დაზღვეული ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში "ჩემების" მიერ შეთავაზებული ავტომობილი მოემსახურება. ავტომობილის შეკეთებას კი სადაზღვევო კომპანიის ზარალების მენეჯერი გაუწევს ორგანიზებას. ამდენად, ამ პაკეტის შეძენისას, ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურების გარდა, ზოგავთ დროს და ძალისხმევას, ამავდროულად, მიიღებთ საჩუქარს - VISA One Card ფასდაკლების ბარათს.

**სტანდარტ ავტო** თქვენთვის უკვე ნაცნობი, ავტომობილის სტანდარტული დაზღვევის პაკეტი გახლავთ. სრული სადაზღვევო დაფარვით, კონკურენტუნარიანი ფასითა და დამატებითი მომსახურებებით.

სტანდარტ ავტო-ს პაკეტი ავტოსაგზაო შემთხვევების, ხანძარის, აფეთქების, სტიქიური უბედურებების, ქურდობის, გატაცების ან ყაჩაღობის შედეგად მიყენებულ ზარალს, ასევე მესამე პირთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ანაზღაურებს.

**ეკონომ ავტო** იმ მომხმარებლისთვისაა გამოგონილი, რომელთა ავტომობილიც საიმედოდაა დაცული გატაცებისა და ყაჩაღობისაგან. ამდენად, თუ მიგაჩნიათ, რომ არ გჭირდებათ ზემოთ აღნიშნული მომსახურების შეძენა და მათში ზედმეტი თანხის გადახდა, ეკონომ ავტოს ფასი შედარებით დაბალია და ის ითვალისწინებს თქვენი ავტომობილის დაზღვევას მხოლოდ დაზიანებისაგან, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ამდენად, ეკონომ ავტოს პაკეტი ანაზღაურებს ავტოსაგზაო შემთხვევის, ხანძრის, აფეთქების, სტიქიური უბედურებების მიერ მიყენებულ ზარალს. ასევე, მესამე პირთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებებისა "ჩემები-ავტო"-ს ნებისმიერი პაკეტის მფლობელებს უფასოდ გადაეცება "ჩემები"-ს VISA ან One Card პლასტიკური ბარათი, რომელიც ამავდროულად ფასდაკლების ბარათიც არის და რითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ თბილისის სხვადასხვა პროფილის გასართობ და სავაჭრო ობიექტებში. ავტოსაგზაო შემთხვევისას ადგილზე მივა ტექნიკური პერსონალი, რომელიც უფასოდ, საევაკუაციო ლაფეტის საშუალებით გადაიყვანს ავტომობილს თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე. "ჩემები-ავტო"-ს შემადგენელი ნაწილია "ბონუსი უზარალო წელიწადზე" - თუ სადაზღვევო წელი უზარალოდ ჩაივლის, დაზღვევის განახლებისას ტარიფში გათვალისწინებული იქნება გარკვეული შეღავათები.

გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და დამატებითი მომსახურებების გარდა, შეგიძლიათ შეიძინოთ "ჩემები-ავტო"-ს მესამე მხარის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა და მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევბისაგან დაზღვევაც. ასეთ დროს "ჩემები" მესამე მხარის ჯანმრთელობისა და ქონებისადმი მიყენებულ ზიანს, ასევე მძღოლისა და მგზავრების მკურნალობის ხარჯებსაც ანაზღაურებს. გარდა ამისა, "ჩემები-ავტო"-ს მფლობელებს კიდევ სხვა მრავალი სიურპრიზი ელოდებათ.

## ჩემები-ჯანმრთელობა

ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, რომლისთვისაც ჯანმრთელობის დაზღვევა მისაღები არ იყოს. მით უმეტეს დღეს და მით უმეტეს საქართველოში, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები სხვა (ფინანსურ) პრობლემებთან პირდაპირაა გადაჯაჭვული. "ჩემები" ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებს თავის თავზე იღებს და ბავშვების, ქალებისა და მამაკაცების სამედიცინო მომსახურების მრავალფეროვან პაკეტს გთავაზობთ, სადაც გაწერილია ყველა ის აუცილებელი მომსახურება, რაც შესაძლოა, თქვენს პატარას ან ოჯახის სხვა წევრებს დასჭირდეთ. სტაციონარული მკურნალობის შემთხვევაში "ჩემები"-ს მფლობელს არჩევანის გაკეთების საშუალება ეძლევა. დაზღვეულს შეუძლია, სამედიცინო მომსახურება ბი სი აი ჯანმრთელობის ცენტრშიც მიიღოს. მკურნალობის გარდა, "ჩემები" ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების ღირებულებასაც ანაზღაურებს. "ჩემები-ჯანმრთელობა"-ს სადაზღვევო პოლისი დაგეხმარებათ მშვიდად იგრძნოთ თავი და არ ინერვიულოთ თქვენი ოჯახის წევრების მკურნალობის ხარჯებზე - თუკი თქვენი ჯანმრთელობა დაზღვეულია, თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიმართოთ ძვირად ღირებულ კლინიკებსა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი თქვენი პატარასთვის ითვალისწინებს პედიატრის, ინფექციონისტის, თვალის ექიმის, სტომატოლოგის, ყელყურის ექიმის, ქირურგის, ნევროპათოლოგისა და სხვა ამბულატორიულ მომსახურებას. გათვალისწინებულია ფსიქოლოგთან უფასო ვიზიტიც კი. გარდა ამისა, პაკეტი ერთი წლით სტაციონარულ მკურნალობას, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, პირადი ოჯახის ექიმის მომსახურებას, მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას, ყოველწლიურ უფასო სამედიცინო შემოწმებას და 24-საათიან სატელეფონო-საკონსულტაციო მომსახურებასაც ითვალისწინებს.

ანალოგიურად, შესაბამისი მოთხოვნების მიხედვითაა შედგენილი ჯანმრთელობის პაკეტი ქალებისთვისა და მამაკაცებისათვის, რომელთაც საშუალება ეძლევათ, მათი სურვილისამებრ ბი სი აი ჯანმრთელობის ცენტრს მიმართონ, სადაც საუკეთესო სპეციალისტების მომსახურებაა გარანტირებული. ჯანმრთელობის დაზღვევის სქემები მრავალფეროვანია ფასების და კომპლექტაციის თვალსაზრისით - შეგიძლიათ შეარჩიოთ თქვენთვის ოპტიმალური ვარიანტი ფასისა და ხარისხის გათვალისწინებით. დამატებითი მომსახურების სახით კი მიიღებთ "ჩემები"-ს VISA ფასდაკლების ბარათსაც.

## ჩემები-სახლი

**"სახლი თითოეული ჩვენგანისთვის სიმყუდროვის და კომფორტის განუმეორებელ ატმოსფეროსთან ასოცირდება. ყველა ადამიანი მიისწრაფვის კომფორტული ცხოვრებისკენ. ეს, პირველ რიგში, უძრავი ქონების შექმნაში აისახება, რასაც საკუთარი გემოვნებით, ყველა "კაპრიზის" გათვალისწინებით ვქმნით. შექმნილის შენარჩუნება კი ყველა ჩვენგანის საფიქრალია. მის სრულ დაცვას ვერ უზრუნველყოფენ სტანდარტული ჩამკეტი და სიგნალიზაციის სისტემები, ხოლო ისეთი მოულოდნელობების წინასწარ გათვლა როგორიცაა მიწისძვრა, ხანძარი, ქურდობა, დატბორვა, ქარიშხალი, მეწყერი, ნიადაგის ჩამოშლა და მრავალი სხვა, სამწუხაროდ, შეუძლებელია. გაუთვალისწინებელი მოვლენები ფინანსურად ყველა ოჯახს აზარალებს. ამდენად, თქვენი მყუდრო გარემოს შენარჩუნების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება დაზღვევაა, ამიტომ დააზღვიეთ თქვენი ქონება და იცხოვრეთ მშვიდად"** - გვირჩევენ "ჩემები".

თქვენ შეგიძლიათ დააზღვიოთ ბინა, სახლი, აგარაკი. ბინები მშენებარე შენობებში, საყოფაცხოვრებო ნივთები (ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა). იმ შემთხვევაში, თუ თქვენი, დაზღვეულ ქონება ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ მისი შეკეთების ან ახალი ბინის საფასურს სადაზღვევო კომპანია აგინაზღაურებთ, მის შეკეთებამდე, ან ახალის შეძენამდე მსგავსი ნაქირავები ბინის ქირასაც "ჩემები" გადაგიხდით.

დამატებით შეგიძლიათ შეიძინოთ დაზღვევა შემდეგი რისკებისგან: წყლის მილების მწყობრიდან გამოსვლა; ქურდობა; მესამე პირის მიერ განზრახ მიყენებული ზიანი. "ჩემები" ასევე გთავაზობთ, მესამე პირთა მიმართ ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევას. რაც იმ ზარალის ანაზღაურებას გულისხმობს, რომელიც მიადგა მესამე პირის ქონებას თქვენს სახლში წარმოქმნილი ხანძრის, აფეთქების ან დატბორვის შედეგად.

ხოლო, თუ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობთ და ბინის მფლობელს (მის ქონებას) უნებურად ფინანსურ ზიანს მიაყენებთ, ამ უკანასკნელს მატერიალურ ზარალს სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურებს.

თუ თქვენ უკვე გააკეთეთ არჩევანი და გადაწყვიტეთ გახდეთ "ჩემების-სახლი"-ს მფლობელი - გახსოვდეთ, რომ თანხა, რომელსაც სადაზღვევო კომპანია თქვენთვის გაიღებს VISA ფასდაკლების ბარათებზე დაგერიცხებათ.

## ჩემები-სამოგზაურო

დრო ფულია. დროის დაკარგვა პირდაპირპროპორციულად აისახება საქმიან ვიზიტებზე. მით უმეტეს, თუ ეს ვიზიტი საზღვარგარეთ უნდა შედგეს. ასევე, ბოლო დროს, ჩვენს ქვეყანაში ხშირია პრობლემები ტრანსპორტთან დაკავშირებით. წარმოიდგინეთ, საზღვარგარეთ საქმიან შეხვედრაზე ან თუნდაც დასასვენებლად მიდიხართ და მეორე ქვეყნის აეროპორტში აღმოჩნდით ფაქტის წინაშე, რომ თქვენი ბარგი ან დაიკარგა, ან იგვიანებს. უცხო ქვეყანაში პრობლემის მოგვარება ბევრად რთულია და ამავდროულად, გაცილებით დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული.

"ჩემების-სამოგზაურო"-ს სადაზღვევო პაკეტი თქვენი მშვიდი მოგზაურობის გარანტიაა. დაზღვევის შემთხვევაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემისგან ხართ დაცული. სამოგზაურო პაკეტი გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯებსაც ანაზღაურებს. წარმოიდგინეთ, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას თქვენი რეისი გადაიდო. იმის ნაცვლად, რომ ავიაკომპანიის მიერ შეთავაზებულ სასტუმროში ელოდოთ ფრენის განახლებას, თქვენ შეძლებთ თქვენი სურვილის მიხედვით შეარჩიოთ კომფორტული სასტუმრო, რადგან თქვენი ცხოვრების ხარჯებს სადაზღვევო კომპანია აგინაზღაურებს.

"ჩემები" გირჩევთ - თუ წლის განმავლობაში საზღვარგარეთ არ გიწევთ ხშირი მიმოსვლა, შეიძინეთ ერთჯერადი პოლისი იმ ვადით, რა პერიოდითაც აპირებთ საზღვარგარეთ ყოფნას. ხოლო, წლის განმავლობაში თუ რამდენჯერმე გიწევთ საზღვარგარეთ გამგზავრება, შეგიძლიათ ისარგებლოთ ძალზე მოსახერხებელი პოლისის სახეობით - მულტიპოლისით, რომელიც საშუალებას მოგცემთ თავიდან აიცილოთ პოლისის რამოდენიმეჯერ განახლების პროცედურა და ერთი პოლისით ისარგებლოთ ყოველი გამგზავრების დროს.

## ჩემები-სიცოცხლე

თქვენ ხართ ოჯახის მარჩენალი და ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა თქვენზეა დამოკიდებული. თქვენს სიცოცხლეს მოულოდნელად საფრთხე თუ დაემუქრა, თქვენი ოჯახი უმწეო მდგომარეობაში არ აღმოჩნდება. მათ კეთილდღეობაზე "ჩემები" იზრუნებს.

სიცოცხლის დაზღვევის ოპტიმალური ვადა დამოკიდებულია დასაზღვევი პიროვნების პირად ინტერესებსა და მოთხოვნებზე. თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად სიცოცხლის დაზღვევაც ძვირდება. ამდენად, შეიძინეთ სიცოცხლის დაზღვევის პაკეტი იმ ვადით, რაც რეალურად გესაჭიროებათ.

**P.S.** სადაზღვევო კომპანია ბი სი აი საქართველოს ბანკის საფინანსო ჯგუფში შემავალი კომპანია გახლავთ. სადაზღვევო პროგრამა "ჩემები"-ს სადაზღვევო პაკეტების შეძენა შესაძლებელია საქართველოს ბანკის მომსახურების ცენტრებში თბილისის ყველა რაიონში. "ჩემები"-ს მოსახურების წერტილებში შეგიძლიათ BCI-ს სპეციალისტების დახმარებით მიიღოთ სრული ინფორმაცია თქვენთვის სასურველი სადაზღვევო პაკეტის შესახებ და ადგილზევე გააფორმოთ სადაზღვევო პოლისი.

---

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

## დაიმახსოვრეთ მოსამართლე - ლევან მურუსიძე

### სასამართლო - ხელისუფლების მფლობელობაში



ხშირად გვსაყვედურობენ, რომ სასამართლოს წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ ვიღებთ ხმას, როდესაც ეს ჩვენს ახლობელს ეხება. სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. მაშინ, როდესაც ჩვენი პროფესია, სამსახური არ არის ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც, მაგალითად, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის და ამ სტრუქტურაში მოღვაწე ადამიანების, ძნელია ყველა იმ უსინდისოდ, არაკეთლისინდისიერად გამოტანილი განაჩენის საქმის კურსში ვიყოთ, რომელიც ქართულ სასამართლოს ყოველდღიურად გამოაქვს. მაშინ, როდესაც, მაგალითად, ჩვენს ქალაქში ყოველდღიურად მრავალი ადამიანი კვდება, ჩვენ არ და ვერ დავდივართ ყოველი მათგანის პანაშვიდზე, მაგრამ მივდივართ იმ ოჯახში, სადაც ჩვენი ახლობელი კვდება. ასეა სასამართლო პროცესიც. ამიტომ, ვფიქრობ, ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ არ არის სამართლიანი. მაგრამ დგება დღე, როდესაც ყოველი ჩვენგანი, თუ ქალაქში ყოველდღიურად გარდაცვლილი ადამიანების სიკვდილის მიზეზი ვიცით, ერთად უნდა დადგეს უსამართლობის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც ხელისუფლება დაუღალავად ტვინს გვირეცხავს ახალი ასფალტითა და შეღებილი სახლებით, უნდა გვახსოვდეს, რომ ფასეული ის არის, ვინც ამ ასფალტზე უნდა იაროს და იმ სახლში იცხოვროს. ვიდრე ისე არ მომხდარა, რომ მხოლოდ "ახალი მთავრობა" დარჩა ამ ქვეყანაში, ხმა ავიმაღლოთ ყველაზე დიდი ბოროტების წინააღმდეგ, რასაც უსამართლო სასამართლო ჰქვია.

გუშინ მიხეილ ჯანიკაშვილის სასამართლო პროცესზე ყველაზე დასამახსოვრებელი მოსამართლის გამომეტყველება იყო. მის უძილო ღამეებს წინასწარმეტყველება არ სჭირდება. სურათი სასამართლო დარბაზში არც ერთ მსოფლიო კლასიკოს მწერალს თუ კინორეჟისორს არა აქვს აღწერილი ისე მძაფრად, როგორიც გუშინ იყო. მოსამართლე თავდახრილი, შერცხვენილი ბავშვივით შემოვიდა დარბაზში და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წაიკითხა განაჩენი, რომელიც აკანკალებულ ხელში ეჭირა. განაჩენი ხელით იყო ნაწერი. როგორც ეტყობა, მოსამართლემ უკანასკნელ მომენტში დაწერა ის. ვერ დავიჯერებ, რომ ამ განაჩენის ავტორი თავად ლევან მურუსიძე გახლდათ. მისი ავტორი, სავარაუდოდ, გენერალური პროკურატურიდან რომელიმე მაღალჩინოსანი იყო. ვერ დავიჯერებ და ამის მიზეზი არც პირადი ნაცნობობა გახლავთ და არც წარმოდგენა მისი პროფესიული განმოცდილების შესახებ. მის მიმართ ჩემი "განაჩენის" საფუძველი მისივე გამომეტყველება გახლდათ, როგორც მისი შინაგანი მდგომარეობის პროექცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბატონ ლევან მურუსიძის საქციელს არ ამართლებს. გაცილებით უფრო მტკივნეულია, როდესაც პატიოსანი ადამიანი ჩაგიყოფს ჯიბეში ხელს. ამიტომ, თუნდაც დარცხვენილი მოსამართლის მიერ მოპარული სიცოცხლის ოთხი წელიწადი არაფერს უმსუბუქებს მათ, ვინც ეს წლები ვიღაცის ჯინიანობის და ბოროტი ზრახვების გამო უნდა დაკარგოს.

მიხეილ ჯანიკაშვილის სასამართლო პროცესის მიხედვით შეიძლება დავინახოთ სასამართლოს შიგნით განვითარებული მოვლენების დინამიკა. თუ ჯანიკაშვილის პირველ სასამართლო პროცესზე მოსამართლე ნახევრად მთვლემარე მდგომარეობაში ისმენდა საქმეს, თან ჯიბეში უკვე გამზადებული განაჩენი ედო, უკანასკნელ პროცესზე ჩვენს წინაშე საკმაოდ ფხიზელი და ისევ სხვისი მითითების აშკარა შემსრულებელი იყო. დანაშაული, რომელიც სამართლებრივად ვერ მტკიცდება, მაგრამ მაინც გვიწევს ამ დანაშაულზე პასუხისგება. ასეთი უდანაშაულო პატიმრების მომავალი მთლიანად ამგვარი "დარცხვენილი" მოსამართლეების ზურგზეა. სწორედ ისინი არიან მათ სიცოცხლეზე პასუხისმგებელნი.

რამდენიმე დღის წინ უმრავლესობის ლიდერი ქალბატონი მაია ნადირაძე საზოგადოების წევრებთან სატელევიზიო დებატებში აცხადებდა, რომ ის ოთხი მოსამართლე, რომელიც გათავისუფლებული იყო სამსახურიდან, დამნაშავეა იმ მანკიერი სისტემის შექმნაში, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საბჭოთა სასამართლო ჰქვია. საინტერესო ნათქვამია. პირველი: სასიხარულოა, რომ ისინი თავად აღიარებენ სასამართლოს მანკიერებას და მეორე: ოდნავ ალოგიკური და უცნაურია, როგორ შეიძლება ოთხი ადამიანი იყოს დამნაშავე ამ დიდი და გახრწნილი სისტემის შექმნაში, სადაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს მინიმალური ოპტიმიზმის საფუძველი. ქალბატონი ლიდერის კიდევ ერთი გამონათქვამი: "წარმოუდგენელია და მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს ამხელა მექანიზმის ასეთ პატარა პერიოდში ნეგატივიდან პოზიტივზე შემოტრიალება". კიდევ ერთი აღიარება, რომ სასამართლო დღეს ჯერ კიდევ ნეგატიური სფეროა და მეორე: თუ შესაძლებელი იყო მანამდე არსებული კიდევ უფრო მეტად გახრწნილი და მანკიერი პოლიციის პატრულით ჩანაცვლება ერთ წელიწადში, რატომ არის შეუძლებელი სასამრთლოში დადებითი ცვლილებების შეტანა. პასუხი ძალიან მარტივია: სასამართლო საკუთარ მფლობელობაში დღევანდელ ხელისუფლებას ყველაზე მეტად სჭირდება. დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო დღევანდელი უსამართლო მთავრობის წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი იარაღი იქნება, რომელიც მათ უკანონო ქმედებებს გამოააშკარავებს. ამიტომ ხელისუფლების მხრიდან დღეს არ არსებობს რეფორმების გატარების ნება.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებას მართებს ბრძოლა სამართლის მოსაპოვებლად. პირველ რიგში მოვითხოვოთ სტატისტიკური მონაცემები, რომელშიც აღწერილი იქნება უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რამდენჯერ დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა და რამდენჯერ - ადვოკატის. სად და რამდენჯერ გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი საკუთარი მოსაზრებით. თუ ხელისუფლებას არ ესმის ხალხის მოთხოვნა – "თავისუფალი სასამართლო", ჩვენი, საზოგადოების ვალია პასუხი მოვთხოვოთ კონკრეტულ მოსამართლეებს, რომელთაც ხელისუფლება პაიკების როლში ამყოფებს. სწორედ მოსამართლეები უნდა ვაიძულოთ, იყვნენ საკუთარი პროფესიის მსახურები და არა "ახალი საქართველოს" ახალი, ბოროტმოქმედი მაღალჩინოსნებისა. თუ სამართლებრივად გამართული ქვეყნის მშენებლობა გვსურს, გუშინდელის მსგავსი, ალბათ სატელეფონო ზარის შედეგად, ხელით დაჯღაბნილი განაჩენების არსებობა უნდა შეწყდეს ჩვენს ქვეყანაში. და დავიჯეროთ, რომ ქვეყნად ყველაზე ფასეული ადამიანის უფლებებისა და სიცოცხლის დაცვაა. ამას ვერც ახალი გზატკეცილი, ვერც ასფალტი და ვერც ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა ვერ შეცვლის.

ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ და ყოველთვის შევახსენოთ ლევან მურუსიძეს და მის მსგავს ყველა მოსამართლეს, რომ უსამართლობა მათთვის ყველაზე უპატიებელი ცოდვაა.

ფეხბურთი

## ჟულიო ბაპტისტა: "ბარსელონა" თითქმის სრულყოფილად თამაშობს"



ბაპტისტას (მარჯვნივ) "რეალის" ეიმედება.

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი ჟულიო ბაპტისტა "მილანისა" და "ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის შესახებ საუბრობს და ამტკიცებს, რომ სულ მალე მდგომარეობა შეიცვლება და უძლიერესთა შორის ბრძოლაში მადრიდის "რეალიც" ჩაერთვება.

**- უყურე "მილანი"-"ბარსელონას" თამაშს? როგორია "ბარსა"?**

- მათ ძალიან კარგად ითამაშეს და საერთოდ შესანიშნავ სეზონს ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ "ბარსელონას" შემადგენლობაში დანაკლისი იყო, მათ მაინც შეუდარებლად ითამაშეს.

**- შენ მიეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც "ბარსელონას" დამარცხებას უსურვებს?**

- მე ვუყურებ მათ მატჩებს, მაგრამ არ ვქომაგობ არც მათ და არც მათ მეტოქეებს. მე არ ვუსურვებ არც გამარჯვებას და არც მარცხს. მე უბრალოდ ფეხბურთს ვუყურებ.

**- და გეჩვენება, რომ ამ სეზონში მათ დუბლის შესრულება შეუძლიათ?**

- იმის გათვალისწინებით, თუ როგორ თამაშობენ, მათ შეუძლიათ ამის გაკეთება. ისინი თითქმის სრულყოფილად თამაშობენ. და ეს გამარჯვებები მათი მუყაითი შრომის შედეგია. თუმცა დარწმუნებული ვარ, თუ მომავალ სეზონში ისე ვითამაშებთ, როგორც შეგვიძლია, სიტუაცია შეიცვლება.

**- შენ გოლების გატანა დაიწყე, მაგრამ ეს გუნდს გამარჯვებაში მაინც ვერ ეხმარება...**

- მართალია. დღეს მხოლოდ გამარჯვებები გვჭირდება. ჩვენ ძალიან ბევრი ქულა დავკარგეთ. არადა, ეს ქულები რომ აგველო, პირველ ადგილთან უფრო ახლოს ვიქნებოდით. ბოლო ხუთი მატჩიდან ხუთივე უნდა მოვიგოთ.

**- ჰო, მაგრამ "მალაგა" მადრიდში შეიძლება ისე წარმოჩინდეს, როგორც ამას წინათ "რეალ სოსიედადი" გამოჩნდა.**

- ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში სრული მობილიზება გვმართებს და თამაშამდე არ უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე მოვიგეთ. "ბერნაბეუზე" ყველა გუნდი მოსაგებად მოდის, მაგრამ ჩვენ მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- კლუბში მოსვლის დღიდან ახლა საუკეთესო პერიოდი გაქვს?**

- ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვარ. ამას თვითონ ვამჩნევ ვარჯიშებზეც და თამაშის დროსაც. მე უფრო ცოცხლად ვმოქმედებ და მეტოქეზე ადრე ვჩნდები ბურთთან. საწყენი ის არის, რომ ეს ყველაფერი ცოტა გვიან მოხდა. თუმცა მე კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით "ხეტაფესთან" შეხვედრაში. უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, სამი ქულა რომ მოგვეპოვებინა.

**- სეზონის დასრულებას უკვე ელოდებით?**

- ჩვენ გვინდა წლევანდელი სეზონი მეორე ადგილზე დავასრულოთ და მომავალი ნულიდან დავიწყოთ, რათა წარსული შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

**- მეორე ადგილი ჩავარდნა იქნება?**

- დიახ, რადგან დასახული მიზანი ვერ შევასრულეთ. ეს კი კლუბისთვის ძალიან ცუდია. ფეხბურთელებისთვისაც ცუდია. ამიტომ დარჩენილ მატჩებში ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, რადგან სხვა გამოსავალი აღარ გვაქვს.

**- რას ფიქრობ ანჩელოტის შესახებ?**

- ჩვენ არ ვიცით ვინ იქნება მწვრთნელი და არც იმის უფლება მაქვს ვთქვა, კაპელო მომწონს თუ ანჩელოტი. ანჩელოტი უკვე დიდი ხანია "მილანში" მუშაობს. ის კარგი მწვრთნელია.

**- "სევილია" უეფას თასის ნახევარფინალში თამაშობს...**

- მათ უაღრესად კონკურენტუნარიანი გუნდი ჰყავთ. გასულ ზაფხულში კლუბი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ისინი არ დასუსტებულან.

**- შენ სევილიიდან მადრიდში ტიტულების მოსაგებად გადმოხვედი, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იმედგაცრუებაა...**

- მთავარია არა დასაწყისი, არამედ ბოლო. ჩემი კონტრაქტი 5-წლიანია. მთელი ჩემი გონება ახლა "რეალისკენ" არის მიმართული. იმედი მაქვს, მომავალ წლებში მდგომარეობა შეიცვლება. აქ მოსვლის პირველივე დღიდან იმის დამტკიცებას ვცდილობ, რომ ამ გუნდში ყოფნის ღირსი ვარ. ყოველთვის ვცდილობ, რაც შეიძლება უკეთ ვითამაშო. მუდამ ბოლომდე ვიხარჯები.

**- დათანხმდებოდი გამხდარიყავი რომელიმე ფეხბურთელის ტრანსფერის ნაწილი? მაგალითად, ტიერი ანრის.**

- არა, არ დავთანხმდებოდი.

# „მილიონერთა კლუბის" უფრო მილიონერი

### მიხაელ ბალაკი, ფაქტობრივად, "ჩელსიშია"

*სულ მალე "ბავარიისა" და გერმანიის ნაკრების მოწინავე ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი ოთხი წლით ლონდონის "ჩელსის" მაისურს მოირგებს. გერმანული ტელეკომპანია ZDF-ის ცნობით, ოთხწლიანი თანამშრომლობის პირობები შეთანხმებულია, მხოლოდ ხელმოწერაღაა დარჩენილი. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ბალაკი "არისტოკრატთა" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.*



ბალაკი "არისტიკრატთა" შორის ყველაზე მდიდარი ხდება.

ის ფაქტი, რომ ბალაკი "ბავარიის" დატოვებას აპირებდა, წლის დასაწყისში გახდა ცნობილი. რამდენიმე წლის წინათ გერმანელის გადაბირების მთავარ პრეტენდენტად მადრიდის "რეალი" ითვლებოდა, წლეულს გაზაფხულზე კი "სამეფო კლუბის" ადგილი ლონდონის "ჩელსიმ" დაიკავა. "არისტოკრატებთან" გადასვლაზე საუბარი აპრილში უფრო აქტუალური გახდა. და აი, ყველაფერი გამოაშკარავდა. ZDF-ის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, მიხაელ ბალაკი "ჩელსის" წინადადებას დათანხმდა. ახლა მხოლოდ ხელმოწერაა საჭირო.

ბავარიელებთან ახლანდელ ხელშეკრულებას ივნისში ეწურება ვადა. ბალაკს კი აშკარად არ სურდა ამჟამინდელ კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება. ამასობაში გერმანული კლუბის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა, რომ მათი ნახევარმცველი მოურიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებას სხვა კლუბთან.

ზუსტად ერთი კვირის წინათ "ბავარიის" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა ჟურნალ "კიკერთან" ინტერვიუში ნახევარმცველი გააკრიტიკა: "მიხაელს არ აინტერესებს ახალი ენა, ახალი ქვეყანა და ახალი კულტურა. მას მხოლოდ ვალუტა აინტერესებს. ჩვენ მას ახალ ხელშეკრულებას ვთავაზობდით, მაგრამ "ბავარიას" ჯერჯერობით არ შეუძლია შეებრძოლოს ისეთ "ურჩხულს", როგორიც რომან აბრამოვიჩია". საგულისხმოა, რომ ბავარიელთა ბოლოდროინდელი განცხადებები შედარებით შერბილდა. "ჩელსიში" კი ბალაკს უკვე ელიან.

ლონდონელთა პორტუგალიელი დამრიგებელი ჟოზე მოურინიოც არ ფარავს აღფრთოვანებას გერმანელი ფეხბურთელის თამაშით.

კვირას გერმანულმა ტაბლოიდმა Bild-მა ბალაკის მოურინიოსეული შეფასება გამოამზეურა: "მას პირველი კლასის მოთამაშის ყველა თვისება აქვს. მისმა საფეხბურთო ინტელექტმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი ხანია ვაკვირდები და შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან მომწონს. ოღონდ მინდა, რომ საკუთარ მომავალთან დაკავშირებით მსოფლიოს ჩემპიონატამდე გაერკვეს".

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, მოურინიო უკმაყოფილო არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსის" ოფიციალური წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებებისგან თავს იკავებენ. ასეა თუ ისე, ბალაკის ლონდონში გადასვლა რომ გადაწყვეტილი ამბავია, ამას წყალი არ გაუვა.

ჯერჯერობით უცნობია გერმანელსა და კლუბს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფინანსური მხარე, მაგრამ რიგი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ბალაკი "არისტოკრატებისგან" მიიღებს 175 ათას ევროს კვირაში! აქედან გამომდინარე გერმანელი ნახევარმცველი გახდება "მილიონერთა კლუბის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე. ბალაკამდე ასეთი სტატუსით სარგებლობდა ჩელსელთა კაპიტანი ჯონ ტერი - კვირაში 90 ათასს ფუნტი სტერლინგი.

თუ ოთხწლიან ხელშეკრულებას ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ რომან აბრამოვიჩს ბალაკი 35,500 მილიონი ევრო დაუჯდება. ისიც გავითავლისწინოთ, რომ ამ თანხაში არ შედის დამატებითი პრემიები.

საგულისხმოა ისიც, რომ "ბავარიის" შემადგენლობაში ბალაკმა ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების მეოთხედფინალში ითამაშა "ჩელსის" წინააღმდეგ. ორივე მატჩის ჯამში (4:2, 2:3) გამარჯვებულ ლონდონელებს ერთი ბურთი პენალტით (პირველ შეხვედრაში ლონდონში) ბალაკმა გაუტანა.

რაც შეეხება "ჩელსიში" გადასვლის სხვა კანდიდატებს, მათ შორის ასახელებენ "არსენალის" მცველს ეშლი კოულს და კორინთიანსელ არგენტინელებს ჰავიერ მაშერანოსა და კარლოს ტევესს.

რიგი საინფორმაციო წყაროები იმასაც ამბობენ, რომან აბრამოვიჩი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ მილანის უკრაინელ თავდამსხმელს ანდრეი შევჩენკოს "ჩელსის" მაისური ჩააცვასო.

მეკლდეურობა

# წამმზომი ხელოვნურ კლდეზე

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელოვნურ კლდეებიან დარბაზში სტარტი აიღო ცნობილი მთამსვლელისა და მეკლდეურის ირაკლი გელდიაშვილის სახელობის მემორიალმა. მერვე ტრადიციული მემორიალი, ადრინდელისგან განსხვავებით, აშკარად მრავალრიცხოვანი გამოდგა.*

რამდენიმე წელიწადია გელდიაშვილის სახელობის მემორიალი საქართველოს უძლიერეს მეკლდეურებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას აძლევს. ყაზბეგი, მესტია, ლენტეხი, გორი, ქუთაისი, ბათუმი. მასპინძელთა სამი გუნდი - თბილისის მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლა, თბილისის ახალგაზრდა მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბი და თბილისის



ხელოვნურ კლდეზე მეტოქედ მხოლოდ წამზომია.

ორი შემადგენლობა – ეს იმ რეგიონთა თუ ქალაქთა ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებიც გუშინ სწრაფ ცოცვაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ჩამონათვალი სრული იქნებოდა, მემორიალზე მესტიელებსაც რომ ესასპარეზათ, მაგრამ მათი ჩამოუსვლელობის მიზეზიც საპატიოა (ტურნირამდე ორი დღით ადრე გუნდის მწვრთნელს სახლი დაეწვა).

ერთი სიტყვით, გუშინ ხელოვნურკლდეებიან დარბაზში 15 გოგონამ და 42 ვაჟმა მოიყარა თავი. მემორიალი ორდღიანია. პირველი დღე სწრაფ ცოცვას დაეთმო, დღეს კი მეკლდეურებს რთულად ცოცვაში ანუ უარყოფით კედელზე მოუწევთ გაჯიბრება, რაც პირველისგან იმით განსხვავდება, რომ აქ წამმზომს ნაკლები დატვირთვა აქვს – აქცენტი მონაკვეთის დაძლევაზე კეთდება.

რაც შეეხება სწრაფ ცოცვას, სახელწოდებიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ის, რომ მონაწილეებს წამმზომი უწევთ მეტოქეობას.

...1984 წლის 28 თებერვალს უშბიდან დაშვებისას საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები: გიორგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, დავით კობახიძე, გია თუშური და ირაკლი გელდიაშვილი ზვავმა იმსხვერპლა. დღეს კი გელდიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელობის მემორიალი ეწყობა.

**სწრაფი ცოცვა:**

**ვაჟები**

1. გურამ გაზდელიანი (ლენტეხი)
2. ავთანდილ ქურასბედიანი (თბილისი)
3. გიორგი კობახიძე (ახალგაზრდა მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბი)

**გოგოები**

1. ნუცა ხუციშვილი (თბილისი)
2. თაკო დიდებულიძე (თბილისი)
3. ქეთინო ნაცვლიშვილი (ახალგაზრდა მთამსვლელთა და მეკლდეურთა კლუბი)


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## განცხადება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 31 მარტის 232-ე ბრძანებაში 2006 წლის 20 აპრილის N371-ე ბრძანებით შევიდა ცვლილება**

**და ბრძანების** პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი

რედაქციით:

ბ) არაუგვიანეს 2006 წლის 25 აპრილისა - სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის".

ალნიშნული ცვლილების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 25 აპრილი.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

bp

## BP საქართველო-ს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006

საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგო კომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4 თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

- მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება
- მიწის და მიწის რეგულირების საკითხები
- კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები
- შესყიდვები
- ფინანსები და საბუღალტრო საქმე

**მოთხოვნები**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.

განცხადების ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - ს საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38

შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილამდე

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს გლობალური ფონდის პროექტის "აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" ფარგლებში მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია: მედიკამენტები

| ლოტის N | დასახელება | განზომილების ერთეული (აბი /კაფსულა /ფლაკონი /ბოთლი) | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ზიდოვუდინი (ZDV) | 300 მგ, აბი | 63300 |
| | ზიდოვუდინი (ZDV) | 10 მგ/მლ (100 მლ), სიროფი | 552 |
| ლოტი 2 | სტავუდინი (d4T) | 15 მგ, კაფსულა | 960 |
| | სტავუდინი (d4T) | 20 მგ, კაფსულა | 960 |
| | სტავუდინი (d4T) | 30 მგ, კაფსულა | 7320 |
| | სტავუდინი (d4T) | 40 მგ, კაფსულა | 43800 |
| ლოტი 3 | ლამივუდინი (3TC) | 150 მგ, აბი | 110100 |
| | ლამივუდინი (3TC) | 10 მგ/მლ (240 მლ) სუსპენზია | 313 |
| ლოტი 4 | ნევირაპინი (NVP) | 200 მგ, აბი | 26820 |
| ლოტი 5 | ნევირაპინი (NVP) | 50 მგ/5 მლ (100 მლ) სუსპენზია | 567 |
| ლოტი 6 | ეფავირენზი (EFV) | 200 მგ, აბი | 129780 |
| ლოტი 7 | აბაკავირი (ABC) | 20 მგ/მლ (240 მლ) სიროპი | 16 |
| | აბაკავირი (ABC) | 300 მგ, აბი | 11460 |
| ლოტი 8 | ტენოფოვირი (TDF) | 300 მგ, აბი | 6330 |
| ლოტი 9 | დიდანოზინი (ddI) | 25 მგ, აბი | 1920 |
| ლოტი 10 | დიდანოზინი (ddI) | 50 მგ, აბი | 2160 |
| | დიდანოზინი (ddI) | 100 მგ, აბი | 48720 |
| ლოტი 11 | ლოპინავირ /რიტონავირი (LPV/R) | 200მგ/50მგ, აბი | 19080 |
| | ლოპინავირ/რიტონავირი (LPV/R) | 80 მგ/20მგ, აბი (160 მლ) სუსპენზია | 34 |
| ლოტი 12 | საქვინავირი (SQV) | 200 მგ, აბი | 21330 |
| ლოტი 13 | რიტონავირი | 100 მგ, აბი | 8568 |
| ლოტი 14 | ცეპტრიაქსონი (ცეფტრიაქსონ სოდიუმი) | 1 გრ., ფლაკონი, N1 | 40 |
| | ცეფოპერაზოლი | 1 გრ., ფლაკონი | 100 |
| | დოქსიციკლინი | 100 მგ, კაფსულა | 100 |
| | ბენზატინ ბენზილპენიცილინი | 2,4 მლნ. სე. ფლაკონი | 250 |
| | ნიმორაზოლი | 500 მგ, აბი | 150 |
| | ფლუკონაზოლი | 150 მგ, აბი | 400 |
| | ჯოზამიცინი | 500 მგ, აბი | 70 |
| ლოტი 15 | "მეტადონის ჰიდროქლორიდი" | 0,1%-იანი დასალევი სითხე (სიროფი), 1 ლიტრიან ბოთლში | 1300ლ |
| | | 0,5%-იანი დასალევი სითხე (სიროფი), 1 ლიტრიან ბოთლში | 560ლ |
| ლოტი 16 | ქინინი | 15 მგ, აბი, N1000 | 100 |

4. მიწოდების ვადა და პირობები: მედიკამენტების მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 მაისიდან 2006 წლის 15 ოქტომბრამდე. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ქ.თბილისში, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე;

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლიარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 მაისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 12 მაისის 17:00 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაცის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონლი ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელს სახელი და გვარი);

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელების ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში).

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი), ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ (არარეზიდენტი პირი) საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის ნომერი ლარებში: 360898102052720400003 (005606074); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, 2006 წლის 11 მაისის 12:00 საათამდე), მისამართზე ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, V სართული.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ თითოეული ლოტის მიხედვით მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ცალკეული ლოტის მიხედვით.

11. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით აბდუშელიშვილი, აკაკი ლოჩოშვილი. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი", მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, ტელ.: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, ფაქსი: (995 32) 331-939, E-mail: globalfund@caucasus.net




# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს სალიანდაგო ღორღის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

მიწოდების ადგილი - მხარეთა შეთანხმებით.

| | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი N 1 | გარეცხილი სალიანდაგო ღორღი ფრაქცია 40-60 მმ, გოსტი 7392-85 | მ³ | 93 750 |

მიწოდების ფორმა : ვაგონებში დატვირთული.

3. მიწოდების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ეტაპობრივად.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 15 და 16 მაისი 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) ინფორმაცია მანქანა დანადგარების შესახებ, რომელსაც პრეტენდენტი იყენებს თავის საქმიანობაში.

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

ფიზიკური პირებისათვის :

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

ბ) ინფორმაცია მანქანა დანადგარების შესახებ, რომელსაც პრეტენდენტი იყენებს თავის საქმიანობაში.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქარტველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 21 აპრილიდან აცხადებს ტენდერს ცემენტის შესყიდვის შესახებ

**შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"**, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ღია ტენდერს ელექტრო საქონლისა და მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი **"რესპუბლიკა"** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ლოტიN1 | ცემენტი მარკით -მ 400 | ტ | 835 |

**მიწოდების ადგილი:**
- **DDP** ქ. თბილისი

3. **მიწოდების სასურველი ვადა**:

4. პრეტენდენტებმა **სატენდერო წინადადება** და **საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა წარმოადგინოთ ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და მისი ასლი) შევსებული ქართულ და რუსულ ენაზე.
- დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადაა 2006 წლის **15 და 16 მაისი** 900-1800 სთ-მდე.
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული).

5. **საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

a) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

b) ცნობა შესაბამის ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა,რომლის მოქმდების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის :**

a) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა,რომლის მოქმდების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51;

**სატენდერო კომისია**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# არავითარი კულტი! მოდაში შენ ხარ!

თამარ ბაბუაძე




ბრძოლა თემაზე – "მოსკინო" თუ "მოშინო" ამჯერად "მოსკინოს" სასარგებლოდ გადაწყდა. ფრანკო გვარად ნამდვილად მოსკინო იყოო, თქვეს ამ უცნობილესი იტალიური ბრენდის რუსმა წარმომადგენლებმაც და ჩვენც დავნებდით. ისედაც, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ თქვა ეს გაბედული სიტყვები – მოსკინომ თუ მოშინომ. მთავარია, რომ ამ კლიშეებისგან თავისუფალმა კაცმა ხმამაღლა გამოაცხადა ეს: "მოდაში კულტი აკრძალულია! მოდურია ის, რაც თქვენ მოგწონთ. ნუ გახდებით მოდის მსხვერპლი".

თქვენ მოგწონთ ირონია მოდაში? კი, ბატონო – მაშინ ეს კოსტუმი მოირგეთ, ვითომ მკაცრ "შანელს" ჰგავს, ამ დროს ფერადი ღილები აქვს დაკერებული და ისეთი სახალისოა! ანდა ეს ქურთუკი ნახეთ – ჯიბეზე ზევიდან ყვითელი და მადისაღმძვრელი ერბოკვერცხი ახატია; აი, ეს ხავერდის დათუნიები კი ერთმანეთზეა გადაკერებული და გრძელ და ელეგანტურ ყელსახვევს ქმნიან. არც ეს საღამოს კაბაა ჩვეულებრივი – მას მოცეკვავე მიკი მაუსები ახატია...

ფრანკო მოსკინო 1994 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ამ დროისთვის 1983 წელს გახსნილი ბრენდი უკვე ისეთი პოპულარული იყო, რომ ჯერ ინერციით გაგრძელდა, შემდეგ კი მოსკინოს ორიგინალური იდეები კომპანიის ახალმა მფლობელებმა განავითარეს და ლოგო MOSCHINO დღემდე წარმატების ზენიტში რჩება.

რატომ ვამტკიცებთ ამ ყველაფერს დღეს? ცხადია, ჯერ ჩვენთან მოსკინოს ბუტიკი არავის გაუხსნია. ისედაც, აწგარდაცვლილი ფრანკო იმდენად პატრიოტი იყო თავისი იტალიის და კონკრეტულად მშობლიური მილანის, რომ პარიზში ბუტიკი მხოლოდ წლების შემდეგ გახსნა. დღეიდან, უბრალოდ, მოსკინო "ისი პარის" მაღაზიათა ქსელის ვიტრინებში გამოჩნდება აქტიურად და ის რომ არ გეგონოთ, რიგითი, სტანდარტული სუნამოების მწარმოებელი, ამიტომაც შეგახსენებთ – მოსკინოს უყვარს ხუმრობა, აქვს კარგი იუმორი, არის ზედმიწევნით პოპ და უბრალო ადამიანი და იცის, როგორ გამოიწვიოს თქვენში ინტერესი, რომელიც გულწრფელი სიცილით დასრულდება.

თუნდაც ახლა – 2006 წელს გამოვიდა "მოსკინოს" ახალი სუნამო მამაკაცებისთვის. FRIENDS, რომლის სარეკლამო პლაკატზეც იტალიის დროშით სახემოხატული ორი ადამიანია გამოსახული. გამოკითხულ რესპონდენტთაგან ზოგმა ამტკიცა, რომ პლაკატზე ორივე გოგონაა, ზოგმა თქვა, რომ ეს გოგონასა და ბიჭის წყვილია და არც ერთმა არ დაიჯერა, რომ ორივენი ბიჭები არიან. თუმცა, მოსკინოს არც არასწორი ორიენტაცია უგულისხმია და არც სუნამო დაუმზადებია ექსკლუზიურად ჰომოსექსუალებისთვის. მან უბრალოდ იხუმრა და თქვა, რომ არ არის აუცილებელი კაცი იტალიაში დამკვიდრებული ხმელთაშუაზღვისპირელი მაჩოს ტიპის იყოს, მთავარია, ის იყოს ერთგული მეგობარი და შინაგანად თავისუფალი ადამიანი – და სუნამოსაც ასეც ჰქვია – "მეგობრები".

"ისი პარის" პრეზენტაცია Fashion კაფეში გაიმართა, შემდეგ კი "მილანის" საფეხბურთო გუნდის საგულშემატკივროდ მისულ მამაკაცებს საჩუქრად "საცდელებიც" დაურიგდათ. მართალია, იმ საღამოს მალდინის გუნდმა წააგო, მაგრამ კალაბრიული ბერგამოტის, მწვანე მანდარინისა და წითელი ატმის ცინცხალმა არომატმა ბევრ მამაკაცს დაუბრუნა კარგი განწყობა.

ცხადია, არაფერი დაუშავებიათ ქალებს. ამიტომ "ისი პარის" მაღაზიებში მოსკინოს პარფიუმერიის მოკითხვა მანდილოსნებსაც შეუძლიათ. წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ხუმრობების გუდას მოსკინო ქალების შემთხვევაში უფრო ხშირად ხსნის ხოლმე პირს. ამიტომ ასევე წინასწარ გაფრთხილებთ, მოსკინოს ბოლო – 2005 წელს გამოსული სუნამო I LOVE LOVE ("მე მიყვარს სიყვარული") გაგრძელებაა 1995 წელს დაწყებული სუნამოების იუმორისტული ხაზის, CHEAP&CHIC (იაფი და ლამაზი), რომელიც მოსკინომ ერთი მულტიპლიკაციური პერსონაჟის გარშემო ააგო. ეს პერსონაჟი მულტფილმის გმირი – მოდელი ოლივიაა. ფლაკონსაც ოლივიას ფორმა აქვს, თავსახური მისი კიკინით გვირგვინდება. პირველივე სუნამომ საოცარი შოკი გამოიწვია. ოლივიას მამაკაცის მოპოვების რეცეპტი მოჰყვა, დაახლოებით ასეთი შინაარსის:

"აიღეთ CHEAP&CHIC-ის ერთი ფლაკონი, დაუმატეთ ერთი სიმპათიური მამაკაცი, ცოტაოდენი შარმი, ერთი მუჭა სიგიჟე, სიცილი და სიყვარული გემოვნებით..." ქალები ისე გაერთნენ, რომ მოსკინოს შემდეგ წლებში გამოსული სუნამოებიც უცებ გაანადგურეს. 2005-ში გამოსული I LOVE LOVE ამ გიჟურ ხაზს აგრძელებს. უბრალოდ, 2005-ში, მოსკინოს აზრით, სიყვარულის დრო დამდგარა. და თუ 1995-ში ის უბრალოდ მამაკაცებით გართობას სთავაზობდა ქალებს, ახლა მოუწოდებს – შეიყვარეთ. ახალ ოლივიას ცეცხლისფერი კიკინა აქვს, ისევ მხიარულია და ისევ ცინცხალი სურნელით გამოირჩევა.

ასე რომ, დამეთანხმეთ, აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამ მხიარული მოდის ავტორს მოსკინო ჰქვია თუ მოშინო. მთავარია, ის ხუმრობს და ამ ხუმრობაში აყოლას საოცრად არომატული სუნამოებით ჩვენც გვთავაზობს.

# კოელიო და ჩერნობილი

პაოლო კოელიოს ახალ წიგნში უკრაინაში მომხდარი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ტრაგედიაც აისახება. ამის შესახებ თავად კოელიომ განუცხადა ჟურნალისტებს კიევში ყოფნისას.

"როდესაც პირველად ვესტუმრე უკრაინას, ამ ქვეყანამ და ამ ხალხმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემს ახალ წიგნში არის ერთი თავი, სადაც მე ჩერნობილის ტრაგედიას ვიხსენებ", - ამბობს კოელიო. მან შეკრებილ საზოგადოებას მოუთხრო, რომ გასული ვიზიტის შემდეგ უკრაინაზე დაწერა რამდენიმე სტატია, რომელიც მსოფლიოს 45 ქვეყანაში გამოიცა. კოელიოს დაგეგმილი აქვს შეხვედრები თავის მკითხველებთან კიევსა და ოდესაში.

პაოლო კოელიომ იმედი გამოთქვა, რომ მისი ამჟამინდელი ვიზიტი უკრაინაში უკანასკნელი არ იქნება.

24 საათი — BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British Airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

**კი** **არა**

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

**კი** **არა**

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

**კი** **არა**

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში Molton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

**კი** **არა**

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.



# აფიშა

## 21 აპრილი

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და...პრეზიდენტი"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
"ჩვენი პატარა ქალაქი"
რეჯსორი მიხეილ თუმანიშვილი
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
დავით ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
"სლივენის იღბლიანი რიცხვი"
დასაწყისი: 13:00; 17:00; 19:30; 22:00

"ჩემი აუტანელი ძიძა"
დასაწყისი: 15.00

**გალერეა**

**ჰობი**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

# საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

***საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა ამა წლის 19 აპრილს განიხილა საკონკურსოდ შემოსული მასალები და 2006 წლის რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატობის ნომინანტებად დაამტკიცა კანდიდატები:***

### ლიტერატურის დარგში

1. პოეტი **შოთა ზოიძე** - ლექსების კრებულისათვის "სვეტი ნათლისა" და "წითელი თოვლი თეთრ ქალაქში" (გამომცემლობა, "აჭარა", 2002, გამომცემლობა "ჯ. ღვინჯილია", 2006). წარმოადგინა ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

2. პოეტი **გენო კალანდია** - ლექსების კრებულისათვის "ავტოგრაფები ქვაზე" (გამომცემლობა "ქუთაისის სააქციო საზოგადოება", "მანდარიას სტამბა", 2005). წარმოადგინა აფხაზეთის გ. შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა.

3. მწერალი **ვახუშტი კოტეტიშვილი** - მემუარული რომანისათვის "ჩემი წუთისოფელი" (გამომცემლობა "მერკუტოვის ამხანაგობა". სანკტ-პეტერბურგი, 2005). წარმოადგინა "ქართულმა პენ-ცენტრმა".

4. პოეტი **იზა ორჯონიკიძე** - ლექსების კრებულისათვის "რომაული არდადეგები" (გამომცემლობა "შ.პ.ს. ""ფორმა", 2005). წარმოადგინა "ქართულმა პენ-ცენტრმა".

5. პოეტი **ბესიკ ხარანაული** - რომანისათვის "ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის" ("ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005). წარმოადგინა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ"

### მუსიკის დარგში

1. კომპოზიტორი **ვაჟა აზარაშვილი** - 2003 წლიდან 2006 წლამდე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, მთელი შემოქმედების გათვალისწინებით. წარმოადგინა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითმა კავშირმა.

2. **"ერისიონის"** - საქართველოს ხალხურის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ლოტბარი **ჯემალ ჭკუასელი** და მთავარი ქორეოგრაფი **რევაზ ჭოხონელიძე**, ბოლო სამი წლის საკონცერტო მოღვაწეობისათვის. წარმოადგინა ტელეკომპანია "მზემ".

### სახვითი ხელოვნების დარგში

1. მხატვარი **დიმიტრი ერისთავი** - ბოლო სამი წლის მანძილზე შესრულებული და გამოფენილი ნაწარმოებებისათვის (გრაფიკული ციკლი), მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.

წარმოადგინა საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანებამ "სურათების ეროვნულმა გალერეამ".

2. მხატვარი **თენგიზ ჯაფარიძე** - მთელი შემოქმედების გათვალისწინებით. წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირმა.

### თეატრის დარგში

1. დრამატურგი **ლაშა თაბუკაშვილი** -– პიესისათვის "ასტეროიდეზე აღარ იწვიმებს" (ჟურნალი "ახალი საუკუნე", 11. 2005). წარმოადგინა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ.

2. მსახიობი **დიმიტრი ჯაიანი**, მწერალი **გურამ ოდიშარია** – სპექტაკლისათვის "ზღვა, რომელიც შორია". წარმოადგინა ჟურნალმა "ჩვენი მწერლობა".

### კინოხელოვნების დარგში

კინორეჟისორი **რეზო ესაძე** - მთელი შემოქმედების გათვალისწინებით. წარმოადგინა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა.

**გაზეთ „24 საათის" 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის დაბა წყნეთის გამგეობის განცხადებაში გაიპარა უზუსტობა. ნაცვლად 2007 წლისა უნდა იყოს 2006 წელი.**



www.interes.ge

**სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!**

**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა.
გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**

ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ TV, გურმანი, sms-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, Chat, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

TV5MONDE

## 21 აპრილი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ექ.ჟან-ივ ნევე - მეტრი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.35** გადაცემა: გურმანი. **12.15** უჩვეულო ამბის ქრონიკები. ტასმანიაში ვეფხვის გამოჩენა. დოკ. ფილმი. **14.05** თV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ფანტასტიკა. მხ ფილმი. რეჟისორი ჟილ კარლი. 1980. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** სასახლის ბაღი. ტელესერიალი. **23.00** ლუიზას მოგზაურობა. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ვოლსონი. 2004. **01.20** გადაცემა: თავად განსაჯეთ.

ცენტრ პოინტ ჯგუფი

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა. მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

სპეცოპერაცია, სახელწოდებით "ნაბეღლავი"

"ქინძმარაულის მარანი" მაისში ღვინოს ევროპაში გაიტანს

ავტომანქანების გასამართი ბუნებრივი აირის ტარიფს 2-3 დღეში დაიანგარიშებენ

მესამე თაობის მობილური სიხშირის ლიცენზიის მისაღებად "ჯეოსელი" და "არგოტექსი" იბრძოლებენ B2

აშშ-ში ნავთობის მარაგი ბოლო კვირის განმავლობაში 800 ათასი ბარელით შემცირდა

გერმანელი ექსპერტები მოსალოდნელ ენერგოკრიზისზე ალაპარაკდნენ

ნამდვილი საჩუქარი B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3522 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0104 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4952 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8190 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8460 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1497 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3014 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3166 |
| 1 ევრო | EUR | 2,2477 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4369 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3498 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3671 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1555 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2456 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1993 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2383 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4000 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5977 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,1745 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3795 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3965 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2875 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5772 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6111 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0662 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1387 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4042 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5659 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4969 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,5952 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8504 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2295 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1454 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4431 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2415 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4344 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0789 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2270 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2346 |




# ფარმაცევტული ბაზარი დღეს



| იმპორტ-ექსპორტი 2004 - 2006 წლებში | | |
|---|---|---|
| წელი | რაოდენობა კგ. | ღირებულება აშშ დოლარებში |
| იმპორტი | | |
| 2004 | 5 003 405 | 90 432 814 |
| 2005 | 4 158 265 | 105 038 953 |
| 2006 (I კვარტ.) | 890 285 | 26 886 714 |
| იმპორტი ჰუმანიტარული | | |
| 2004 | 100 793 | 19 148 424 |
| 2005 | 100 113 | 12 569 449 |
| 2006 (I კვარტ.) | 33 397 | 1 159 085 |
| ექსპორტი | | |
| 2004 | 196 362 | 2 622 406 |
| 2005 | 296 896 | 4 000 623 |
| 2006 (I კვარტ.) | 100 337 | 1 395 713 |

ეთერ მამულაშვილი

*ეს ბიზნესი რომ სარფიანია, ამას ფარმაცევტულ ბაზარზე რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობაც ადასტურებს. თავის დროზე პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რაც ფარმაცევტული საქმიანობის შეღავათიან დაბეგვრას ითვალისწინებდა, ბიზნესის ეს სახეობა სერიოზული ნაბიჯებით წავიდა წინ.*

- ფარმაცევტულ ბაზარზე დღეს სერიოზული კონკურენციაა, თუმცა სიტუაცია დაბალანსებულია და "გაწონასწორებული". შეიძლება ითქვას, რომ ამ ბაზარზე თავისუფალი ნიშა, პრაქტიკულად, არ არის დარჩენილი.
- საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესი, განსაკუთრებით - იმპორტის ნაწილში, ძალიან სწრაფად ფართოვდება.

B3

# რუსეთის ბაზარზე ქართულ ჩაისაც აღარ უშვებენ

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*რუსეთი საკუთარ ბაზარზე ქართულ ჩაისაც უქმნის პრობლემებს. რუსეთის მოქალაქე, არტურ ციბიკოვი ჩაქვში ციტრო-ჩაის ფაბრიკის მფლობელია, მაგრამ პროდუქცია თავის ქვეყანაში ვერ შეაქვს. პარალელურად, აჭარაში პრობლემები ექმნება თურქ ბიზნესმენ რეჯებ ქოსეს, რომელიც, რამდენიმე ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციის იჯარით აღებით და დამუშავებით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას აპირებდა. აჭარის მთავრობის დაპირების მიუხედავად, ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მიწის რეფორმის დასრულების გამო, ბიზნესმენი ჩაის პლანტაციას იჯარით ვეღარ აიღებს.*

- მიწის კანონის თანახმად, სახელმწიფო მიწას იჯარით აღარ გასცემს. იგი ამიერიდან აუქციონის წესით გაიყიდება.
- ინვესტორს მიწის ყიდვის ნაკლები შანსები აქვს - პრივატიზაციის შემთხვევაში, დღევანდელ მოიჯარეს მიწის გამოსყიდვის უპირატესობა აქვს.
- რამდენიმე დღის წინ რუსეთში გაგზავნილი პროდუქცია საზღვრიდან უკან მოაბრუნეს. ალბათ ესეც ღვინის პოლიტიკას უკავშირდება. გამოდის, ამ ეტაპზე, რუსეთის ბაზარზე ვერანაირად შევალთ.

B2

# რას უპირებენ "ფოთის გემთსაშენს"

B2



## ქუვეითის განვითარების ფონდი საქართველოს 17 მილიონ დოლარს გამოუყოფს

ქუვეითის განვითარების ფონდი საქართველოს საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 17 მილიონის დოლარის ოდენობის კრედიტს გამოყოფს. ამის შესახებ შეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ქუვეითში ვიზიტის დროს გაფორმდა.

ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის საკმაოდ ამბიციური გეგმა შეიმუშავა. საუბარია იმ გზებზე, რომლითაც ქვეყნის ცენტრალური ნაწილი აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებს უკავშირდება. პრემიერის თქმით, ქუვეითის განვითარების ფონდი ამ პროექტის რეალიზაციაში საქართველოს დიდ დახმარებას გაუწევს.

საქართველო და ქუვეითი 10-წლიანი ფინანსურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობას განიხილავენ, რაც ქუვეითის მხრიდან 500 მილიონი დოლარის კრედიტის ეტაპობრივად გამოყოფას გულისხმობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ავტომანქანების გასამართი ბუნებრივი აირის ტარიფს 2-3 დღეში დაიანგარიშებენ

გაძვირდება თუ არა ავტომანქანების გასამართი ბუნებრივი აირი, სამ დღეში გადაწყდება. როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა, სემეკ-ს სჭირდება 2-3 დღე იმისთვის, რათა დაანგარიშდეს ავტომობილების გასამართად საჭირო ბუნებრივი აირის ტარიფი.

"მთავრობას სურს, ავტომანქანების გასამართად საჭირო ბუნებრივი აირი აქციზით დაბეგროს, თუმცა ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ტარიფი არ გაიზარდოს," - განაცხადა თავაძემ. მისი თქმით, სემეკ-ი ტარიფს გადახედავს და ორ-სამ დღეში შესაძლებელი იქნება დადგენა, არის თუ არა ტარიფში რეზერვი. "აქციზის გაზრდის გამო ავტომანქანების გასამართად საჭირო ბუნებრივი აირი ან არ გაიზრდება, ან თუ გაიზრდება - ოდნავ," - განაცხადა თავაძემ.

ამჟამად ავტომანქანის ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი აირით დატვირთვა 50 თეთრი ღირს. მთავრობა პარლამენტში შევიდა კანონპროექტით, რომლის თანახმად, საგადასახადო კოდექსში უნდა განხორციელდეს ცვლილება და ავტომანქანების გასამართად საჭირო 1 000 კუბური მეტრი აირი 150-ლარიანი აქციზით დაიბეგროს.

პარლამენტში მიაჩნიათ, რომ აქციზის შემოღება ბუნებრივი აირის ფასს გაზრდის. **ინტერპრესნიუსი**

## მთავრობა გაზგასამართი სადგურების ხელმძღვანელებს ხელფასების შემცირებისკენ უბიძგებს

საქართველოს მთავრობა გაზგასამართი სადგურების ხელმძღვანელებს თანამშრომლებისთვის ხელფასების შემცირებისკენ უბიძგებს. როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გიორგი თავაძემ განაცხადა, მთავრობას ავტომობილების გასამართად საჭირო ბუნებრივი აირის აქციზით დაბეგვრისთვის ტარიფში რეზერვის გამონახვა სურს და, ამიტომ, კომპანიების სახელფასო ფონდის შემცირებას ითხოვს.

"ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციებით გაზგასამართ სადგურებს დეკლარირებული აქვთ, რომ თანამშრომლებს ხელფასის სახით 400 ლარს უხდიან. მთავრობას მიაჩნია, რომ ეს ხელფასი 250 ლარამდე უნდა შემცირდეს და ამ გზით ტარიფში რეზერვი გამოინახოს, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით," - განაცხადა თავაძემ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე კი განმარტავს, რომ მთავრობამ გაზგასამართ სადგურებზე თანამშრომლების ხელფასების შემცირება იმიტომ მოითხოვა, რომ საგადასახადო დეპარტამენტში დეკლარირებული მონაცემები სემეკ-ში წარდგენილ დოკუმენტაციას არ ემთხვევა. **ინტერპრესნიუსი**

## "ქინძმარაულის მარანი" მაისში ღვინოს ევროპაში გაიტანს

ღვინის მწარმოებელი კომპანია "ქინძმარაულის მარანი" 2006 წლის მაისში საკუთარ პროდუქციას აზერბაიჯანსა და ევროპაში გაიტანს. "ქინძმარაულის მარანი" 12 დასახელების ღვინოს ასხამს და უკრაინაში, ყაზახეთში, შვეიცარიასა და მათ შორის რუსეთშიც ყიდის. როგორც კომპანიის დირექტორმა გიორგი კეკუამ განაცხადა, კომპანიის საკუთრებაშია 500 ჰექტარზე გაშენებული 250 აბორიგენული ჯიშის ვაზი, რომელიც დაახლოებით 4 ათას ტონამდე მოსავალს იძლევა. რუსეთის ბაზრის დაკეტვით კეკუა შემოდგომაზე ყურძენზე ფასის შემცირებას არ გამორიცხავს. კეკუა მომავალში მათ საკუთრებაში არსებული ქართული ვაზის გამოყვანას და გაყიდვას გეგმავს. "ქინძმარაულის მარანის" საკუთრებაში არსებულ მიწაზე გაშენებულია ხიხვის, ქისის, მუჯურეთულის, დონდღლაბის, გაბეხაურის, მაღლარის, კაპისტონის, არგვეთულის, საკმიელის, ჭყვიტელური და ქორქაულის ჯიშის ვაზი.

ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე სადეგუსტაციო ლაბორატორიითა და 2 მილიონ ევრომდე ღირებულების ტექნიკა-დანადგარებით. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "თელავის ღვინის მარანი" თელავში 3-სართულიან მარანს აშენებს

ღვინის მწარმოებელი კომპანია "თელავის ღვინის მარანი" თელავში 3-სართულიან მარანს აშენებს. მარანში ლაბორატორია, სადეგუსტაციო და მისაღები დარბაზები განთავსდება. როგორც კომპანიის დირექტორმა თენგიზ ჯავახიშვილმა განაცხადა, 2006 წელს კომპანია 40 ჰექტარი მიწის ფართობზე ფრანგული ჯიშის ვაზს გააშენებს. ქარხნის სიმძლავრე 6 მილიონი ბოთლი ღვინის წარმოებაზეა გათვლილი. ჯავახიშვილი არ გამორიცხავს შემოდგომაზე ყურძენზე ფასის შემცირებას, რისი მიზეზიც ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ჩაკეტვა იქნება. აღნიშნულ ქარხანაში 3-4 მილიონი ლარის ინვესტიციაა განხორციელებული. "თელავის ღვინის მარანი" 27 დასახელების ღვინოს აწარმოებს, რომელსაც უკრაინაში, ყაზახეთში, აშშ-ში, კანადასა და, აგრეთვე, რუსეთში ყიდის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# რას უპირებენ "ფოთის გემთსაშენს"

ქეთინო ჯაკობია

*იყო დრო, როცა ფოთის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელ ქარხანას საერთაშორისო ბაზარზე იცნობდნენ და იქ აგებული წყალქვეშაფრთიანი ხომალდების შეძენის სურვილი მსოფლიოს 17 ქვეყანაში ჰქონდათ. ეს 90-იან წლებამდე, ვიდრე საწარმოს, კორეულ ფირმას ამოფარებული, ქართველი მაღალჩინოსნები არ დაეპატრონებოდნენ. მათი მენეჯმენტის წყალობით, 3000-მდე, დღეს უკვე სანთლით საძებნი, მაღალკვალიფიციური გემთმშენებელი უბოდიშოდ ქუჩაში აღმოჩნდა.*



1998 წელს ქარხანა-გიგანტი 101 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა. მაშინ, მხოლოდ უნიკალური ჩარხების საბაზრო ღირებულება, გაცილებით მეტ თანხას შეადგენდა. დროთა განმავლობაში დადასტურდა, რომ საწარმოს ახალ მეპატრონეს საერთო არფერი ჰქონდა უდიდეს კორპორაცია "ჰუნდაისთან". აქციების ოფიციალური მფლობელი, "დარლინგ უორთ ლიმიტედი" ვირჯინიის კუნძულებზე დაარსებული კომპანია აღმოჩნდა, რომლის უკან "ინტელექტ-ბანკის" დამფუძნებელი, კახა გიუაშვილი, მრეწველობის მაშინდელი მინისტრის ძმა, გიორგი აგლაძე და პრეზიდენტის მრჩეველი თემურ ბასილია მოიაზრებოდნენ.

სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებიდან არც ერთი არ შესრულებულა. "საჩვენებლად" დამზადებული ერთადერთი პრიმიტიული იახტა დღესაც გემთსაშენის ერთ-ერთ საამქროშია უფუნქციოდ მიტოვებული. გასაყიდი რაც იყო, გაიყიდა. გასაძარცვი - გაიძარცვა. უკანონო პრივატიზების თაობაზე ატეხილი სკანდალის შემდეგ, ქარხნის მეპატრონეები ისე შეიცვალნენ, თანამშრომლებსაც არაფერი გაუგუათ.

ამჟამად "ფოთის გემთსაშენის" აქციების ძირითად ნაწილს კახა გიუაშვილი და ვალერი გელაშვილი ფლობენ. ქარხნის 400 მუშა- მოსამსახურიდან უმეტესობა უხელფასო შვებულებითაა დათხოვილი. დარჩენილ თანამშრომელთაგან ბევრს 4-5 თვეა კუთვნილი ანაზღაურება არ მიუღია. ბოლო თვეებში ხელფასს მხოლოდ კერძო შეკვეთებზე დასაქმებულ სპეციალისტებს აძლევენ. ერთ-ერთი დამკვეთი ბიძინა ივანიშვილი იყო, რომელმაც რკინის კონსტრუქციების დამზადებაში 300 ათას ლარამდე გადაიხადა.

გემთსაშენის პროფილის შენარჩუნების მიზნით, კონკრეტული არაფერი გაკეთებულა. მცურავი საშუალების ასაგებად ქარხანა პროფესიონალი კადრების ნაკლებობასაც განიცდის.

მედია-საშუალებებში, ყოფილი პარლამენტარის ვალერი გელაშვილის ქონებაზე საუბრისას, ფოთის გემთსაშენის საბანკო ანგარიშების დაყადაღების თაობაზეც გავრცელდა ინფორმაცია. ამ ფაქტს ქარხნის მთავარი ინჟინერი, გულივერ კიზირია არ ადასტურებს. გემთსაშენის საბერძნეთიდან მოწვეული გენერალური დირექტორი, დიმიტრი ელეფთერიუ ხსენებული ინფორმაციის მართებულობას გამორიცხავს, თუმცა საწარმოს აქციონერების, ინვესტორების ვინაობისა და გახარჯული თანხის რაოდენობის გამხელაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. მისი თქმით, პოლიტიკასთან ასოცირებული ნებისმიერი კომენტარი აკრძალული აქვს. ელეფთერიუ თამამად საუბრობს გემთსაშენის პერსპექტივებზე და ირწმუნება, რომ მომავალი კვირიდან ქარხანაში წარმოების უწყვეტი ციკლი განახლდება.

**"ბოლო პერიოდში გარემონტდა გემთსაშენის ტერიტორიაზე მდებარე შენობები, საამქროები, ქარხნის მოდერნიზაცია გრძელდება. მოვაგვარეთ დოკუმენტაციებთან დაკავშირებული პრობლემები, ხელი მოეწერა ორ მნიშვნელოვან კონტრაქტს ჰოლანდიურ კომპანია "დამენიასთან". გვაქვს ორი დიდი წყალწყვის გემისა და ექვსი მცირე ზომის მცურავი საშუალების შეკვეთა. მთლიანი სამუშაოები ჩვენ უნდა შევასრულოთ, ჰოლანდიაში მხოლოდ ძრავი დამონტაჟდება. საქმიან წინადადებებს საბერძნეთიც გვთავაზობს. გვჭირდება დაახლოებით წელიწადნახევარი, რომ ქარხანა მოგებაზე გავიდეს,"** - ამბობს "24 საათთან" საუბრისას დიმიტრი ელეფთერიუ.

არაოფიციალური ინფორმაციით, გემთსაშენის პრივატიზების კანონშესაბამისობის საკითხს ახლო მომავალში უზენაესი სასამართლო განიხილავს. სავარაუდოდ, სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებული ქარხანა ხელახლა განსაკერძოებელ საწარმოთა სიაში ჩაირიცხება.

# სპეცოპერაცია, სახელწოდებით "ნაბეღლავი"

მოსკოვის ოლქში დაკავებული, ქართული მინერალური წყლის "ნაბეღლავის" დიდი პარტიის საქმე "როსპოტრებნადზორმა" საგამოძიებო ორგანოებს გადასცა. როგორც რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, "ეგრეთ წოდებული მინერალური წყლის ამ დიდი პარტიის დოკუმენტაცია "როსპოტრებნადზორის" სამსახურებისთვის ამ დრომდე არ წარუდგენიათ", რაც არა მარტო პროდუქციის უსაფრთხოების მაჩვენებელთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევასაც მოწმობს.

"როსპოტრებნადზორის" გადაწყვეტილებით, საწყობი 5 დღით დაიხურა. 20 აპრილს სასამართლოს სხდომა უნდა გაიმართოს, რომელზეც საწყობის მუშაობის აკრძალვის ვადა, შესაძლოა, გაგრძელდეს.

კომპანია "წყალი მარგებელის" ხელმძღვანელი ირაკლი უშვერიძე რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს მიერ მინერალური წყალი "ნაბეღლავის" ერთი პარტიის საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. როგორც უშვერიძემ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, ონიშჩენკო "ნაბეღლავთან" დაკავშირებით დეზინფორმაციას ავრცელებს, რადგან მის მიერ "წყალი მარგებელის" პროდუქციის მიმართ გამოთქმული პრეტენზია, თითქოს სანიტარიულმა სამსახურმა კომოპანიისგან პროდუქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ვერ მიიღო, უსაფუძვლოა.

"კომპანიის მიერ წარმოებულ მინერალურ წყლებს ხარისხის დამადასტურებელი რამდენიმე საერთაშორისო სერთიფიკატი აქვს. წყალი აკმაყოფილებს როგორც რუსეთის, ასევე ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებს. რეალიზაციამდე მისი შემოწმება ხდება როგორც რუსეთის, ასევე შვეიცარიის ლაბორატორიებში. "ნაბეღლავი" რუსეთის ბაზარზე რამდენიმე წლის განმავლობაში იყიდება და ამ დრომდე მისი ხარისხის მიმართ პრეტენზიები არ გამოთქმულა," - განაცხადა უშვერიძემ.

მოლდოვა კი რუსეთის მიერ მოლდავური ღვინის იმპორტის აკრძალვის გაუქმებას მოელის. როგორც "როსბიზნესკონსალტინგის" სააგენტოსათვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ამ გადაწყვეტილების შესახებ მოლდავურმა მხარემ რუსეთიდან ზეპირი ინფორმაცია მიიღო. კიშინიოვში მოელიან, რომ უახლოეს ხანებში მოსკოვიდან მიიღებენ დოკუმენტებს, რომელშიც, როგორც ვარაუდობენ, რუსეთის ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ გასატანი მოლდავური მეღვინეობის პროდუქციისადმი მოთხოვნები იქნება ჩამოყალიბებული.

რუსეთიდან ოფიციალური დოკუმენტების მიღებამდე მოლდოვის ხელმძღვანელობა კომენტარისგან თავს იკავებს. ამავე დროს, მოლდოვის ღვინის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ გიორგი კოზუბმა სააგენტოს ეს ინფორმაცია დაუდასტურა. მისი განცხადებით, როგორც ჩანს, რუსი სპეციალისტები მოლდავური ღვინოების ხარისხის კონტროლს გაამკაცრებენ, მოლდოვის ღვინის საწარმოებს ჩაუტარებენ ინსპექტირებას, მოლდოველ კოლეგებთან ერთად განახორციელებენ სხვა ღონისძიებებს მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და რუსეთში ფალსიფიცირებული ღვინოების შეტანის აღსაკვეთად.

წინასწარი ინფორმაციით, აკრძალვის გაუქმება, შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიაზე უკვე არსებულ მოლდავურ ალკოჰოლურ პროდუქციას შეეხოს, რომლის ხარისხი და უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობა რუსეთის ლაბორატორიებში განმეორებითი გამოკვლევისას დადასტურდა. არ არის გამორიცხული, საწყის ეტაპზე აკრძალვის მოხსნა იმ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს შეეხოს, რომელთა პროდუქცია უხარისხო საქონლის "შავ სიებში" შემჩნეული არ ყოფილა.

უკრაინელ მეღვინეთა ასოციაციამ მოლდოვური და ქართული ღვინოებისგან ეროვნული ბაზრის დაცვა მოითხოვა. ამის შესახებ რადიოსადგური "ეხო მოსკვი" სააგენტო "იტარ-ტას"-ზე დაყრდნობით იუწყება. უკრაინელი მეღვინეების მონაცემებით, ქვეყნის სუპერმარკეტების ქსელი ქართული და მოლდოვური პროდუქციითაა გაჯერებული. იმ დროს, როცა თავად ამ რესპუბლიკებში უკრაინული ღვინოები არ არის შეტანილი. ასოციაცია უკრაინაში ღვინის იმპორტის შესახებ გამოძიების ჩატარებას მოითხოვს, რათა სპეციალური საბაჟო გადასახადი იქნეს დაწესებული. უკრაინული ღვინის 90 პროცენტი რუსეთში გადის, დანარჩენი - ყაზახეთსა და ბელარუსში.

თურქეთმა კი, შესაძლოა, ქართული ღვინის ექსპორტისათვის შეღავათიანი საბაჟო რეჟიმი დააწესოს. როგორც პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ თამარ კოვზირიძემ განაცხადა, შესაბამისი მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთის ხელისულებას შორის მაისში გაიმართება.

"თურქეთის მინისტრთა კაბინეტი მზადაა, გარკვეული კვოტის ფარგლებში ქართულ ღვინოს ქვეყანაში უბაჟო იმპორტის საშუალება მისცეს," - განაცხადა კოვზირიძემ. მისი თქმით, დღეისათვის ღვინის ექსპორტი თურქეთში სირთულეს წარმოადგენს. კერძოდ, საბაჟო გადასახადის ღირებულება 70 პროცენტს შეადგენს, რაც ღვინის პროდუქტის ფასზე შესაბამის ასახვას ჰპოვებს. კოვზირიძის თქმით, დღეისათვის თურქეთში ღვინის ექსპორტზე საკმაოდ მაღალი გადასახადია და საბაჟო გადასახადი ღირებულების 70 პროცენტს შეადგენს, რაც, მინისტრის მოადგილის თქმით, ღვინის პროდუქციას თურქეთში ძალზე აძვირებს.

**24 საათი.**

# რუსეთის ბაზარზე ქართულ ჩაისაც აღარ უშვებენ

პირველი გვერდიდან

თურქმა ბიზნესმენმა რეჯებ ქოსემ ჩაქვის ჩაის ქარხანა რამდენიმე თვის წინ იყიდა. ამ ქარხანაში მან ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა. ბიზნესმენი, აჭარაში 3 ათას ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაციის 49 წლიანი იჯარით აღებას გეგმავდა. ამ საქმეში მას დახმარებას აჭარის მთავრობა სიტყვიერად ჰპირდებოდა.

ბიზნესმენს ჩაის წარმოებაში ფართო გეგმები ჰქონდა. რადგან ჩაის პლანტაციებში არაორგანული სასუქი 15 წელზე მეტია აღარ შესულა, ორგანული სასუქის შეტანით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას აპირებდა. ქოსეს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის 3 მილიონ დოლარის დახარჯვა ჰქონდა განზრახული. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ვახტანგ გოგუაძის განცხადებით, ქოსეს პრობლემა აჭარაში მიმდინარე მიწის რეფორმამ შეუქმნა: "მიწის რეფორმის გამო, ყველა საიჯარო ხელშეკრულება გაუქმებულია. იმ დროს, როცა ჩვენ თანამემამულეებს საიჯარო ხელშეკრულებები გავუუქმეთ, თურქეთის მოქალაქისთვის ანალოგიური ხელკშეკრულების გაფორმება არ გამოვა". გოგუაძის თქმით, ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი მიწის სარეფორმო ფონდშია ჩადებული. სახელმწიფო საკუთრებაში მხოლოდ მცირე ნაწილი რჩება - ქობულეთის რაიონში ათასი, ხოლო ხელვაჩაურში - 150 ჰექტარი. ამასთან, მიწის კანონის თანახმად, სახელმწიფო მიწას იჯარით აღარ გასცემს. იგი ამიერიდან აუქციონის წესით გაიყიდება.

თურქ ინვესტორს მიწის ყიდვის ნაკლები შანსები აქვს - პრივატიზაციის შემთხვევაში, დღევანდელ მოიჯარეს მიწის გამოსყიდვის უპირატესობა აქვს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ქოსეს ახალ გამოსავალს სთავაზობენ: "ჩვენ მას ამ ეტაპზე სასარგებლო რჩევა მივეცით. მართალია, კარგია მიწათმოქმედება, მაგრამ მას ამის გარეშეც შეუძლია წარმატებული საქმიანობა. საკმარისია გამოაცხადოს, რომ იწყებს ჩაის მიღებას და ეს პრობლემა მოეხსნება. თუკი ნორმალურ ფასად დაიწყებს ნედლეულის მიღებას, ზედმეტი გარჯა არ დასჭირდება. მოსახლეობა ჩაის პლანტაციებს მისი მოთხოვნების მიხედვით თავად დაამუშავებს და მოწეულ ნედლეულს ქარხანაში მიუტანს", - აცხადებს გოგუაძე.

პრობლემა შეექმნა ჩაქვის მეორე ჩაის ფაბრიკასაც, სადაც ინვესტიცია რუსეთის მოქალაქეს, არტურ ციბიკოვს აქვს ჩადებული. მან ჩაქვის ციტრო-ჩაის ფაბრიკაში 35 ათასი დოლარი გადაიხადა და ფაბრიკის დარჩენილი ნახევარმილიონლარიანი დავალიანებაც გაისტუმრა. ინვესტორი აქ აგურა ჩაის ამზადებდა, რომელსაც რუსეთში, კერძოდ ბურიატიის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყიდდა. ციბიკოვი რამდენიმე თვეა აჭარაში აღარ არის. ამის მიზეზი კი ის არის, რომ, რამდენიმე დღის წინ რუსეთში გაგზავნილი პროდუქცია საზღვრიდან უკან მოაბრუნეს. "ალბათ ესეც ღვინის პოლიტიკას უკავშირდება. გამოდის, ამ ეტაპზე, რუსეთის ბაზარზე ვერანაირად შევალთ", - აცხადებს გოგუაძე.

## საფონდო ბირჟაზე 75,701.10 ლარის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

დღეს საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე წარმოდგენილი 11 კომპანიის აქციებიდან სავაჭრო გარიგება დაიდო 4 კომპანიის, საქართველოს ბანკის, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, საქწყალპროექტის და ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო სავაჭრო ბაზის ფასიან ქარალდებზე. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის აქციებზე საერთო ღირებულებამ 75,701.10 ლარი შეადგინა, საქართველოს ბანკისაზე 64,512.00; საქწყალპროექტისაზე - 756.00 ლარი, ხოლო ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო სავაჭრო ბაზის ფასიან ქარალდებზე საერთო ღირებულებამ 270.00 ლარი შეადგინა. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 21, ჯამური მოცულობა — 7,915 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება — 141,239.10 ლარი. განცხადებები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, ემიტენტების ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, ბაგრატიონი-1882-ის, რეა-ქართუს, საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის, სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება "ტრანსმშენის", რუსთავცემენტისა და ყაზბეგის ფასიან ქაღალდებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მესამე თაობის მობილურის სიხშირის ლიცენზიის მისაღებად "ჯეოსელი" და "არგოტექსი" იბრძოლებენ

მესამე თაობის მობილურის სიხშირის ლიცენზიის მისაღებად ორი კომპანია - "ჯეოსელი" და "არგოტექსი" - იბრძოლებს. აუქციონი ხვალ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაიმართება. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში განცხადებების მიღების ვადა 6 აპრილს ამოიწურა. მობილური სიხშირის ლიცენზიით ორი კომპანია - "ჯეოსელი" და საქართველოში დაფუძნებული "არგოტექსი" დაინტერესდა. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა 8 491 392 ლარით განისაზღვრა. აუქციონი გამოცხადებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 1920-1935 მგჰც, 2110-2125 მგჰც, 1910-1915 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. **ინტერპრესნიუსი**

## ზემო ალვანში თუშური მატყლის გადამამუშავებელი საწარმო აღადგინეს

თუშეთში, ზემო ალვანში მატყლის გადამამუშავებელი საწარმო აღადგინეს და მის ბაზაზე ხელსაქმის შემსწავლელი სკოლა ჩამოყალიბდა. საწარმოს აღდგენა და სკოლის ჩამოყალიბება გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში დაფინანსდა, რომელსაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი ახორციელებს. საკონკურსო პროექტების ადმინისტრირებას "აგრო-ბიზნეს კონსალტინგი" ახდენს. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს "აგრო-ბიზნეს კონსალტინგში" უთხრეს, პროექტის მიზანია რაიონის დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონაში შემავალი სოფლების მოსახლეობაში ტრადიციული ხელსაქმის აღდგენა - ხელით ქსოვა, ლეიბების კერვა და სხვა. როგორც პროექტის კოორდინატორმა გიორგი არიანდაულმა განაცხადა, ბუნებრივი საღებავებით მატყლისა და ძაფის ღებვის ტრადიციის აღდგენისათვის შესაფერისი საამქრო უკვე მოეწყო - გაკეთდა რემონტი, შეიძინეს ერთი ახალი საჩეჩი დაზგა და კაპიტალურად შეკეთდა არსებული საჩეჩი და სართავი დაზგები. მისი თქმით, უახლოეს დღეებში ადგილობრივი მეცხვარეებისგან უკვე მატყლს შეიძენენ, პროდუქცია რეალიზაციისთვის მზად შემოდგომისთვის იქნება. საწარმოში 40-მდე ადამიანი დასაქმდება. რაც შეეხება სკოლას, ის უკვე ერთი წელია, მოქმედებს და ტრადიციულ ხელსაქმეს როგორც ადგილობრივი, ისე თელავში მცხოვრები მოქალაქეები ეუფლებიან. სკოლაში სამი მასწავლებელია - ნაბდის თელვის, ფარდაგების ქსოვისა და დართვის. პროექტის საგრანტო ღირებულება დაახლოებით 15 000 აშშ დოლარი იყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ფარმაცევტული ბაზარი დღეს

პირველი გვერდიდან

ბაზრის ეს სეგმენტი, რასაც ფარმაცია ჰქვია, საქართველოში უფრო ადრე, საბჭოთა იმპერიის დაშლისთანავე გაჩნდა. ფარმაცევტული ბიზნესის განვითარებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ იმ პერიოდში მედიკამენტების განსაკუთრებული დეფიციტი იგრძნობოდა.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბიზნესს ძველ ხელისუფლებაში ყოველთვის ჰყავდა ისეთი "პარტრონები", რომლებიც მის სასათბურე პირობებში მოქცევას უზრუნველყოფდნენ.

1997 წლიდან მედიკამენტების დისტრიბუცია და წარმოება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა. მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტირებული პრეპარატებისა და მათი საწარმოო მასალების საბაჟო გადასახადი, დღეს ის 1 პროცენტია. შეიძლება ითქვას, რომ ამ საგადასახადო შეღავათების შემდეგ ქვეყანაში ფარმაცევტული საქმიანობის ნამდვილი ბუმი დაიწყო. 1997-1998 წლებში ბაზარზე ათობით ახალი მოთამაშე გაჩნდა და მას შემდეგ მათი რაოდენობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდებოდა.

ფარმაცევტულ ბაზარზე დღესაც სერიოზული კონკურენციაა, თუმცა სიტუაცია დაბალანსებულია და "გაწონასწორებული". შეიძლება ითქვას, რომ ამ ბაზარზე თავისუფალი ნიშა, პრაქტიკულად, არ არის დარჩენილი.

2006 წლის 1 აპრილის მონაცემებით, საქართველოში ლიცენზირებულია 123 ფარმაცევტული ბაზა, 332 იმპორტიორი, 1991 აფთიაქი და 78 ფარმაცევტული წარმოება.

5000-მდე აღწევს იმ მედიკამენტების რაოდენობაც, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არის რეგისტრირებული. აღსანიშნავია, რომ ეს ციფრი, გასულ წელთან შედარებით, თითქმის არ შეცვლილა.

## იმპორტი და იმპორტიორები

ისევე როგორც შარშან, წელსაც ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 98 პროცენტი იმპორტირებულ მედიკამენტებს უკავია. მათი დიდი ნაწილი დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერ არის წარმოებული. მათ შორის: გერმანიაში, საფრანგეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში, თურქეთში, უკრაინაში, სლოვაკეთში, პოლონეთში, იტალიაში და სხვა.

ნელ-ნელა ხდება ინდური, ჩინური, ირანული და სხვა აზიური პრეპარატების ქართული ბაზრიდან განდევნა. ამას, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განმარტავენ, ევროპულ პროდუქციაზე მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს.

ბოლო რამდენიმე წელია, იმპორტიორი ქვეყნების პირველი სამეული ასე გამოიყურება: გერმანია 17.21 პროცენტი - 8 მილიონ 240 ათასი აშშ დოლარი, საფრანგეთი 17.07 პროცენტი - 8 მილიონ 171 ათასი და უნგრეთი 6.85 პროცენტი - 3 მილიონ 280 ათასი;

უკანასკნელი სამი წელია, საქართველოში ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი ავსტრიიდან, ლატვიიდან და თურქეთიდანაც დაიწყო.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში ამ დროისთვის 332 იმპორტიორი ორგანიზაციაა რეგისტრირებული. აქედან უმრავლესობას კერძო პირები და მცირე შპს-ები წარმოადგენენ.

გასული წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოში ფარმაცევტული ნაწარმის იმპორტი საშუალოდ წელიწადში 10-20 პროცენტით იზრდება. მაგალითად: საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, შარშან, 2004 წელთან შედარებით, იმპორტის მოცულობა 15 პროცენტით, ხოლო 2004 წელს, 2003-თან შედარებით, 10 პროცენტით გაიზარდა. შარშან იმპორტმა 105 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც, 2004 წელთან შედარებით, 15 მილიონით მეტი იყო.

იმპორტის დიდი ნაწილი კომერციულ შესყიდვებზე მოდის. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში 26 მილიონ 887 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი განხორციელდა. აქედან ჰუმანიტარულ დახმარებებზე დაახლოებით 4 პროცენტი (1 მილიონ 159 ათასი დოლარი) მოდიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტში ჰუმანიტარული პროდუქციის წილი 2005 წელს კიდევ უფრო ნაკლები 12 პროცენტი (12 ათას 564 აშშ დოლარი) იყო, ვიდრე 2004 წელს - 21 პროცენტი (19 ათას 148 აშშ დოლარი).

შარშან კომერციული შესყიდვებიდან 2 პროცენტზე ოდნავ მეტი სახელმწიფო შესყიდვებზე მოდიოდა. სახელმწიფოს მიერ შესყიდული პრეპარატების ღირებულებამ გასული წლის პირველ ექვს თვეში 1 მილიონ 44 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

მსხვილ იმპორტიორთა პირველი სამეული საქართველოში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე უცვლელია. I, II და III ადგილებს, 1997 წლიდან მოყოლებული - დღემდე, შესაბამისად, "ავერსი-ფარმა", PSP და GPC იყოფენ.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, თითოეული მათგანის წილი ბაზარზე 35 პროცენტს არ აღემატება, ანუ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ფორმალობები დაცულია. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად.

2005 წლის პირველი ორი კვარტლის მაჩვენებლების თანახმად, "ავერსი-ფარმას" პროდუქცია ქართულ ბაზარზე 32.57 პროცენტი, PSP - 23, ხოლო GPC - 10.95 ეკავა.

დანარჩენი იმპორტიორების წილი ადგილობრივ ბაზარზე უმნიშვნელოა, ის დაახლოებით 0.1 პროცენტიდან 4 პროცენტამდე მერყეობს.

გასული წლის პირველ ექვს თვეში შპს "ავერსი-ფარმამ" ქვეყანაში 15 მილიონ 600 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ფარმაცევტული ნაწარმის იმპორტი განახორციელა, მაშინ, როცა 2004 წელს მთელი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 20 მილიონზე ოდნავ ნაკლები იყო.

შარშან ექვს თვეში PSP ქვეყანაში დაახლოებით იმავე მოცულობის (11 მილიონი აშშ დოლარი) ფარმაცევტული ნაწარმი შემოიტანა, რაც 2004-ში მთელი წლის განმავლობაში (15 მილიონი).

რაც შეეხება ბაზრის მესამე, ერთ-ერთ მსხვილ "მოთამაშეს" GPC-ს: 2005 წლის იანვრიდან-ივნისის ჩათვლით მან 5 მილიონ დოლარზე მეტი იმპორტი განახორციელა, 2004 წელს მთელი წლის განმავლობაში 9 მილიონი. აღსანიშნავია, რომ 2003 წელთან შედარებით, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი თითქმის 100 პროცენტით არის გაზრდილი.

ეს მარტივი სტატისტიკაც კი ცალსახად მიანიშნებს, რომ საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესი, განსაკუთრებით კი - იმპორტის ნაწილში, საკმაოდ სწრაფად ფართოვდება.

## ადგილობრივი მწარმოებლები

ბოლო რამდენიმე წელია, ქართველი დისტრიბუტორები იმპორტირებული მედიკამენტების ჩანაცვლებას ადგილობრივი ნაწარმით ცდილობენ, თუმცა საქართველოში წარმოებული პრეპარატების ოდენობა დღეს ძალიან უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ფარმაცევტული პროდუქციის სამოცდაათზე მეტი მწარმოებელი კომპანიაა რეგისტრირებული, მათ მიერ წარმოებულ მედიკამენტებს ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ 2 პროცენტი უკავია.

იმის გამო, რომ მედიკამენტების წარმოება ძვირადღირებულ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დიდ დანახარჯებს უკავშირდება, დღეს ის ქვეყანაში ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება. თუ არ ჩავთვლით GMP-ს, საწარმოების უმრავლესობა დღეს მხოლოდ ორი-სამი დასახელების პრეპარატს აწარმოებს. საწარმოო ნედლეული, ძირითადად, იმპორტირებულია, გასაღების ძირითადი ბაზარი კი საქართველოა.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ "24 საათისთვის" მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გასულ წელს საქართველოში 12 მილიონ 785 ათასი ლარის ოდენობის მედიკამენტები აწარმოეს, რაც 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 4 მილიონი ლარით მეტია.

ბოლო მაჩვენებლებით, საქართველოში ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელთა რაოდენობა 78-ს აღწევს. წამლის სააგენტოს ინფორმაციით, ამ დრომდე საქართველოში რეგისტრირებულია 448 დასახელების 643 ადგილობრივი წარმოების პრეპარატი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი გასულ და 2004 წელს 150-200 ფარგლებში მერყეობდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი მწარმოებლები მათ მიერ წარმოებული პრეპარატების სახეობათა რაოდენობას სწრაფად ზრდიან.

ბაზრის ამ სეგმენტზე ყველაზე მსხვილი მწარმოებელია GMP, რომლის ასორტიმენტში ამჟამად 80 დასახელების პრეპარატია და, როგორც საწარმოში ამბობენ, ეს ნუსხა მიმდინარე წელს კიდევ 20 მედიკამენტით გაიზრდება.

ამ კომპანიის წილი ადგილობრივ წარმოებაში, შარშანდელი მონაცემებით, 70 პროცენტი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოს იგივე მაჩვენებელი 2004 წელს 61.5 პროცენტი იყო. GMP ზუსტად 6 წლის წინ, საქართველოში ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა ფარმაცევტულმა კომპანიამ PSP ჯგუფმა დააფუძნა. როგორც საწარმოს ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი, GMP მთელ კავკასიაში ერთადერთი საწარმოა, სადაც ევროპული სტანდარტებით მიმდინარეობს წამლის წარმოების სრული ტექნოლოგიური პროცესი. 2004 წელს GMP-მ 890 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტები აწარმოა, რომლის დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდა.

GMP-ს შემდეგ მოდიოდა სს "ბიოფარმი", რომელიც შიდა ბაზრის 11 პროცენტზე ოდნავ მეტს ფლობდა. მესამე და მეოთხე ადგილს შპს "ფიტოფარმი" და შპს "გამა" ინაწილებდნენ, შესაბამისად - 7.2 და 4.2 პროცენტი.

სულ ახლახან სრული სიმძლავრით კიდევ ერთი ფარმაცევტული საწარმო "ავერსი-რაციონალი" ამოქმედდა, რომლის დამფუძნებელია "ავერსი ფარმა". საწარმოს მშენებლობა 2003 წელს დასრულდა და ის დღემდე 29 დასახელების პრეპარატს აწარმოებს. უახლოეს მომავალში "ავერსი-რაციონალი" მის მიერ წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილის ექსპორტზე გატანასაც გეგმავს. როგორც "ავერსი-ფარმადან" "24 საათს" აცნობეს, ექსპორტის პირველი პარტია ყირგიზეთში დღეს უნდა გავიდეს.

## ექსპორტი და ექსპორტიორები

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე საქართველოში მცირე რაოდენობის ფარმაცევტული პროდუქცია იწარმოება, მისი გარკვეული ნაწილი (დაახლოებით 20 პროცენტი) ქვეყნის ფარგლებს გარეთ მაინც ხვდება. ქართული მედიკამენტების ექსპორტმა მიმდინარე წლის პირველ კვრტალში 100 ტონას მიაღწია, რომლის ღირებულება 1 მილიონ 396 ათას აშშ დოლარს ოდნავ აჭარბებდა. გასულ წელს საქართველოდან 297 ტონა (4 მილიონი აშშ დოლრი) ფარმაცევტული ნაწარმი გავიდა, რაც, წინა წლის მონაცემებთან შედარებით, თითქმის 50 პროცენტით მეტია. საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2004 წელს 2 მილიონ 622 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 196 ტონა ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტი დაფიქსირდა.

ქართული ფარმაცევტული ნაწარმის ყველაზე მეტი რეალიზაცია უზბეკეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხდება. ექსპორტის დაახლოებით 30-30 პროცენტი - სომხეთსა და უზბეკეთში, ხოლო 20 პროცენტი - აზერბაიჯანში.

2004-2005 წლებში ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა 30-ს აღწევდა, თუმცა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან ფარმაცევტული პროდუქცია, გაურკვეველი მიზეზების გამო, მხოლოდ 6 სახელმწიფოში გავიდა; აზერბაიჯანში (152 ათასი აშშ დოლარი), სომხეთში (254 ათასი აშშ დოლარი), ყაზახეთში (42 ათასი აშშ დოლარი), ლატვიაში (26 ათასი აშშ დოლარი), უკრაინასა (11 ათასი აშშ დოლარი) და უზბეკეთში (253 ათასი აშშ დოლარი).

ერთი საინტერესო დეტალი: საქართველოში იმპორტირებული ფარმაცევტული ნაწარმის ყველაზე დიდი ნაწილი, დაახლოებით 20 პროცენტი, გერმანიაშია წარმოებული. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, 2004 წელს ჩვენი ქვეყნიდან ამ სახელმწიფოში 109 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქცია გავიდა. მომდევნო 2005 წელს ეს მაჩვენებელი 32 ათასამდე შემცირდა.

საექსპორტო ქვეყნების სიაში, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ჭარბობენ.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოში ფარმაცევტული პროდუქციის 59 ექსპორტიორი ორგანიზაციაა რეგისტრირებული, რომელთა უმრავლესობა მცირე შპს-ები და კერძო პირები არიან.

ექსპორტიორთა ნუსხაშია რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება, მათ შორის - ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ვეტერინარიის დეპარტამენტი, კანისა და ვენსნეულებათა კვლევითი ინსტიტუტი.

ამავე ნუსხაში შეხვდებით იმ კომპანიებსაც, რომლებიც საქართველოში, ძირითადად, ფარმაცევტული ნაწარმის იმპორტით არიან დაკავებულნი. მათ შორის არიან "ავერსი ფარმა", "იბერია+", "მარჯი" და სხვები.

## ბაზრის ყველაზე მსხვილი მოთამაშეები

"ავერსი-ფარმა", PSP და GPC ის დისტრიბუტორები არიან, რომლებიც ქართული ფარმაცევტული ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ. ქვეყანაში იმპორტირებული პრეპარატების დაახლოებით 70 პროცენტი ამ სამი კომპანიის მიერ არის გავრცელებული. იმპორტის დარჩენილი 30 პროცენტი კი 329 იმპორტიორზე მოდის.

## "ავერსი-ფარმა"

კომპანია 1994 წელს დაარსდა. 11 წლის შემდეგ "ავერსს" დედაქალაქში 40 აფთიაქი აქვს და, როგორც კომპანიაში ამბობენ, უახლოეს მომავალში მათ რიცხვს კიდევ 9 დაემატება. რეგიონებში მას ამჟამად 25 მოქმედი და 7 მშენებარე ფილიალი გააჩნია.

"ავერსი-ფარმა" არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ უკრაინისა და რუსეთის მასშტაბითაც ერთ-ერთ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიად არის აღიარებული. კომპანია დღეს მთლიანად ქართული კაპიტალისგან შედგება, სადაც ამ დროისთვის 1300-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

გლაქსოსმიტკლაინი (დიდი ბრიტანეთი), ავენტისი (საფრანგეთი), ბაიერი (გერმანია), პფაიზერი (აშშ), შერინგი (გერმანია), მერკი (გერმანია), ნიკომედი (ავსტრია), იამანუჩი (იაპონია), ბერინგერ ინგელჰაიმი (გერმანია) - ეს მხოლოდ ერთი ნაწილია იმ კომპანიებისა, რომლებთანაც "ავერსი" უშუალოდ თანამშრომლობს. ამჟამად ის მსოფლიოს 35 ქვეყნის ასზე მეტი ფარმაცევტული კომპანიიდან მარაგდება.

ფარმაცევტული წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი - "ავერსი-რაციონალის" შიდა ლაბორატორიაა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ევროპული აპარატურით. ამჟამად საქართველოს ფარმაცევტულ ქსელში "ავერსი-რაციონალის" მიერ წარმოებული 29 დასახელების პრეპარატი იყიდება.

## PSP

კომპანია 1995 წლის 3 მაისს შეიქმნა. დღეს მას დედაქალაქსა და რეგიონებში 6 საბითუმო საწყობი გააჩნია. 2004 წელს კომპანიამ ქვეყნის ბიუჯეტში 3 მილიონ 400 ათასი ლარი შეიტანა. PSP ჯგუფში დასაქმებულია 655 ადამიანი.

10 წელზე მეტია, კომპანია თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან. 2005 წელს კომპანიამ ქველმოქმედებაზე დაახლოებით 1 000 227 ლარი გაიღო. PSP ჯგუფში სადისტრიბუციო კომპანიებთან, PSP რიხტერთან და PSP ფარმასთან ერთად გაერთიანებულია საკუთარი ფარმაცევტული საწარმო GMP. უკვე 6 წელია, რაც კომპანიამ დააარსა ფარმაცევტული საწარმო "ჯი-ემ-პი".

"ჯი-ემ-პი" აწარმოებს 80 დასახელების მედიკამენტს. საწარმოს ასორტიმენტში 80 დასახელების პრეპარატია და ეს ნუსხა მიმდინარე წელს 20 მედიკამენტით გაიზრდება. PSP აფთიაქის ქსელით მომხმარებელს 3500 დასახელების პრეპარატი მიეწოდება. დღეს ორგანიზაციაში დასაქმებულია 500-ზე მეტი ადამიანი. PSP თანამშრომლობს მსოფლიოს 40 ქვეყნის 100-მდე მომწოდებელთან. საქართველოს მასშტაბით PSP სააფთიაქო ქსელში გაერთიანებულია 55 ობიექტი.

## GPC

ფარმაცევტული ფირმა GPC 1995 წელს დაარსდა. ფირმის ძირითადი საქმიანობაა ფარმაცევტული და სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუცია.

1998 წელი - GPC იწყებს საკუთარი სააფთიაქო ქსელის განვითარებას. ამჟამად GPC ოცდაათზე მეტ წამყვან უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიასთან თანამშრომლობს. დღეისათვის GPC მხოლოდ მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის იმპორტით აღარ შემოიფარგლება. მის მიერ იმპორტირებული პროდუქცია მოიცავს ბავშვის მოვლის საგნებს, კოსმეტიკას, ჰიგიენური მოვლის საშუალებებს. ფირმის ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა საკვები დანამატების იმპორტი და დანერგვა საქართველოს ბაზარზე. ასევე სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს სამკურნალო კოსმეტიკის აფთიაქების საშუალებით დისტრიბუცია. ამ მიმართულებით GPC-ს პარტნიორია ფრანგული ლაბორატორია VICHY, რომლის პროდუქციაც მხოლოდ აფთიაქების გზით ვრცელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

GPC-ს აფთიაქების ქსელში დღეს გაერთიანებულია 16 აფთიაქი თბილისის ფარგლებში და 6 რეგიონებში - რუსთავში, გორში, ხაშურში, ქუთაისში, ფოთსა და წნორში. GPC თანამშრომლობს დაახლოებით 330 სხვადასხვა აფთიაქთან. ფირმაში და მის აფთიაქებში დასაქმებულია 200-მდე თანამშრომელი.

GPC-ს პარტნიორები არიან როგორც საცალო აფთიაქები, ასევე სამკურნალო დაწესებულებები და საბითუმო ფირმები მთელი საქართველოს მასშტაბით. თბილისის ფარგლებში GPC მედიკამენტებით ამარაგებს 20-მდე კლინიკას და დაახლოებით 150 აფთიაქს.

2003 წელს პარტნიორი აფთიაქების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 25 პროცენტით გაიზარდა. დღეისათვის ფირმის მომხმარებელი აფთიაქების საერთო რიცხვი დაახლოებით 330-ს შეადგენს.






იმპორტის თანხობრივი მონაცემების შედარება მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარში)

| N | ქვეყანა | 2004 წელი | 2003 წელი | 2002 წელი | 2001 წელი | 2000 წელი | 1999 წელი | 1998 წელი | 1997 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 9,217,897 | 6,350,551 | 3,859,337 | 3,934,839 | 4,161,608 | 4,153,381 | 3,318,701 | 2,462,492 |
| 2 | [illegible] | 8,505,576 | 6,128,934 | 4,153,739 | 3,724,798 | 2,772,573 | 3,211,388 | 3,706,702 | 2,181,419 |
| 3 | [illegible] | 8,004,797 | 3,842,033 | 2,452,562 | 1,998,821 | 2,467,294 | 1,855,538 | 3,613,861 | 2,755,596 |
| 4 | [illegible] | 4,244,791 | 2,852,273 | 1,621,872 | 731,421 | | | | |
| 5 | [illegible] | 3,766,763 | 2,628,260 | 1,397,637 | 880,443 | 857,247 | 1,125,771 | 1,228,166 | 386,321 |
| 6 | [illegible] | 3,613,680 | 2,050,807 | 1,706,444 | 1,588,668 | 620,572 | 971,275 | 2,572,889 | 364,559 |
| 7 | [illegible] | 3,540,004 | 2,052,154 | 2,388,462 | 2,869,812 | 3,637,622 | 3,185,333 | 3,868,672 | 1,361,774 |
| 8 | [illegible] | 3,198,331 | 2,212,822 | 2,139,830 | 1,675,287 | 1,358,606 | 1,780,383 | 1,864,231 | 1,211,641 |
| 9 | [illegible] | 3,152,737 | 1,757,529 | 1,606,862 | 942,028 | 1,196,996 | 550,397 | 457,489 | 100,800 |
| 10 | [illegible] | 3,167,212 | 2,498,979 | 1,388,695 | 730,469 | 470,718 | 341,837 | 1,499,299 | 972,428 |
| 11 | [illegible] | 2,520,751 | 2,006,652 | 1,595,335 | 948,925 | 1,256,447 | 1,248,964 | 680,647 | 567,800 |
| 12 | [illegible] | 2,481,413 | 1,848,688 | 1,672,530 | 1,104,979 | 1,438,072 | 2,478,293 | 2,158,186 | 1,596,050 |
| 13 | [illegible] | 2,227,484 | 1,473,797 | 1,456,311 | 1,059,271 | 785,071 | 927,917 | 1,247,214 | 821,476 |
| 14 | [illegible] | 2,117,980 | 1,125,150 | 997,996 | 888,116 | 489,989 | 334,118 | 336,737 | 173,249 |
| 15 | [illegible] | 1,665,864 | 1,478,270 | 1,499,638 | 1,124,268 | 910,838 | 668,880 | 540,953 | 451,875 |
| 16 | [illegible] | 1,324,140 | 1,021,921 | 1,123,860 | 983,984 | 717,832 | 403,863 | 1,274,536 | 704,325 |
| 17 | [illegible] | 887,896 | 440,058 | 456,351 | | | | | |
| 18 | [illegible] | 693,481 | 89,129 | | | | | | |
| 19 | [illegible] | 672,215 | 2,210,450 | 1,759,165 | 1,169,892 | 910,098 | 948,172 | 530,198 | 299,886 |
| 20 | აშშ | 660,792 | 476,629 | 474,829 | 793,631 | 1,133,474 | 776,710 | 1,031,298 | 216,773 |

ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტი

| ქვეყნები | 2004 | | 2005 | | 2006 იანვარ-თებერვალი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 აშშ დოლარი | ტონა | 1000 აშშ დოლარი | ტონა | 1000 აშშ დოლარი | ტონა |
| სულ | 2,622.4 | 196.3 | 4,009.0 | 296.9 | 739.2 | 69.9 |
| აზერბაიჯანი | 824.0 | 83.9 | 1,029.2 | 53.9 | 152.2 | 6.6 |
| [illegible] | 1.4 | 0.0 | - | - | - | - |
| [illegible] | - | - | 0.1 | 0.0 | - | - |
| სომხეთი | 609.1 | 22.8 | 1,081.5 | 41.3 | 254.4 | 10.5 |
| [illegible] | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 | - | - |
| [illegible] | 9.1 | 0.2 | - | - | - | - |
| [illegible] | 9.9 | 0.3 | 9.7 | 0.4 | - | - |
| [illegible] | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 0.0 | 0.1 | - | - |
| [illegible] | 13.6 | 1.7 | 0.1 | 0.1 | - | - |
| [illegible] | 108.4 | 3.5 | 31.5 | 1.7 | - | - |
| [illegible] | - | - | 6.6 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 2.8 | 0.0 | - | - |
| ყაზახეთი | 199.7 | 1.1 | 311.1 | 14.4 | 41.7 | 0.7 |
| [illegible] | - | - | 68.4 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 55.8 | 0.1 | - | - |
| ლატვია | 10.0 | 0.1 | 147.1 | 4.9 | 25.9 | 0.1 |
| [illegible] | 7.5 | 0.0 | 7.9 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 7.1 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 4.8 | 0.0 | - | - |
| [illegible] | 29.8 | 3.0 | 11.2 | 0.1 | - | - |
| [illegible] | - | - | 16.0 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 0.0 | 0.0 | - | - |
| [illegible] | - | - | 0.4 | 0.0 | - | - |
| [illegible] | 29.5 | 11.2 | 30.4 | 37.3 | - | - |
| [illegible] | - | - | 9.5 | 0.4 | - | - |
| უკრაინა | 223.4 | 5.1 | 101.9 | 3.6 | 11.5 | 0.9 |
| [illegible] | 19.1 | 0.4 | 0.5 | 0.2 | 0.0 | 0.0 |
| აშშ | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.1 | - | - |
| უზბეკეთი | 526.0 | 63.0 | 1,053.3 | 138.3 | 253.5 | 51.1 |

იმპორტიორები 1999-2004 წლებში (თანხა აშშ დოლარში)

| N | იმპორტიორი ფირმა | 2004 წელი | 2003 წელი | 2002 წელი | 2001 წელი | 2000 წელი | 1999 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს [illegible] | 19,965,710 | 15,306,210 | 11,718,134 | 8,916,629 | 9,052,550 | 9,233,761 |
| 2 | შპს პ.ს.პ. | 15,187,447 | 11,262,408 | 8,852,323 | 7,048,467 | 5,840,059 | 5,101,430 |
| 3 | შპს [illegible] | 8,968,997 | 3,841,831 | 3,497,889 | 2,652,169 | 1,453,285 | 1,202,096 |
| 4 | შპს [illegible] | 3,188,271 | 2,167,267 | 1,535,920 | 997,726 | 657,613 | 828,589 |
| 5 | შპს [illegible] | 2,267,596 | 1,951,903 | 1,153,706 | 1,156,776 | 1,417,612 | 723,308 |
| 6 | შპს [illegible] | 1,826,218 | 1,310,118 | 685,920 | 919,042 | 333,244 | 73,801 |
| 7 | შპს [illegible] | 1,504,801 | 808,908 | 636,913 | 726,029 | 595,060 | 1,152,151 |
| 8 | შპს "[illegible]" | 1,484,352 | 894,337 | | | | |
| 9 | შპს [illegible] | 1,191,879 | 328,781 | | | | |
| 10 | შპს "[illegible]" | 1,163,699 | 982,709 | | | | |

## აშშ-ში ნავთობის მარაგი ბოლო კვირის განმავლობაში 800 ათასი ბარელით შემცირდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის მარაგი ბოლო კვირის განმავლობაში 800 ათასი ბარელით შემცირდა.

ენერგეტიკული საინფორმაციო სამმართველოს ინფორმაციით, აშშ-ს ნავთობის მარაგმა 345,2 მლნ. ბარელამდე დაიწია.

ბენზინის მარაგი 5,4 მლნ. ბარელით შემცირდა და 202,5 მლნ. ბარელს შეადგენს, დისტილატების მარაგი კი 2,8 მლნ. ბარელით შემცირდა და 114,6 მლნ. ბარელს არ აღემატება.

ნავთობზე მსოფლიო ფასი ჯერ არ ასახავს თავის რეალურ ღირებულებას. ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა მახმუდ ახმადინეჯადმა განაცხადა. მისი თქმით, ნედლი ნავთობიდან წარმოებული ნავთობპროდუქტების ფასი ათჯერ აღემატება იმ ფასს, რომელსაც ნედლი ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები ადგენენ. ახმადინეჯადის თქმით, ნავთობზე მაღალი ფასიდან რეალურ მოგებას მაღალგანვითარებული ნავთობმწარმოებელი სახელმწიფოები იღებენ. ირანი მსოფლიოს ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოებს შორის მეოთხე ადგილზეა. მსოფლიოში ნავთობზე კვლავ რეკორდული მაჩვენებელი ფიქსირდება. 19 აპრილს ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე Brent ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 74 დოლარი შეადგინა.

ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესი აშშ-ს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში ნავთობის ყველა საბადოს აფეთქებით იმუქრება. "თუ შეერთებული შტატები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიჭრება, როგორც ეს ერაყში გააკეთა, ჩვენ სხვა ალტერნატივა არ გვექნება გარდა იმისა, რომ ნავთობის საბადოები ავაფეთქოთ და ამით მათ ჩვენი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საშუალება არ მივცეთ," - განაცხადა ჩავესმა პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში პარაგვაის, ურუგვაის, ბოლივიისა და ვენესუელას მეთაურების შეხვედრაზე. ჩავესის აზრით, სახელმწიფოს მეთაურად მისი არჩევის შემდეგ ვენესუელას მიმართ აშშ-ს პოლიტიკის შეცვლა იდეოლოგიურ ან პოლიტიკურ უთანხმოებასთან არ არის დაკავშირებული. "აშშ-ს აგრესიულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ინტერესი, გააკონტროლოს ვენესუელაში ნავთობისა და გაზის მოპოვება," - აღნიშნა ჩავესმა. აშშ-სა და ვენესუელას შორის ურთიერთობა შვიდი წლის წინ გაუარესდა, როცა ჩავესმა ვაშინგტონი მის წინააღმდეგ შეთქმულებებში დაადანაშაულა.

სიტყვიერი ომის მიუხედავად, ვენესუელა აშშ-ს დღეში 1,5 მილიონ ბარელ ნავთობს აწვდის და ამ მაჩვენებლით ამერიკაში ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილი უკავია. **ინტერპრესნიუსი**

## გერმანელი ექსპერტები მოსალოდნელ ენერგოკრიზისზე ალაპარაკდნენ

ნავთობისა და ოქროს გაძვირების, ასევე, ირანის ატომურ შეიარაღებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, გერმანელი ექსპერტები მოსალოდნელ ენერგოკრიზისზე საუბრობენ, თუმცა ასეთ პესიმისტურ პროგნოზს ბევრი არ ეთანხმება.

გერმანიის ეკონომიკური კვლევების ცენტრის (DIW) მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, ნავთობპროდუქტებისა და ძვირფასი ლითონების გაძვირების შესახებ, რასაც შეიძლება ევროგაერთიანების ბაზარზე ინფლაციური პროცესებიც მოჰყვეს, საპანიკოს არ უწოდებს გერმანიის ფედერაციის საერთო ეკონომიკური განვითარების ე.წ. ბრძენთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი ვოლფგანგ ვიგარდი. მისი თქმით, ფასების მატება დიდხანს არ გაგრძელდება. თუკი ეს ასე მოხდება, სიტუაცია უმართავი არ გახდება, რადგან, ექსპერტის თქმით, ბოლო 2 წლის განმავლობაში ნავთობზე ფასი 50 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკა მაინც სტაბილური დარჩა.

უფრო პესიმისტური პროგნოზით, ერთი ბარელი ნავთობის ფასი უახლოეს მომავალში 100 ევროს გადააჭარბებს. DIW-ის ექსპერტების განცხადებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ირანი მსოფლიოს სასაქონლო ბაზარზე ნავთობის მიწოდებას შეწყვეტს. "როდესაც ნავთობის ფასი საგრძნობლად მოიმატებს, მაშინ ნამდვილი ენერგეტიკული კრიზისი გვექნება," - აცხადებს გერმანიის ეკონომიკური კვლევების ცენტრის ექსპერტი კლავდია კემფერტი. მისივე თქმით, ეს ფაქტი მომხმარებელს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რადგან საწვავზე ფასების ზრდას ნებისმიერი სახის მომსახურების გაძვირება მოჰყვება.

საბირჟო საქმის ანალიტიკოსები სიტუაციის შეცვლას ელოდებიან "დიდი რვიანის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრისგან. როგორც ექსპერტები აცხადებენ, "დიდი რვიანის" ქვეყნები გაიზიარებენ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრების ინიციატივას, ნავთობმომპოვებელ კომპანიებს სპეციალური ნორმა დაუწესეს. "ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა ნავთობის მოპოვება ნორმალურ რეჟიმში უნდა განახორციელონ. ამ გზით ისინი შექმნიან პატარა ბუფერს, რაც საბირჟო სპეკულაციებს შეაჩერებს," - აცხადებს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ტერი ბრეტონი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 21/04 | 22/04 | 23/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 19 | 16 | 19 |
| რიგა | 6 | 9 | 10 |
| ვილნიუსი | 10 | 11 | 12 |
| მოსკოვი | 12 | 9 | 7 |
| მინსკი | 15 | 14 | 14 |
| პარიზი | 19 | 22 | 24 |
| რომი | 21 | 23 | 25 |
| ლონდონი | 12 | 18 | 15 |
| მადრიდი | 17 | 18 | 18 |
| ბონი | 21 | 22 | 23 |
| ვარშავა | 16 | 20 | 20 |
| ათენა | 26 | 23 | 23 |
| ბერნი | 20 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 15 | 13 | 15 |
| ოსლო | 11 | 7 | 7 |
| ანკარა | 22 | 20 | 17 |
| ვარნა | 19 | 18 | 19 |
| დელი | 43 | 43 | 41 |
| ტოკიო | 16 | 22 | 15 |
| კოპენჰაგენი | 4 | 10 | 10 |
| ბაქო | 21 | 23 | 25 |
| ერევანი | 23 | 27 | 28 |
| ასტანა | 7 | 5 | 13 |
| ჰელსინკი | -3 | 1 | 1 |
| დუბლინი | 9 | 10 | 11 |
| ლისაბონი | 16 | 15 | 20 |
| პრაღა | 18 | 20 | 21 |
| სოფია | 18 | 18 | 20 |
| ბუდაპეშტი | 22 | 23 | 26 |
| ბუხარესტი | 23 | 21 | 23 |

# ნამდვილი საჩუქარი

### კომპანია "ბორჯომმა" და ნინო ანანიაშვილის ფონდმა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საზეიმო საღამო აჩუქეს

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" გუშინწინ დაწყებულ საქველმოქმედო ღონისძიებას აგრძელებს. გუშინ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს უმასპინძლა. ღონისძიება ნინო ანანიაშვილის ფონდისა და "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის მხარდაჭერით ჩატარდა.





ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ წარმოდგენას თბილისის, წყნეთის, კოჯრის, ახალდაბის ბავშვთა სახლების აღსაზრდელებთან ერთად ინვალიდი ბავშვებიც დაესწრნენ. წარმოდგენაში მონაწილეობა ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა და თამაზ გოგოტიშვილის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მიიღო. წარმოდგენის ბოლოს, ბავშვებმა სპექტაკლი - "სიზმრები იაპონურად" ნახეს. დღევანდელ ღონისძიებას ბავშვებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო. "დღევანდელი საღამო, ჩვენ სპეციალურად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მივუძღვენით, რაშიც დიდი წვლილი კომპანია "ბორჯომს" მიუძღვის. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხებით კი ჩვენ, ისევ ამ ბავშვებს დავეხმარებით."- აცხადებს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

თბილისიდან და რეგიონებიდან ჩამოსული 800-მდე ბავშვის ღონისძიებაძე დასწრება "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" დაფინანსა. კომპანია "ბორჯომის" მიერ შეძენილი ბილეთებიდან შემოსული თანხები კი ისევ ბავშვთა სახლებსა და სარეაბილიტაციო ცენტრებს გადაერიცხება. "ჩვენ გვსურდა ამ ბავშვებისთვის ნამდვილი ზეიმი მოგვეწყო, რისთვისაც ისინი ბილეთებით დავასაჩუქრეთ. ეს თანხა კი ისევ ამ ბავშვების კეთილდღეობას მოხმარდება." - აღნიშნა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ.



ღონისძიების შემდეგ, ახალდაბის ბავშვთა სახლის 47 აღსაზრდელი კომპანია "ბირჯომმა" "მაკდონალდსში" ავახშმა.





ვიზა ბარათის ყველა ფუნქცია

ბარათს აქვს ვიზა ბარათის ყველა შესაძლებლობა. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ იგი ყველგან, სადაც იყენებთ ვიზა ელექტრონ/გოლდ ბარათს.

ფასდაკლება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში

ფასდაკლების პროგრამაში მონაწილე ობიექტებში იხდით საქონლის სრულ ღირებულებას, მეორე დღეს კი დახარჯული თანხის 5% უკან გიბრუნდებათ პლასტიკური ბარათის ანგარიშზე.

საქართველოს ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში „ვიზა-კომფორტით" ყოველი ანგარიშსწორებისას, გადახდილი თანხის 2%-ს საჩუქრად იღებთ სალაპარაკო წუთების სახით.

ბალანსის ავტომატურად შევსება

აღარ გჭირდებათ მონო ბარათების შეძენა, რადგან მობილურის დეპოზიტი პლასტიკური ბარათის ანგარიშიდან ავტომატურად შეივსება თქვენ მიერ წინასწარ დაფიქსირებული თანხით (5-200 ლარი).

ასევე შეგიძლიათ გადაიხადოთ საუბრის ღირებულება ინტერნეტ ბანკით ან SMS-ით.

ყოველ გადარიცხვაზე თანხის 4%-ს მიიღებთ საჩუქრად სალაპარაკო წუთების სახით.

ვიზა კომფორტი VISA Comfort

დამატებითი უფასო სერვისები თიბისი ბანკისგან (3 თვე):
- ავტომატური კომუნალური გადარიცხვები
- ანგარიშზე თანხის შეტანა ბანკომატით
- ინტერნეტ ბანკი
- SMS სერვისი

დამატებითი უფასო რეგისტრაცია მაგთიკომისგან:
- WAP, GPRS, MMS მომსახურება
- ნომრის დაფარვისა და ამოცნობის მომსახურება

ფასდაკლება ობიექტებში: BOSS Hugo Boss, IBIS, GPC, TED LAPIDUS, GMC, Marco Polo, Gentleman

ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: (995 32) 777 999 ან მობრძანდით თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში


## შავი ზღვის თურქეთის სექტორში ნავთობის მოპოვებაზე სიახლეა

კომპანია BP 25-პროცენტიანი წილით მონაწილეობს შავი ზღვის თურქეთის სექტორში ღრმაწყალქვეშა საბადოზე ნავთობის საძიებო სამუშაოებში. იანვარში აღნიშნულ საბადოზე BP-მ თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად დაასრულა პირველი საძიებო ჭაბურღილის გათხრა, რომელიც 2005 წლის 18 ივნისს დაიწყო და გეგმურ სიღრმეს - 4700 მეტრს მიაღწია. BP-ს პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, რომ აღნიშნული საბადოდან კომპანიამ მნიშვნელოვანი ცნობები მიიღო წნევისა, ნედლეულის სახეობებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემთა შეფასება, რის შემდეგაც გადაწყდება ამ საბადოს დამუშავებაზე არსებული კონტრაქტის ბედი. ვუდვორდის თქმით, კომპანია დიდადაა დაინტერესებული შავი ზღვის ამ სექტორით. კომპანია BP შავი ზღვის საქართველოს სექტორში არსებული საბადოების დაზვერვაშიც მონაწილეობს. ქართული საბადოების დამუშავებაში მონაწილეობენ BP (28,5 პროცენტი), ანადარკო (48 პროცენტი), თურქეთის საერთაშორისო ნავთობკომპანია (13,5 პროცენტი) და შევრონი (10 პროცენტი). ამჟამად სეისმური გადაღებების შესწავლა მიმდინარეობს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფოთსა და გურიის რეგიონში კომერციული ბანკების წლიურმა მოგებამ 3.5 მილიონი ლარი შეადგინა

ფოთსა და გურიის რეგიონში მოქმედი კომერციული ბანკების ფილიალების წლიურმა მოგებამ 2005 წელს 70.2 პროცენტით გადააჭარბა 2004 წლის ჯამურ მაჩვენებელს და 3.5 მლნ ლარი შეადგინა. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკში განაცხადეს, საანალიზო პერიოდში მოგების ზრდას, ძირითადად, ფილიალების საკრედიტო დაბანდების ზრდა განაპირობებდა. სულ რეგიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა საბანკო დაწესებულების 12 ფილიალი და 3 სერვისცენტრი ფუნქციონირებს სებ-ში განმარტავენ, რომ გაცემული სესხების მოცულობამ 2005 წლის განმავლობაში 197.7 პროცენტით მოიმატა და, 31 დეკემბრის მდგომარეობით, 23.9 მლნ ლარი შეადგინა. საანალიზო პერიოდში მთლიანი საკრედიტო დაბანდების უდიდესი წილი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში გაცემულ სესხებზე მოდის. გაიზარდა საბანკო დაწესებულებების მიერ მოზიდული ანაბრების მოცულობაც. სულ 2005 წელს დეპოზიტების მოცულობამ, 2004 წელთან შედარებით, 183.3 პროცენტით მოიმატა და 17.5 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, თუ 2004 წლის განმავლობაში მოზიდული ანაბრების მთლიანი მოცულობის 60 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო დენომინირებული, 40 პროცენტი კი ეროვნული ვალუტით განთავსდა, 2005 წელს მოსახლეობამ დანაზოგების ლარებით შენახვას მიანიჭა უპირატესობა და დეპოზიტების 59.2 პროცენტი საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში განთავსდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## რომან გოცირიძე აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე აშშ-ში ხვალ გაემგზავრება. როგორც ეროვნულ ბანკში განაცხადეს, რომან გოცირიძე ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში შეხვედრების გამართვის მიზნით გუშინ უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა ეროვნულ ბანკში მომხდარი ხანძრის გამო ვიზიტი ერთი დღით გადაიდო. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით მიემგზავრება. იგი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მმართველთა ყოველწლიური შეხვედრის მუშაობაში. შეხვედრაზე განიხილება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროგრამების მიმდინარეობისა და განხორციელების საკითხები. სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მმართველთა შეხვედრა თავს უყრის საფინანსო ელიტას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნულ ფორუმზე გამოიკვეთება ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებითაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან სახელმწიფოთა მთავრობისადმი მხარდაჭერა უნდა გაძლიერდეს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის მიმდინარეობა. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია) აღნიშნავს, რომ შპს "ახალმა ქსელებმა", შპს "ფოპნეტმა", შპს "ვემატელმა", შპს "მაგთიკომმა" და შპს "ელსმენმა" კომისიას მიმართა განცხადებით ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ. ზემოაღნიშნული კომპანიები ახორციელებენ ადგილობრივ საკომუნიკაციო მომსახურებას და ესაჭიროებათ სააბონენტო ნუმერაციის რესურსი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-18 მუხლების შესაბამისად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის საფუძველზე.

კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ?13 დადგენილების "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა შეადგენს 1500 ლარს 1 ათასიან ნუმერაციის ბლოკზე.

კომისია აღნიშნავს, რომ არსებობს სააბონენტო ნუმერაციის თავისუფალი რესურსი და შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-18 მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ?13 დადგენილების "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გამოცხადდეს აუქციონი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგი ლიცენზიების მისაღებად:

ა) 175XXX-177XXX (სულ 3000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. თბილისში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარით;

ბ) 178XXX-179XXX (სულ 2000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. თბილისში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარით;

გ) 11XXX-14XXX (სულ 4000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ქუთაისში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 6000 (ექვსი ათასი) ლარით;

დ) 3XXXX (სულ 10000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. სამტრედიაში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით;

ე) 4XXXX (სულ 10000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ზესტაფონში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით;

ვ) 40XXX-44XXX (სულ 5000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ფოთში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარით;

ზ) 20XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. საგარეჯოში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

თ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. გორში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ი) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ვანში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

კ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. წყალტუბოში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ლ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. თერჯოლაში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

მ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ბაღდათში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ნ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. კასპში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ო) 70XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. გურჯაანში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

პ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. დუშეთში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ჟ) 20XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ქარელში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

რ) 70XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. მცხეთაში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ს) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. დმანისში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ტ) 30XXX-31XXX (სულ 2000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ბოლნისში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარით;

უ) 30XXX (სულ 1000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. მარნეულში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარით;

ფ) 10XXX-14XXX (სულ 5000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ქ. ბათუმში;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარით;

2. ლიცენზიების მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 17 მაისის 17:00 საათამდე;

3. აუქციონის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2006 წლის 2 ივნისს 13:00 საათი;

4. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

5. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

ბ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბე) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი “თი-ბი-სი”;

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს აცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10 %, გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას.

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის მიღებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

7. აუქციონი ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ?13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;

8. დაევალოს კომისიის პრეს-მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

9. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

**კომისიის წევრები:** **დ. პატარაია**
**გ. ფრუიძე**
**ზ. ნონიკაშვილი**

## შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების სამართალმცოდნეობის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის სპეციალობის კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გამოსაშვები გამოცდები ჩატარდება 22 მაისიდან 29 მაისამდე.

- "სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა" - 22 მაისი;
- "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა" - 29 მაისი.

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო გამოცდები ზემოაღნიშნულ საგნებში ტესტირების სახით ჩატარდება.

ტესტი საგანში "სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი და კრიმინალისტიკა" შედგება 50 კითხვისგან, თითოეულ კითხვაზე იქნება 4 სავარაუდო პასუხით, ხოლო დისციპლინაში "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა" ტესტი შედგება 25 კითხვისაგან, თითოეულ კითხვაზე 4 სავარაუდო პასუხით. ტესტების ნიმუშები ზემოაღნიშნულ დისციპლინებში განთავსებულია ვებსაიტებზე www.police-academy.ge.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული გამოსაშვები გამოცდების განმაორებით ჩატარება შსს აკადემიაში სამომავლოდ აღარ იგეგმება.

აღნიშნულ გამოცდებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართება 15-დან 20 მაისამდე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შსს აკადემიის სასწავლო ნაწილს. ტელ: 57 62 44.

**შსს აკადემიის ადმინისტრაცია**

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ

შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი" აცხადებს, რომ 2006 წ. 28 თებერვლის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული დაზღვევის შესყიდვის შესახებ ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

ტენდერის პირველ, მეორე და მეოთხე ლოტებზე გამარჯვებულად გამოცხადდა ს/ს "ალდაგი".

ტენდერის მესამე ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა ს/ს "იმედი-ლ".

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩურურეთის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სადღეღამისო ბაგა-ბაღისათვის კვების პროდუქტების ლოტებად შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

რაიონის ტერიტორიაზე არსებული 33 სკოლამდელი დაწესებულების 3695 და სმენადაქვეითებულ სადღეღამისო ბავშვთა ბაგა-ბაღის 120 ბავშვისთვის შესასყიდი კვების პროდუქტების ლოტები

**ლოტი N1** - 27 სხვადასვა დასახელების კვების პროდუქტი;
**ლოტი N2** - რძის ნაწარმი;
**ლოტი N3** - პური;

სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა - შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 01 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, სატენდერო კომისიას უნდა წარმოუდგინოს ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში, ქართულ ენაზე 2006 წლის 15 მაისის 10 საათიდან 17 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილ;მდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

ე) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმო რეესტრიდან).

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურეობის განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ;

5. თუ იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონის მიხედვით) აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; დანიშნულება-ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 აპრილიდან 2006 წლის 15 მაისამდე, მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

მაია გოგოლაძე - ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების მთ.სპეციალისტი, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95.99.85;

პაატა პატარაია - ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილები მთ.სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95.76.27

ნანა კანდელაკი - სოციალურ საკითხთა განყოფილების წმ.სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95.48.33.

მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 140ა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შენიშვნა:

1. 2006 წლის 20 აპრილს "24 საათში" ღია ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ პუნქტი I ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 11 მაისიდან 12 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)". ხოლო მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით: "სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 10 მაისის ჩათვლით;

## განცხადება

შპს "მერსი" აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - ნახმარი სალტეებიდან ელასტომერული მასალების ნარჩენებიდან ნახშირწყალბადების მიღების ქარხნის ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

მსურველებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ დოკუმენტს და "არატექნიკურ რეზიუმეს" შემდეგ მისამართზე: თბილისი, გედევანიშვილის ქ. №25, მანქანათმშენებელი ქარხანა "მეგობრობა".

საჯარო განხილვა მოეწყობა იგივე შენობაში, 2006 წლის 24 მაისს 14 საათზე.

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს "მერსის" დირექტორს ბატონ გ. ფირანიშვილს.

**შპს "მერსის" ადმინისტრაცია**

## შესწორება

გაზეთ **„24 საათის“** 13 აპრილის №1232-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ, A7 გვერდზე, ნაცვლად ტექსტისა *„1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისათვის" საკვები პროდუქტების ლოტებად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:*“ უნდა იკითხებოდეს **“1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენთიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" არსებული მანქანა-დანადგარების სათადარიგო, სარემონტო ნაწილების, და მათთვის საჭირო საპოხი და ქიმიური საშუალებების. შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:“**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო მეტეხი", საიდენტიფიკაციო ნომერი 202889865, ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. N67, ტელეფონი: 95 10 77, ფაქსი 95 21 70, ელ.ფოსტა jvmetechi@jvmetechi.com აცხადებს ტენდერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასისათვის" საწმენდი და სარეცხი საშუალებების ერთ ლოტად შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:
2. ლოტი: საწმენდი და სარეცხი საშუალებები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | საწმენდი საშუალებები | ზედაპირების საწმენდი ღრუბელი | ცალი | 2600 |
| | | ჭურჭლის საწმენდი მწვანე ჟელე | ქილა | 576 |
| | | სადეზინფექციო თხევადი ქლორი | ბოთლი | 2430 |
| | | ჭურჭლისა და ზედაპირის საწმენდი მეტალის ღრუბელი | ცალი | 1896 |
| | | გადამუშავებული ცხიმის საწმენდი სითხე | კანისტრა | 56 |
| | | ხის საპრიალებელი | აეროზოლი | 54 |
| | | მყარი ზედაპირის საწმენდი ჯაგრისები | ცალი | 39 |
| | | ანტიბაქტერიული ხელის დასამუშავებელი | ბოთლი 1 ლტრ | 24 |
| | | ჰაერის გამწმენდი | ბოთლი 1 ლტრ | 60 |
| | | აბაზანის ზედაპირის საწმენდი ღრუბელი | ცალი | 150 |
| | | უნიტაზის საწმენდი სითხე | ბოთლი 1 ლტრ | 408 |
| | | ჰაერის გამახალისებელი | აეროზოლი | 140 |
| | | მრავალდანიშნულების და მინის საწმენდი უმაღლესი ხარისხის თხევადი კონცენტრატი | კანისტრა | 10 |
| | | მჟავის შემცველი ოთახის საწმენდი კონცენტრატი; | კანისტრა | 30 |
| | | თხევადი საპონი | კანისტრა 5 ლტრ | 118 |
| | | ხალიჩების საწმენდი შამპუნი | კანისტრა 10 ლტრ | 23 |
| | | უნივერსალური თხევადი საპონი | სპეც კონტეინერი 1 ლტრ | 288 |
| | | მყარი იატაკის საწმენდი კონცენტრატი | კანისტრა 10 ლტრ | 24 |
